ელფის გამომცემლობა

(22) 9
ს-244

# საქართველოს დიდი ბრძოლები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯაბა სამუშია

# საქართველოს დიდი ბრძოლები

*საქართველოს ისტორია ბრძოლების ისტორიაა*

ელფის გამომცემლობა • თბილისი • 2009

# შინაარსი


**უძველესი ადამიანის შეიარაღება**
როდის ისწავლა ადამიანმა იარაღის კეთება? 4
როგორ ვითარდებოდა იარაღი? 5
აბჯრის გამოგონება და ცხენის მოშინაურება 7

**უძველეს ქართველთა საბრძოლო ხელოვნება**
რას ვიგებთ არგონავტების მითიდან? 8
დიოხისა და ურარტუს ბრძოლა 10
ვინ მტრობდა ქართველურ ტომებს? 10
როგორი იყო ქართველი მეომრის ჩაცმულობა? 12

**მაკედონელები, აზო და ფარნავაზი, არტაანის ბრძოლა**
მკვლელობა, რომელმაც შეცვალა ძველი მსოფლიო 13
**ბერძნული და მაკედონური ფალანგა 14**
პირველი უდიდესი ევრაზიული სახელმწიფო 15
ილაშქრა თუ არა ალექსანდრე მაკედონელმა კავკასიაში? 16
რას ნიშნავს „არიან ქართლი“? 17
ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაშლა 18
ვინ იყო ქართლის პირველი მეფე? 19
როგორი იყო აზოს მმართველობა ქართლში? 20
როგორ იპოვა ფარნავაზმა განძი? 21
ფარნავაზი და ქუჯი 22

**რომაელთა ლაშქრობა საქართველოში**
როგორი იყო რომის პოლიტიკა? 24
რას შემორჩა პომპეუსის სახელი? 25
რა მიზანი ჰქონდათ რომაელებს აზიაში? 25
რა იყო პომპეუსის მისია? 27
როგორი იყო პომპეუსის გეგმა? 28
რატომ ილაშქრეს რომაელებმა იბერიაში? 29
რა უნდოდა პომპეუსს კოლხეთში? 31

**ვახტანგ გორგასლის ლაშქრობა ჩრდილოეთ კავკასიაში**
როგორ საქართველოში გამეფდა ვახტანგ გორგასალი? 32
როგორ დაიწყო ოსეთზე ლაშქრობა? 34
როგორი იყო გოლიათთა ბრძოლა? 35
როგორ იბრძოდა გორგასალი ეგრისში? 37
**ქართველი მეომრის შეიარაღება შუა საუკუნეებში 38**

**ვიკინგები საქართველოში და სასირეთის ბრძოლა**
რატომაა ეს ბრძოლა სამარცხვინო? 40
პირველი შეხვედრა ვარანგებთან 42
როგორ დასაჯეს ვიკინგები? 43

**თურქ-სელჩუკთა სასტიკი მარცხი ფარცხისთან**
რას ნიშნავს „თურქ-სელჩუკთა მოძრაობა“? 44
თურქ-სელჩუკები საქართველოში 45
რაზე ბჭობდნენ სასახლეში? 46
რა მოხდა ფარცხისთან? 47

**დიდგორის ბრძოლა**
რატომაა დიდგორი გამორჩეული? 48
რა იყო დიდგორამდე? 49
რატომ აირჩია მეფემ დიდგორის ველი? 50
მეფე და უფლისწული 51
რატომ „ძლევაა საკვირველი“? 52



K 28.325
4

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შამქორის ეპოპეა

რა ხდებოდა ისინს სასახლეში? 54
თათბირი ტაბახმელაში 55
რა უნდოდათ ამირ-მირმანსა და შირვან-შაჰს? 56
როგორ ემზადებოდა ქართველობა ბრძოლისთვის? 57
რა იყო გენიალური სამხედრო მიგნება? 58

## ბასიანის ბრძოლა

რა იყო რუქნ ად-დინის მიზანი? 60
რუქნ ად-დინის ელჩის ვიზიტი 61
როგორი იყო წინასაბრძოლო ვითარება? 62
როგორი იყო ქართველთა გეგმა? 63
როგორ „იქმნა ომი ფიცხელი და ძლიერი“? 65
ციხესიმაგრეების აღების ხელოვნება
შუა საუკუნეების საქართველოში 66

## გარნისის ბრძოლა

„ოქროს ხანის“ დასასრული 68
რა იყო გარნისამდე? 70
რა მოხდა გარნისის ველზე? 71
მეტამორფოზა გმირისა 73
რატომ უღალატა ივანე მხარგრძელმა ქვეყანას? 74
ციხესასრული იარაღისა და არტილერიის გაჩენა
შუა საუკუნეების მეომრებსა და საქართველოში 76

## ტაშისკარის ბრძოლა

ცალად დარჩენილი წაბლის ხე 78
რა იყო ტაშისკარამდე? 79
მღვდელ თევდორეს გმირობა 80
ნიაბის ბრძოლა და გიორგი საakაძის გეგმა 81
გადამწყვეტი ბრძოლა 82

## მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლები

რა იყო „კახეთის ამოდების“ საქმე? 84
„სასწაული მეტისმეტი“ 85
რამ განარისხა „ირანის ლომი“? 86
რა მოხდა მარაბდის ველზე? 86
ციხეოსნური თამაშობანი –
საშინელი ფრთინის სახეობა 88

## ხრესილის ბრძოლა

ისტორიის სამარცხვინო ფურცელი 90
რაზე საუბრობდნენ „ფიცის კაცნი“? 91
ვინ იყვნენ მოლალატე ქართველები? 92
ხრესილის „სისხლიანი სასაკლაო“ 93



## ასპინძის ბრძოლა

რა იყო ასპინძამდე? 94
რატომ გაანაწყენა ტოტლებენმა ერეკლე? 96
როგორ მოიგო ერეკლემ ბრძოლა? 97

## საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბრძოლები

როგორ შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა? 99
ბრძოლა აფხაზეთისთვის 100
რატომ მოხდა საქართველო-სომხეთის ომი? 107

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უძველესი ადამიანის შეიარაღება

ომი არის ფიზიკური, ინტელექტუალური და მორალური ძალების დაპირისპირება, რომლის დროსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება შეიარაღებასა და ბრძოლის ტაქტიკას. თანამედროვე სამხედრო ხელოვნება, რომელიც უახლეს ტექნიკურ მიღწევებს იყენებს, დიდად განსხვავდება მისი განვითარების პირველი საფეხურისგან. საბრძოლო ხელოვნების განვითარების საწყის ეტაპზე მთავარი როლი ადამიანის ფიზიკურ შესაძლებლობებს ენიჭებოდა. ჯერ კიდევ კაცობრიობის ცივილიზაციის გარიჟრაჟზე დაწყო პირველი სამხედრო შეტაკებები. ბრძოლა წარმოებდა ნაყოფიერ ტერიტორიაზე გაბატონებისთვის, ხელსაყრელი და დაცული ადგილების – გამოქვაბულების დასაკავებლად, ნანადირევის მიტაცების მიზნით და სხვა. ძველად ასეთ დაპირისპირებას ლოკალური ხასიათი ჰქონდა.

**როდის ისწავლა ადამიანმა იარაღის კეთება?**

ქვის ხანის ადამიანის ევოლუცია, უპირველესად, იარაღის განვითარებადაზვეწაში ვლინდება. ამ პერიოდში სამეურნეო თუ საბრძოლო იარაღი ქვის, ხის, ძვლის ან რქისგან მზადდებოდა. პალეოლითის პერიოდის ადამიანის უძველეს ნამოსახლარებში აღმოჩენილია სხვადასხვა სახის საჩეხ-საჭრელი იარაღები: სახოკები, დანები, საფხეკები, ხელცულები.

*პალეოლითის პერიოდის ხელცული*

ზედა პალეოლითში იარაღი უფრო სრულყოფილი ხდება. სწორედ ამ ეპოქაში ყალიბდება თანამედროვე ადამიანის ფიზიკური ტიპი – homo sapiens (გონიერი ადამიანი). ქვის ინდუსტრია მრავალფეროვან სახეს იღებს. ზედა პალეოლითის ეპოქაში ჩნდება პრიმიტიული, ყუნწგამოყვანილი ისრის წვერები, რომლებიც მშვილდ-ისრის ხმარებაზე უნდა მიანიშნებდეს. ადამიანის მიერ მშვილდ-ისრის გამოყენებას კაცობრიობის ისტორიაში რევოლუციური მნიშვნელობა ჰქონდა. ამ იარაღმა თითქმის XX საუკუნემდე მოაღწია და ევოლუციის რთული გზა განვლო.

*ძვლისგან დამზადებული დანა*

**შუბი** პირველყოფილი ადამიანის ერთ-ერთი უდიდესი აღმოჩენა იყო. საგანგებოდ დამზადებული ჯოხის ერთ თავზე მაგრდებოდა წაწვეტებული, ბასრი პირი. შუბის გრძელი ტარი ადამიანს საშუალებას აძლევდა შორი მანძილიდანვე მოეგერებინა თავდამსხმელი. შუბის სროლისას კი, შესაძლებელი იყო მოშორებით მყოფი მსხვერპლის დაშავება. მოგვიანებით, ერთმა მოხერხებულმა გამოგონებამ, უფრო მრისხანე გახადა შუბი. მონადირეები შუბის ტარს პატარა დაკბილული ჯოხის კბილანებში აქცევდნენ. დამხმარე ჯოხი სროლისას შუბს დამატებით ენერგიას ანიჭებდა და გაცილებით დიდ მანძილზე მიდიოდა.

*შუბის სასროლი დაკბილული ჯოხი. ცნობილი ფრანგი არქეოლოგის პიერ ლორენის ნახატი, წიგნიდან „ბედნიერი ქვის ხანა.“*

ეროვნული ბიბლიოთეკა

*შუბისპირების და ისრისპირების დამზადება (რეკონსტრუქცია).*

*საკაჟიანში აღმოჩენილი ყუნწგამოყვანილი ისრის წვერი ერთ-ერთი უძველესი ნიმუშია, რომელიც ზედა პალეოლითში მშვილდ-ისრის ხმარებაზე უნდა მიანიშნებდეს.*



*მეზოლითის ხანის პეტროგლიფები მშვილდ-ისრის გამოსახულებით. აღმოჩნდა 1976 წელს ქ. წალკიდან 10 კმ-ით დაშორებით, მდ. პატარა ხრამის (მდ. ქციის მარჯვენა შენაკადი) ხეობაში.*

## როგორ ვითარდებოდა იარაღი?

მშვილდ-ისრის გამოგონება რამდენიმე ფაქტორთან იყო დაკავშირებული. ზედა პალეოლითის ხანაში ადამიანმა ქვის დამუშავების ტექნოლოგიაში ახალი ფორმები დაამკვიდრა. იარაღის ზომა უფრო მცირდებოდა და, იმავდროულად, დახვეწილი და კომპაქტური ხდებოდა. საბრძოლო საშუალებების დახვეწამ ადამიანს შუბის პროპორციების შემცირების საშუალება მისცა. ასე მივიღეთ ისარი, რომელიც შუბის ფორმას იმეორებს და მის დაპატარავებულ ვარიანტს წარმოადგენს. ადამიანი სპეციალური მოწყობილობის, მშვილდის საშუალებით, ისარს გაცილებით შორ მანძილზე ისროდა, ვიდრე ამას შუბის შემთხვევაში ახერხებდა. მეზოლითის ხანაში უკვე დიდი რაოდენობით გვხვდება მცირე ზომის ისრისპირები.

პირველყოფილი ადამიანი ყოველდღიურად ეხებოდა ისეთ მცენარეებს, რომელთა ღერო თუ ტოტი განსაკუთრებული დრეკადობით გამოირჩეოდა. ხელით მოღუნვისას დაგროვილი ენერგია გაშვებისას თავისუფლდებოდა. თუ შუბს საკუთარი ძალის გამოყენებით ისროდა, მშვილდის შემთხვევაში, ადამიანმა აღმოაჩინა ალტერნატიული ენერგიის წყარო. დამუშავებულ ხის ტოტს ბოლოებში ამოღებული ჰქონდა ნაჭდევები, ე.წ. კილო. მათზე მაგრდებოდა გამძლე მასალისგან დამზადებული ღარი, რომელიც მშვილდს ოდნავ კუმშავდა. ღარის დაჭიმვისას ისარი რამდენიმე ათეულ მეტრზე დიდი სიზუსტით ხვდებოდა მიზანს. მშვილდის ღარს სხვადასხვა მასალისგან ამზადებდნენ. ყველაზე გავრცელებული იყო საქონლის ყელის ან ტყავისგან დამზადებული საბამი. შუბთან შედარებით, მშვილდ-ისარმა მნიშვნელოვნად გაზარდა სროლის მანძილი და სიჩქარე. ამასთან, თუ ნადირობის ან ბრძოლის დროს რამდენიმე შუბის წაღება თითქმის შეუძლებელი იყო, ისრების მთელი კონის ტარება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა.

საქართველოში მშვილდ-ისრის პირველი გამოსახულება მეზოლითის ხანიდან გვხვდება. მდინარე პატარა ხრამის ვიწრო ხეობაში, კლდოვან ზედაპირზე ამოკაწრულია სხვადასხვა ცხოველი, მითოლოგიური არსებები და მშვილდოსანი კაცუნები. აქ ნაპოვნ პეტროგლიფებში ადამიანის სამი ფიგურაა დახატული, მათ გვერდით კი მშვილდ-ისარია გამოსახული, რაც ადასტურებს, რომ ამ პერიოდიდან ეს იარაღი ადამიანის ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილი იყო.

მეზოლითს მოყვება ნეოლითის ხანა, როდესაც ადამიანმა ქვის გახვრეტა დაიწყო. გაჩნდა იარაღის ახალი სახეები, განსაკუთრებით აღსანიშნავია ხის ტარზე დამაგრებული ქვის ცულები, რომელსაც ნეოლითის ადამიანი არა მარტო სამეურნეო დაშნულებისთვის, არამედ საბრძო-

*საბრძოლო იარაღით აღჭურვილი უძველესი ადამიანი. თანამედროვე რეკონსტრუქცია.*

ეროვნული ბიბლიოთეკა





*საგარეჯოში აღმოჩენილ ბრინჯაოს სარტყელზე გამოსახულია ნადირობის სცენა. მონადირეები აღჭურვილნი არიან ე.წ. რთული მშვილდებით. მარტივი მშვილდისგან განსხვავებით, იგი ორკანა მოხრილი და მის დასამაგრებლად საგანგებო ტექნოლოგია იყო საჭირო (ქრ.შ.-მდე VIII-VIIსს).*

ლოდაც იყენებდა. ამ ეპოქის შემდეგ კაცობრიობის ისტორიაში იწყება სრულიად ახალი ეტაპი, რომელიც ლითონთანაა დაკავშირებული. ქვისა და ხის პარალელურად გაჩნდა სპილენძის იარაღები. ბუნებაში არსებულ სპილენძის კრისტალებს ადამიანი ქვის მსგავსად ამუშავებდა: გვერდებს ჩამოუსწორებდა და სასურველ ფორმას აძლევდა. დროთა განმავლობაში ადამიანმა აღმოაჩინა, რომ სპილენძი მაღალ ტემპერატურაზე დნებოდა და თუ ამ სითხეს ყალიბში ჩაასხამდა, გაცივებისას ყალიბის ფორმას მიიღებდა. ამ აღმოჩენამ კაცობრიობის განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულა – წარმოიშვა მეტალურგია. საქართველოში ლითონის დამუშავებას ქრ.შ.-მდე IV ათასწლეულის დასაწყისიდან მისდევენ. ამ პერიოდიდან სამეურნეო თუ სამხედრო იარაღის დამზადებაში ქვა ლითონმა ჩაანაცვლა.

ქრ.შ.-მდე IV ათასწლეულის დასასრულს საქართველო კულტურული განვითარების ახალ საფეხურზე გადადის, რაც დაკავშირებულია ბრინჯაოს აღმოჩენასთან. თუ სპილენძს სხვა, მის მსგავს ლითონს შეურევენ და ერთად გამოადნობენ, მისი თვისებები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება – გაცილებით მკვრივი და მაგარი გახდება. სწორედ ამ აღმოჩენამ დაუდო საფუძველი ბრინჯაოს წარმოებას. ბრინჯაო ბუნებაში თვითნაბადი სახით არ არსებობს, მას სპილენძთან კალის, დარიშხანის ან ანთიმონის შერევით იღებენ. ამასთან, ბრინჯაოს დამუშავება გაცილებით ადვილია, იგი 700-900°C-ზე ლღვება, სპილენძი – 1100°C-ზე. ბრინჯაოს ხანაში შეიარაღება გაცილებით უფრო მრავალფეროვანი გახდა. მეომრები აღჭურვილნი იყვნენ გრძელტარიანი შუბებითა და სატევრებით. განსაკუთრებული გავრცელება ჰპოვა ბრინჯაოს ცულებმა, რომლის ერთ-ერთი ნაირსახეობაა ე.წ. კოლხური ცული.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



*შუმერების ოთხთვალა ეტლის ერთ-ერთი პირველი გამოსახულება (სურ. ზემოთ). ბრძოლაში პირველად სწორედ შუმერებმა გამოიყენეს ოთხთვალები, რომლებიც საკმაოდ მოუხერხებელნი იყვნენ (სურ. გვერდით).*

**აბჯრის გამოგონება და ცხენის მოშინაურება**

იარაღის გამოგონებამ თავდანვე წარმოშვა თავდაცვის საშუალებების შექმნის აუცილებლობა. ამ მიზნით ადამიანმა გამოიგონა აბჯარი, რომელიც, თავდაპირველად, მაგარი ტყავისგან მზადდებოდა. მოგვიანებით, მეტი სიმყარისთვის, ტყავს ხეზე აკრავდნენ. ქრ.შ.-მდე II ათასწლეულის II ნახევრიდან იყენებენ ლითონის აბჯარს. ტყავზე საგანგებოდ ამაგრებდნენ ქერცლისებრი ფორმის ბრინჯაოს ფირფიტებს.

*საომარი ეტლის ბრინჯაოს სკულპტურული გამოსახულების საინტერესო ნაჭუმა აღმოჩენილი სოფ. ვოხებში. (ქრისტეშობამდე I ათასწლეულის I ნახევარი).*

სამხედრო საქმის განვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ცხენის მოშინაურებას. ქრ.შ.-მდე IV-III ათასწლეულში სხვადასხვა ხალხში უკვე არსებობდა ცხენის კულტი. დასაწყისში ცხენი გამოიყენებოდა საბრძოლო ეტლებში შესაბმელად. ძველ აღმოსავლეთში ყველაზე განთქმული საბრძოლო ეტლები ხეთებს ჰყავდათ. სწორედ მათ გამოიყვანეს პირველად ბრძოლის ველზე მსუბუქი სამხედრო ეტლები, რომლებიც იმ დროისთვის საოცარი სისწრაფით გამოირჩეოდნენ.

წინა აზიაში წარმოშობილ ხეთურ ცივილიზაციას მჭიდრო კავშირი ჰქონდა კავკასიის რეგიონთან და ბუნებრივია, რომ ხეთების სამხედრო ხელოვნების სიახლეებს ქართველური ტომებიც ეზიარებოდნენ, მით უმეტეს, რომ ცხენი როგორც ითვლება, თავდაპირველად სამხრეთ რუსეთის სტეპებზე, კავკასიასა და მცირე აზიაში მოაშინაურეს. საქართველოს ტერიტორიაზე საომარი ეტლის არსებობას არქეოლოგიური გათხრებიც ადასტურებენ.

მეომრის ცხენზე ამხედრება შედარებით გვიან მოხდა. კავალერიის შექმნამ დაპყრობითი ომების არეალი მნიშვნელოვნად გაზარდა და ბრძოლის წარმოებაშიც შეიტანა ცვლილებები. ვინ გამოიყვანა პირველად ცხენოსანთა ჯარი ბრძოლის ველზე? რთული კითხვაა. თუმცა, შესაძლოა ეს რევოლუციური მიგნება აღმოსავლეთ ევროპაში მომთაბარე სკვითებსა და კიმერიელებს, ან ხმელთაშუა ზღვისპირეთის ხალხებს ეკუთვნოდეთ. ყოველ შემთხვევაში, ცხენოსანთა მძლავრი არმიის შექმნას მეცნიერები ასურეთის მეფეებს მიაწერენ. აქედან მოყოლებული, თითქმის XX ს-ის I ნახევრამდე, ცხენოსანთა არმიას წამყვანი როლი ენიჭებოდა მრავალ ქვეყანაში.

*საკავშირ ფირფიტის ფორმები განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. ფირფიტები ტყავზე ან სქელ ქსოვილზე მაგრდებოდა.*

# უძველეს ქართველთა საბრძოლო ხელოვნება

**რას ვიგებთ არგონავტების მითიდან?**

მითი არგონავტებისა და ოქროს საწმისის, მედეასა და იასონის სიყვარულის შესახებ ძველ საბერძნეთში თაობიდან თაობას გადაეცემოდა და უკვე ქრ.შ.-მდე VIIIს-ში იყო პოპულარული. სავსებით შესაძლებელია ამ ამბავს საფუძვლად ნამდვილი ისტორია ედოს, მაგრამ საუკუნეების მანძილზე მითი და რეალობა ერთმანეთში ისე შესისხლხორცდა, რომ დღეს მათი გარჩევა უკვე შეუძლებელია.

*ოქროს საწმისი, მისი მცველი ურჩხულის ხახიდან გადმოკიდებული იასონი და ღვთაება ათენა. სიუჟეტი თიხის ჭურჭლის მოხატულობიდან. ქრისტეშობამდე VI.*

ბერძენი ისტორიკოსის ჰეროდოტეს (ქრ.შ.-მდე Vს.) მტკიცებით, იასონს კოლხეთში ულაშქრია ტროას ომამდე, რომელსაც ქრ.შ.-მდე XIIIს-ის 30-იანი წლებით ათარიღებენ. ამდენად ბერძნების კოლხეთში

*არგონავტების კოლხეთში მოგზაურობის მარშრუტი*

ჩასვლა ქრ.შ.-მდე XIIIს-ის I ნახევარში შეიძლებოდა მომხდარიყო. საქართველოს სამხედრო ისტორიის თვალსაზრისით, არგონავტების მითი ბევრ საინტერესო დეტალს შეიცავს. არგონავტების ისტორია ყველაზე ვრცლად აღწერა აპოლონიოს როდოსელმა („არგონავტიკა", ქრ.შ.-მდე IIIს.), რომლის მონათხრობით კოლხეთის ლეგენდარულ მეფე აიეტს ჰყოლია „ურიცხვი ლაშქარი", ემოსა ჯაჭვის პერანგი, ხელში ეჭირა მრავალკეც ტყავდადკრული ფარი და საშინელი შუბი. ქალაქიდან გამოდიოდა საბრძოლო ეტლით, რომელშიც სწრაფმავალი ტაიჭები იყვნენ შებმული. კოლხებს ჰყავდათ სამხედრო გემებიც, რომლითაც თავს იცავდნენ ზღვაზე მოთარეშე მტრისგან. არგონავტების მითის მიხედვით, ქრ.შ.-მდე XIIIს-ში ქართველურ ტომებს უკვე ჩამოყალიბებული სახმედრო სტრუქტურა ჰქონიათ. ამ დროიდან იწყება ქართველთა საბრძოლო ხელოვნების ისტორია.

ყველაზე ძველ ცნობად, რომელშიც ასახულია ქართველური ტომის, ტაოხის, ბრძოლა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ, მიჩნეულია ასურეთის მეფის ტიგლათფილესერ I-ის ქრ.შ.-მდე 1112 წელს შექმნილი წარწერა. მასში საუბარია ასურეთის მეფის ლაშქრობაზე დაიაენის (ნარინის) ქვეყანაში. ქრ.შ.-მდე XIIIს-ში სამხრეთ კავკასიაში ჩამოყალიბდა უძველესი სახელმწიფო წარმონაქმნი, რომელსაც ასურელები დაიაენს, ხოლო ურარტუელები დიაოხს უწოდებდნენ,

*ასურნასირფალ II-ის სასახლის კედელზე შენობნახული ასურელთა ღვთაების გამოსახულება.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლის მოსახლეობას, მოგვიანებით, ძველი ბერძნები ტაოხებად იხსენიებდნენ. ამ უძველესი სახელმწიფოს სახელი შემორჩა საქართველოს ისტორიულ პროვინციას – ტაოს (დიაოხი – ტაოხი – ტაო). დიაოხი საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოიცავდა და რამდენიმე ოლქისგან შედგებოდა. ქვეყანას მართავდა მეფე, რომელიც სამეფო ქალაქში ცხოვრობდა. დიაოხის მეფეს ჰყავდა ჯარი, რომელშიც ქვეით მეომრებთან ერთად, საბრძოლო ეტლებისგან შემდგარი სამხედრო ნაწილებიც შედიოდა.



*ასურელების ბრონზისმაგრას ალების სცენა. ბარელიეფზე კარგად ჩანს, თუ როგორ ანგრევენ გალავანს ტარანი.*

ტიგლათფილესერ I (ქრ.შ.-მდე 1114-1076) მოგვითხრობს, როგორ დაამარცხა დიაოხი და როგორ დაბრუნდა იგი ქ. ასურში (ასურეთის სახელმწიფოს დედაქალაქი, მდებარეობდა მდ. ტიგროსის ნაპირას): „დიდ ღვთაებათა შეწყობით [მე, ტიგლათფილესერი], რომელიც სამყაროს ოთხივ მხარეზე სამართლიანად ვმბრძანებლობ, რომელსაც არ მყავს მძლეველი ომში [და] ტოლი ბრძოლაში, შორეულ მეფეთა ქვეყნებისაკენ, რომელნიც ზემო ზღვის (შავი ზღვა) ნაპირას [ცხოვრობენ] [და] რომლთაც არ იცოდნენ [თუ რა არის] მორჩილება, ღვთაება ასურმა, მეუფემ, გამგზავნა. გავემართე გაუვალი გზებითა და მძიმე გადასასვლელებით... სიენი, მეფე დაიენის ქვეყნისა, რომელიც არ ემორჩილებოდა ღვთაება ასურს, ჩემს მეუფეს, დატყვევებული და შებოჭილი ჩემს ქალაქ ასურში წავიყვანე [და იქ] შევიწყალე იგი. ჩემს ქალაქ ასურიდან დიად ღვთაებათა მორჩილი გავუშვი მე იგი მორჩილებისა და სიცოცხლისათვის. ნაირის ვრცელ ქვეყნებს (ასურეთის ჩრდილოეთით, ვანისა და ურმიის ტბის გარშემო მდებარე ტერიტორია) მთლიანად დავეუფლე და მათი ყველა მეფე ჩემს ფეხთ წინაშე დავამხე“.

*ასურეთის მეფის ტიგლათფილესერ I-ის წარწერა სოფელ იუნჯალუსთან (თურქეთი). წარწერაში საუბარია ნაირის ქვეყნებზე ლაშქრობის შესახებ.*



*ნადირობის სცენა. ბარელიეფი ნინევიის სასახლიდან. ქრისტეშობამდე VII ს.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დიაოხისა და ურარტუს ბრძოლა

ქრ.შ.-მდე IXს-ში სამხრეთ კავკასიაში, ვანისა და ურმიის ტბის მიდამოებში წარმოიქმნა ურარტუს სახელმწიფო. ამიერიდან დიაოხს ურარტუსთან უხდებოდა ბრძოლა. ჩვენამდე მოღწეულ რამდენიმე ურარტულ ლურსმულ წარწერაში საუბარია დიაოხის წინააღმდეგ წარმოებულ სამხედრო კამპანიებზე. ურარტუს მეფეები თავიდანვე აქტიურად ცდილობდნენ ჩრდილოეთისკენ გაფართოებას, რასაც წინ აღუდგა დიაოხი. ქრ.შ.-მდე IX-VIIIსს მიჯნაზე ურარტუს მეფე მენუა შეეცადა დიაოხის დაპყრობას. ეს ლაშქრობა დეტალურადაა აღწერილი მისი ბრძანებით გაკეთებულ 40 სტრიქონიან წარწერაში, რომელიც კლდეზეა ამოკვეთილი ქ. არზრუმის მახლობლად: „მენუა ამბობს: დავიპყარი დიაუხის ქვეყანა, ქალაქი შაშილუ, სამეფო ქალაქი ბრძოლით დავიპყარი, ქვეყანა გადავწვი, ციხესიმაგრეები [დავანგრიე]. მივედი შეშეთის ქვეყნამდე, ქალაქ ზუა[მდე]. ქალაქი უტუსაი... უტუფურში, მეფე დიაუხისა, მოვიდა ჩემს წინაშე, მომეხვია ფეხებზე, ძირს დაემხო; მე [მას] მოწყალედ მოვექეცი, შევიწყალე იგი ხარკის [გადახდის] პირობით. მომცა მან ოქრო [და] ვერცხლი, მომცა ხარკი“.

*ურარტუელი მეომრის ამკრის ნაწილი*

*ბრინჯაოს კაპარჭი, სარდურ II-ის წარწერით.*

ამ ლაშქრობით არ შემოფარგლულა დიაოხისა და ურარტუს დაპირისპირება. მენუას მემკვიდრემ, არგიშთი I-მა, კიდევ ერთი ფართომასშტაბიანი ბრძოლა



*ურარტუელთა ლაშქრობა. მეომრები გადადიან მთებზე.*

დაიწყო დიაოხის წინააღმდეგ. არგიშთი I მოგვითხრობს: „დიაუხის მეფე მე დავიმორჩილე, შევიწყალე [იგი] ხარკის [გადახდის] პირობით. [აი] რანაირი ხარკი მისცა არგიშთის დიაუხიელმა: 41 მინა სუფთა ოქრო, 37 მინა ვერცხლი... ათი ათასი მინა სპილენძი, 1000 საჯდომი ცხენი, 300 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ათი ათასი სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი. [აი] როგორი ხარკი... დიაუხიზე მე დავდე, რათა მას [ეს ხარკი] ეძღია ყოველწლიურად... მინა სუფთა ოქრო, 10.000 მინა სპილენძი... ხარები, 100 ძროხა, 500 ცხვარი, 300 საჯდომი ცხენი...

*ურარტუელთა საომარი ეტლი*

## ვინ მტრობდა ქართველურ ტომებს?

ქრ.შ.-მდე VIIIს-ის I ნახევარში დიაოხმა არსებობა შეწყვიტა. ამ სამეფოს ტერიტორიის ნაწილი ურარტუმ, ხოლო ჩრდილოეთი პროვინციები, მეორე ქართულმა პოლიტიკურმა ერთეულმა, კოლხეთის სამეფომ შეიერთა. ამდენად ქრ.შ.-მდე VIIIს-ის დასაწყისში ურარტუ და კოლხეთი დამეზობლდნენ. მალე მათ შორის ბრძოლა დაიწყო რეგიონში პირველობის მოსაპოვებლად. ურარტუს მეფემ, სარდურ II-მ, 750-748 და 744-742 წლებში 2-ჯერ დალაშქრა კოლხეთი. აიღო მისი სამეფო ქალაქი ილდამუსა. დანგრია ცალკეული ოლქების ციხე-ქალაქები. ამ მოვლენასთან დაკავშირებით გაკეთდა საგანგებო წარწერა, რომლითაც

ეროვნული ბიბლიოთეკა




*ურარტუს სამეფო არგიშთი I-ისა და სარდურ I-ის პერიოდში.*

*ურარტუული მეომრის მუზარადი*

შეგვიძლია აღვადგინოთ კოლხეთზე ურარტუელთა ლაშქრობის მთელი ტრაგიკული სურათი. ყველაზე მასშტაბური მაინც მეორე ლაშქრობა ჩანს. სარდურ II-ის მატიანეში ვკითხულობთ: „გავემართე მე [ხალაშქროდ] კულხას ქვეყნის წინააღმდეგ, ქვეყანა მე..., ქალაქი ილდამუშა, სამეფო ქალაქი..., კულხახალის ქვეყნის მეფისა, გამაგრებული, ბრძოლაში მე დავიპყარი. [მისი] მოსახლეობა დავწვი, მეფის ნაცვალი კულხას ქვეყნისა, რომელიც იყო იქ, მე მოვაკვლევინე. რკინის ბეჭედი მოვამზადე, წარწერა დავდგი ქალაქ ილდამუშაში; ციხესიმაგრეები, ქალაქები დავწვი [და] დავანგრიე, ქვეყანა გავაჩანაგე, კაცები [და] ქალები გავრეკე“. ურარტუს მეფე დიდი ნადავლით გაბრუნდა. მან ტყვეების გარდა, კოლხეთიდან წაასხა 1500 ცხენი, 17300 მსხვილფეხა და 31600 წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი. სავარაუდოდ, ურარტუ კოლხეთის სამეფოს გარკვეულ ტერიტორიებსაც შეიერთებდა. ურარტუელებისგან მიყენებული ჭრილობა ჯერ კიდევ არ მოეშუშებინა, რომ კოლხეთში ჩრდილოეთიდან ახალი დამპყრობლები, კიმერიელები გამოჩნდნენ. ქრ.შ.-მდე VIIIს-ის მიწურულს სამხრეთ კავკასიაში აწყება კიმერიელთა გამანადგურებელი ლაშქრობები. სავარაუდოდ, სწორედ კიმერიელებმა მოუღეს ბოლო ძველი კოლხეთის სამეფოს.

*ურარტუს მეფის სარდურ II-ის მატიანის აღმოჩენის მოგონება. ტექსტი შესრულებულია სტელაზე და მის კარცხლბეკზე.*

ქრ.შ.-მდე VIIს-ის II ნახევარში ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასუსტებული ურარტუს ნაცვლად, ქართულ ტომებს სამხრეთიდან მძლავრი აქემენიდების სახელმწიფო გაუმეზობლდა. ქრ.შ.-მდე VI-ს ისტორიული სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი აქემენიდების იმპერიის ფარგლებში მოექცა. ჰეროდოტეს (ქრ.შ.-მდე 484-425) ცნობით, ისტორიული კოლხეთის სამხრეთი რაიონები, ასევე შავი ზღვის ნაპირზე მცხოვრები ტომები: მაკრონები, ტიბარენები, მოსინიკები, მოსხები, აქემენიდთა მე-19 სატრაპიაში (ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული) შედიოდნენ და ყოველწლიურ ხარკს იხდიდნენ. ქართველურ ტომებზე აქემენიდთა ბატონობა საუკუნეზე მეტხანს გაგრძელდა, ვიდრე ისინი დარიოს III-ის დროს (ქრ.შ.-მდე 336-330) არ დაამარცხა ალექსანდრე მაკედონელმა.



*ქსენოფონტე (ქრ.შ.-მდე 430-354) ძველი ბერძენი ისტორიკოსი და მწერალი.*

**როგორი იყო ქართველი მეომრის ჩაცმულობა?**

უძველეს ქართულ სახელმწიფო გაერთიანებებში (კოლხეთი – კოლხა – დიაოხი) ჩამოყალიბებული სამხედრო სისტემა არსებობდა. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას განსაზღვრავდა მეფისა თუ ადგილობრივი დიდებულების მიერ გამოყვანილი ჯარი, ასევე ციხესიმაგრეთა მთელი სისტემა. ამ პერიოდის ქართველი მეომრის სამხედრო აღჭურვილობას ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ ქრ.შ.-მდე II ათასწლეულის II ნახევრისა და I ათასწლეულის I ნახევრის სამარხებში აღმოჩენილ სამხედრო აღჭურვილობის დეტალებს თუ ერთობლიობაში წარმოვიდგენთ, შესაძლოა ძველი ქართველი მეომრის შეიარაღება და ჩაცმულობა აღვადგინოთ. ისტორიული წყაროებიდან ქართველი მეომრის ჩაცმულობისა და აღჭურვილობის ერთ-ერთ პირველ დოკუმენტურ აღწერილობას ვხვდებით ისტორიკოს ქსენოფონტესთან (ქრ.შ.-მდეVს.), რომელიც ჯარისკაცი იყო და სპარსეთის მეფე კიროსის ჯარში მსახურობდა. სამშობლოში დაბრუნებისას მან და მისმა თანმხლებმა ბერძენმა მეომრებმა ქართველური ტომებით დასახლებულ ტერიტორიაზე იმოგზაურეს. ივი მოგვითხრობს ერთ-ერთ ქართველურ ტომთან – მაკრონებთან მოლაპარაკების ამბავს და ამ კონტექსტში აღწერს მაკრონი მეომრების აღჭურვილობას: „[ისინი] ჩქარობდნენ, რომ რაც შეიძლება მალე გასცლოდნენ ამ მიდამოს, მაკრონები კი ბეწვის ქიტონებში, ხელში ფარებით და შუბებით [მდინარის] ფონის მოპირდაპირე მხარეს საბრძოლოდ დარაზმულიყვნენ, ერთიმეორეს ამხნევებდნენ და ისროდნენ ქვებს მდინარეში, მაგრამ [ქვები ელინებს] ვერ სწვდებოდა და ზიანსაც არავის არ აყენებდა.“



*გიორგი ლომთათიძე (1914-1971)*

გასული საუკუნის შუა წლებში საინტერესო ექსპერიმენტი ჩაატარა ცნობილმა ქართველმა არქეოლოგმა გიორგი ლომთათიძემ. მისი მითითებით დაიხატა ძველი ქართველი მეომარი სრული საბრძოლო აღჭურვილობით, რომელიც რეალობასთან ახლოსაა: ჩაფხუტი აღდგენილია წალკის ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილი მასალის მიხედვით, იარაღი და სარტყელი კი მცხეთაში, სამთავროში, აღმოჩენილი მახვილის ტარისა და ქარქაშის, სატევრის, ცულისპირის, შუბისპირის, შუბისტარზე ქვემოდან წამოსაცმელისა და სარტყელის მსგავსია. მეომრის სახე აღებულია სამთავროსა და წალკაში აღმოჩენილი ბრინჯაოს ქანდაკებებიდან. ტანსაცმელი და ფეხსაცმელი წინაზიურ გამოსაპულებათა მიხედვითაა აღდგენილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაკედონელები, აზო და ფარნავაზი, არტაანის ბრძოლა

**მკვლელობა, რომელმაც შეცვალა ძველი მსოფლიო**

ქრისტეშობამდე 336 წლის ზაფხულში მაკედონიის მეფე ფილიპე II სამეფოს ძველ სატახტო ქალაქ ეგეში ქალიშვილის ქორწილს აღნიშნავდა. ზეიმმა რამდენიმე დღე გასტანა. სტუმრების პატივსაცემად ქალაქი საგანგებოდ მოერთოო, იპოდრომსა და თეატრში შეჯიბრებები და წარმოდგენები იმართებოდა. მეფის სასახლეში წარჩინებულები იკრიბებოდნენ. მალე მეფე ფილიპეც გამოჩნდა, უფლისწულ ალექსანდრესა და სიძის, ეპირის მეფე ალექსანდრეს თანხლებით. ფილიპე ოდნავ კოჭლობდა, მაგრამ ამ ნაკლს ტანის მოძრაობით მოხერხებულად ფარავდა. სამეფო ამალა და საპატიო სტუმრები თეატრისკენ გაემართნენ, რომელიც სასახლიდან ასიოდე მეტრში მდებარეობდა.

*ოქროს მედალიონი ფილიპე II-ის გამოსახულებით.*

ფილიპე უფლისწულ ალექსანდრესა და სასიძის შორის იდგა. ხალხი შეძახილებით ხვდებოდა მეფეს. მცველებმა გზა გაათავისუფლეს. ფილიპე ოდნავ დაწინაურდა. ის-ის იყო თეატრის შესასვლელი უნდა გაევლო, როდესაც მცველთა რაზმს ერთი მეომარი გამოეყო და მეფისკენ დაიძრა. ყველაფერი წამებში მოხდა. მცველი ფილიპესთან მიიჭრა და მახვილი გულში ამცერა. დაჭრილი ფილიპე ჩაიკეცა. ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა, მეფემ იქვე დალია სული... მკვლელმა გაქცევა სცადა,მაგრამ ფილიპეს მცველები დაეწივნენ და მოკლეს. ფილიპეს სიკვდილის შემდეგ, სამეფო კარზე ერთმანეთს რამდენიმე დაჯგუფება დაუპირისპირდა. საბოლოოდ, სამეფო ტახტი მისმა შვილმა, სრულიად ახალგაზრდა, ოცი წლის ალექსანდრემ დაიკავა.

*ფილიპე II-ის აბჯარი. სოფელ ვერგინაში აღმოჩენილი აკლდამიდან.*

ფილიპე II თავისი დროის უდიდესი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე იყო, მაგრამ ალექსანდრე მაკედონელის მიღწევებმა ნაწილობრივ დაჩრდილა მისი ღვაწლი. არადა, მაკედონია უძლიერეს სახელმწიფოდ სწორედ ფილიპეს მიერ გატარებული სამხედრო რეფორმების წყალობით იქცა. ეს რეფორმა იმ პერიოდისთვის საოცრად ნოვატორული იყო. მაკედონური ფალანგა, რომელმაც თავზარი დასცა აზიას, პირველად ფილიპე II-მ გამოიყენა.



*1977 წელს არქეოლოგებმა სოფელ ვერგინაში (საბერძნეთი, 85 კმ. სალონიკიდან) აღმოაჩინეს გაუძარცვავი აკლდამა, რომელიც მოგვიანებით ფილიპე II-ის აკლდამად გამოცხადდა (აკლდამის რეკონსტრუქცია).*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბერძნული და მაკედონური ფალანგა

ქრ.შ-მდე VIIIს-ში მსოფლიო სამხედრო ხელოვნების ისტორიაში იწყება მნიშვნელოვანი ეტაპი, რომელიც დაკავშირებულია ბერძნული ფალანგის გამოგონებასთან – ბრძოლის წარმოების ახალ სისტემასთან. უშუალოდ შეტაკებისას ბერძენი მეომრები აღარ იჭრებოდნენ მოწინააღმდეგის რიგებში – ბრძოლის ველზე მოძრაობდნენ მკაცრად განლაგებულ მწკრივებად. მეომართა რიგი მთელ ბრძოლის ხაზზე ისე იყო გაჭიმული, რომ შეტევისას მწკრივი არ ირღვეოდა. ფალანგა 8 მებრძოლისგან შედგებოდა. მეომრები ერთმანეთს ზურგს უკან ისე იდგნენ, რომ პირველი მწკრივის მეომრის ადგილს, მისი სიკვდილის ან დაჭრის შემთხვევაში, იკავებდა მეორე მწკრივის მეომარი. ბერძენი მეომრები შეიარაღებულნი იყვნენ 2-2,5მ-იანი შუბებით. სხეული დაცული ჰქონდათ აბჯრით და თავზე მუზარადები ეხურათ. დროთა განმავლობაში ფალანგა გარკვეულ მოდიფიკაციას განიცდიდა, რადგან მთაგორიან ადგილებში რამდენიმე ასეულ მეტრზე გაშლილი ფალანგის აქტიური ძალადან წარმოუდგენელი იყო. სწორედ ამან უბიძგა ქსენოფონტეს ფალანგა დაეყო რაზმებად – „ლოხებად“, რათა საჭიროების შემთხვევაში დამოუკიდებლად ემოქმედა. ფალანგას ჰქონდა კიდევ ერთი სუსტი ადგილი – ფლანგები. შემოვლითი მანევრის შემთხვევაში, მტერი შეიძლება ზურგში აღმოჩენილიყო, რაც დამღუპველი იქნებოდა ბერძნებისთვის. სწორედ ასეთი მექვიდრეობა მიიღო ფილიპე II-მ. ბერძნული ფალანგის ევოლუციის შედეგად წარმოიშვა მაკედონური ფალანგა. უპირველესად, შეიცვალა ფალანგის წყობა და მეომრის აღჭურვილობა. ამიერიდან ფალანგა შეადგენდა არა 8 მეომარს, არამედ 16-ს. მაკედონელთა არმია დანაწილდა ცალკე ერთეულებად, რომელთაც, აუცილებლობის შემთხვევაში, დამოუკიდებლად მოქმედება შეეძლოთ. ფალანგის წინა ხაზზე მდგარი 16 მეომარი, თითოეულ მწკრივში მყოფ 16 მეომართან ერთად შეადგენდა



სინტაგმას (16X16=256 მეომარს). 6 სინტაგმა ქმნიდა პოლკს ანუ ტაქსისს (6X 256=1536 მეომარი). მაკედონური ფალანგა შეიძლება ორგვარი ყოფილიყო: მცირე და დიდი. მცირე ფალანგაში შედიოდა 16 (16X256=4096), ხოლო დიდში 64 სინტაგმა (64X 256=16384). ბრძოლის ველზე დიდი ფალანგის გაშლის შემთხვევაში, ფრონტის ხაზი 1024 მეომარს ითვლიდა და 1,3-1,5კმ-მდე იჭიმებოდა. ფილიპე II-ს დროს მეომრის აღჭურვილობაში ჩნდება ახალი დეტალი – ფალანგისტების შუბი (სარისა), რომელიც 5-5,5მ-მდე გაიზარდა. მისი წონა 6-7კგ იყო. სიმკვრივის შესანარჩუნებლად შუბს ტარზე დამატებით რგოლებს უკეთებდნენ. ასეთი იარაღი ბრძოლისას ორი ხელით ეჭირათ. ამიტომაც, ბერძნებისგან განსხვავებით, მაკედონელები დიდ ფარებს ველარ ატარებდნენ. პატარა ფარები (დაახლ. 60სმ დიამეტრის) მათ მხრებზე ისე ჰქონდათ დამაგრებული, რომ ტანის მნიშვნელოვან ნაწილს უფარავდა. გრძელმა შუბმა ფალანგა კიდევ უფრო მრისხანე ძალად აქცია. სინტაგმის პირველ 5 მწკრივს შუბები ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ეკავათ. მოწინააღმდეგის მიერ ბრძოლის ხაზის გარღვევა, ფაქტობრივად, წარმოუდგენელი იყო. სიღრმეში მდგომ მეომარს ბრძოლის დაწყებისას შუბი ვერტიკალურად ეჭირა, წინა რიგებში გადანაცვლების შემთხვევაში კი, საბრძოლო პოზიციას იკავებდა.

ფილიპე II-ის არმიის მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა სხვა სამხედრო შენაერთებიც. ფალანგის ზურგს იცავდნენ მსუბუქად შეიარაღებული ქვეითები, ხოლო ფლანგებზე განლაგებული იყო მხედრობა. შემდგომმა ბრძოლებმა კარგად აჩვენა, რომ მაკედონური ფალანგის მოქმედების პარალელურად, ფლანგებიდან განხორციელებული იერიშები მტერს თავზარს სცემდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა


შავი ზღვა
დიოსკურია
ფაზისი
ბოსპორი
ბალტიის ზღვა
ხორეზმი
ტრაპიზონი
ფრიგია
ეგეოსი
ეგეოსი
ეგეოსი

ზოგს მიწა მისცა, ზოგს სოფელი, ზოგსაც დაბისა თუ ნავსადგურის შემოსავალი დაუნაშნა.“ ამის შემდეგ ალექსანდრეს ჰკითხეს: „კი მაგრამ, შენთვის რაღას იტოვებ, მეფეო? – „იმედს“, – უპასუხა მან.

რამდენიმე წელიწადში ალექსანდრე დიდმა შეძლო მცირე აზიის, სირიის, ფინიკიის, პალესტინის, ეგვიპტე-ლიბიის, მესოპოტამიის, სპარსეთის, ცენტრალური აზიის, ინდოეთის დაკავება და შექმნა პირველი უდიდესი ევრაზიული სახელმწიფო.


მაკედონია
მცირე აზია
ბალკანეთი
ეგეოსი
ეგვიპტე
ბიბლიოთეკა
ალექსანდრია
ეგვიპტე
ეგეოსი
ეგეოსი
ეგეოსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე (ქრ.შ.-მდე 484-425). იგი მიწიწულია ევროპული ისტორიოგრაფიის ფუძემდებლად. ძველი ბერძნები მას „ისტორიის მამამთავარს“ უწოდებდნენ.*

К 28.325
4

თანამედროვე ისტორიკოსების აზრით, მართალია, ალექსანდრეს საქართველოში უშუალოდ არ ულაშქრია, მაგრამ შეუძლებელია ისეთი სტრატეგიული რეგიონის, როგორიც კავკასიაა, მის პოლიტიკურ ინტერესთა მიღმა დარჩენილიყო. კავკასიონის ქედზე ოდითგანვე გადიოდა ჩრდილოეთისა და სამხრეთის დამაკავშირებელი ძნიშვნელოვანი გზები. აღმოსავლეთ ევროპაში მომთაბარე ტომები ხშირად ამ მაგისტრალებით იჭრებოდნენ წინა აზიაში და უდიდეს სახელმწიფოებს გამანადგურებელ დარტყმებს აყენებდნენ. ქართული წყაროების ზედმიწევნით შესწავლამ კიდევ უფრო განუმტკიცა მეცნიერებს აზრი, რომ, შესაძლოა, ქართული ტომებით დასახლებული გარკვეული რეგიონი უშუალოდ შესულიყო მაკედონელის ვრცელ იმპერიაში.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში, იქ, სადაც მოთხრობილია ალექსანდრეს საქართველოში ლაშქრობის ამბავი, აღნიშნულია, რომ მას თან ახლდა „არიან ქართლის“ მეფის ძე – აზო. ამ კონტექსტში „არიან ქართლის“ ხსენება მიუთითებს, რომ საქმე გვაქვს უძველეს ქართულ საისტორიო ტრადიციასთან, ვინაიდან IXს-ში ეს ტერმინი ვერ შეიქმნებოდა, რადგან, უბრალოდ, გაუგებარი იქნებოდა. როგორც ჩანს, ისტორიკოსი ეყრდნობოდა ძველ ცნობებს.

## რას ნიშნავს „არიან ქართლი“?

„არიან ქართლში“ იგულისხმება უშუალოდ აქემენიდების ირანის მიერ დაპყრობილი ტერიტორია. ტერმინის პირველი ნაწილი – „არიან“ ირანს (საკუთარ თავს ისინი სწორედ ამ სახელით მოიხსენიებდნენ) ნიშნავს, ანუ საქმე გვაქვს „ირანის ქართლთან“. ქრ.შ.-მდე IIIს-დან გვხვდება ტერმინი „ირანი“, რომელიც „არია“ – „არიელის“ – „ირანის“ სახეცვლილი ფორმაა. ეს ფაქტი კარგად იცის „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ავტორმა, ამიტომაც ქრ.შ.-მდე IVს-ის ამბების გადმოცემისას ირანის აღმნიშვნელად ხმარობს „არიანს“, რაც იმ ეპოქისთვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

ჰეროდოტეს გადმოცემით, აქემენიდების ირანს დაპყრობილი ჰქონდა ქართული ტომებით დასახლებული ტერიტორია, რომელიც მე-19 სატრაპიაში შედიოდა. ამდენად, სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ნაწილი ირანის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. როგორც ჩანს, სწორედ ამ ტერიტორიას ეწოდა „არიან ქართლი“ ე. ი. „ირანის ანუ სპარსეთის ქართლი“.




*ძველი მცხეთა რთული საფორტიფიკაციო ნაგებობებით იყო გარემოცული. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე არმაზციხე იყო აღმართული (1). არაგვის ხეობას ბებრისციხე (2) და წიწამურის უბანს „სუვსმორას“ (წიწამურის) ციხე (3) კეტავდა.*

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ლისიმაქე (ქრისტეშობამდე 361-281). ალექსანდრე მაკედონელის პირადი მეკელი და მხედართმთავარი. 306 წელს თავი მეფედ გამოაცხადა. ფლობდა მცირე აზიის ნაწილს და მაკედონიას. დაიღუპა სელევკი 1-თან ბრძოლაში 281 წელს.*

## ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაშლა

ქრ.შ.-მდე 323 წელს ალექსანდრე ქალაქ ბაბილონში იმყოფებოდა. ბერძენი ისტორიკოსი პლუტარქე მოგვითხრობს: ალექსანდრე თავისმა თანამებრძოლმა მედიოსმა სტუმრად მიიწვია და დიდი ნადიმი გაუმართა. იგი აქ მთელი დღის განმავლობაში ღვინოს სვამდა, უცებ ალექსანდრეს ხურვება აუვარდა და ისეთი ტკივილი იგრძნო ზურგში, თითქოს შუბი ჩასცესო. მას სამნილელი ციებ-ცხელება დაეწყო. ამის შემდეგ ალექსანდრე აღარ გამოჯანმრთელებულა და მალევე გარდაიცვალა. ამგვარი მოულოდნელი სიკვდილის გამო, ისტორიკოსთა ნაწილი ფიქრობს, რომ ალექსანდრე მაკედონელი შეთქმულების მსხვერპლი გახდა.

ალექსანდრეს ნაადრევმა სიკვდილმა ქვეყანაში კრიზისი გამოიწვია. მის სარდლებს შორის, რომელთაც მემკვიდრეებად ანუ დიადოხოსებად მოიხსენიებენ, აუყდა სამოქალაქო ომი, რომელიც რამდენიმე ათეულ წელს გაგრძელდა. ქრ.შ.-მდე 311 წელს დიადოხოსებს შორის დაადო შეთანხმება, რომლის ძალითაც ალექსანდრე დიდის იმპერია რამდენიმე ნაწილად დაიყო. ანტიგონეს წილად ხვდა მცირე აზია, ლისიმაქეს – თრაკია, პტოლემაიოსს – ეგვიპტე და ა.შ. ამ შეთანხმებაში არ იხსენიებოდა ალექსანდრეს ერთ-ერთი სარდალი, სელევკი, რომელსაც უკვე დაპყრობილი ჰქონდა ბაბილონი და მისი მიმდებარე ტერიტორია. რამდენიმე წელიწადში დიადოხოსებს შორის დაპირისპირებამ ახალი ძალით იფეთქა. ახლო აღმოსავლეთში გაბატონებისთვის ერთმანეთს დაუპირისპირდნენ სელევკი და ანტიგონე. ქრ.შ.-მდე 301 წელს იფსოსის ბრძოლაში სელევკემ დაამარცხა ანტიგონე. ეს უკანასკნელი ბრძოლის ველზე დაეცა. მისი სამფლობელო კი ორ ნაწილად გაიყო: სპარსეთისა და სირიის ნაწილი ერგო სელევკის, ხოლო მცირე აზია (ქართული წყაროებით – „საბერძნეთი“, ვინაიდან შუა საუკუნეებში მცირე აზიას ფლობდა ბიზანტია, ეს რეგიონი ქართველთათვის საბერძნეთად იყო აღქმული) – ფრიგიის მმართველ ლისიმაქეს. კავკასიაზე თავისი გავლენის გავრცელებას ცდილობდა, როგორც ერთი, ასევე მეორე მმართველი.

*სელევკი I ნიკატორი (ძვეგვამოსილი). მოღვაწეობდა ქრისტეშობამდე 358-281 წელს. ალექსანდრე მაკედონელის მხედართმთავარი. 221 წელს მიიღო სატრაპია ბაბილონეთი. მოგვიანებით დამოუკიდებელ მმართველად გამოაცხადა თავი. შემოიერთა მიდია, პერსიდა, ბაქტრია. 305 წელს შეიძინა ტიტული მეფე. 281 წელს ლისიმაქეს დამარცხების შემდეგ, მთელი მცირე აზია დაიპყრო.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული საისტორიო ტრადიცია ქართლის პირველ მეფედ ორ სხვადასხვა პირს ასახელებს – აზოსა და ფარნავაზს. შუა საუკუნეებში დაწყებული ეს კამათი დღემდე გრძელდება. მეცნიერები ვერ თანხმდებიან, რომელ წყაროს მიანიჭონ უპირატესობა. როგორც ერთ, ასევე მეორე მოსაზრებას, ჰყავს მომხრეები და მოწინააღმდეგეები.

**ვინ იყო ქართლის პირველი მეფე?**

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მოგვითხრობს: „ესე იყო პირველი მეფე მცხეთას, აზო, ძე არიან-ქართველთა მეფისა. და მის შემდგომ დადგა ფარნავაზ. მან აღმართა კერპი არმაზ.“ ქართლის სამეფოს შექმნის ისტორია აღწერილი აქვს ლეონტი მროველსაც: „და ეს ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლში, ქართლოსისა ნათესავთაგანი.“ მაგრამ თუ კარგად ჩავუღრმავდებით, ქართულ წყაროთა მონაცემებში, არც ისე დიდი განსხვავებაა. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ თუ ქართლის პირველ მეფედ პირდაპირ ასახელებს აზოს (აზონს), ლეონტი მროველი ამ რეალობას არაპირდაპირ აღიარებს – აზოს ხელისუფლებამ მოიცვა: „საზღვარნი ქართლისანი, ჰერეთიდგან და ბერდუჯის მდინარითგან, ვიდრე ზღვამდე სპერისა და დაიპყრა ქართლსა ზედა ეგრისიცა და მოხარკე ყენა – ოსნი, ლეკნი და ხაზარნი“, ანუ მემატიანე ცნობს ერთიან ძლიერ სახელმწიფოს, რომლის ცენტრი მცხეთაა. მისი განცხადება, რომ „ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლში, ქართლოსისა ნათესავთაგანი“ მიუთითებს იმაზე, რომ მან იცის ფარნავაზამდე სხვა ქართლის მეფის არსებობა. ამიტომაც სჭირდება ავტორს იმის აღნიშვნა, რომ ფარნავაზი იყო ქართლის პირველი მეფე, ქართლოსიანთა დინასტიიდანო. აზო ხომ ქართლოსიანი არ არის, ის „არიან ქართლის“ მეფის ძეა, ანუ სხვა საგვარეულოს ეკუთვნის.

ამდენად, ქართლის პირველ მეფედ აზო უნდა მივიჩნიოთ. რაც შეეხება ფარნავაზს იგი იყო ქართლის პირველი მეფე ქართლოსიანთა დინასტიიდან, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა „ფარნავაზიანთა სამეფო სახლს.“

„ქართლის ცხოვრების“ მონათხრობი ფარნავაზის შესახებ ბევრ ზღაპრულ ამბავს შეიცავს, მაგრამ ფარნავაზი ქართლის სამეფოსა და სამეფო დინასტიის ფუძემდებელი რომ იყო, ეს ფაქტი დასტურდება სხვა წერილობითი წყაროებითაც. ქრისტეშობიდან IV საუკუნის სომეხი ისტორიკოსი ფავსტოს ბუზანდი ქართლის სამეფო საგვარეულოს „ფარნავაზიანებს“ უწოდებს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

**როგორი იყო აზოს მმართველობა ქართლში?**

აზოს მმართველობამ მძიმე პირობებში ჩაყენა ქართლის, განსაკუთრებით მცხეთის მოსახლეობა. „და იყო ჭირი დიდი ნათესავსა ზედა ქართველთასა“ – გვაუწყებს ლეონტი მროველი. მან თავისი პოლიტიკური ძალაუფლების განმტკიცების მიზნით, დედაქალაქს ზღუდეები მოუნგრია და მხოლოდ ოთხი ციხე დატოვა ხელუხლებელი, სადაც ერთგული მეციხოვნეები ჩააყენა. შემდეგ ისტორიული სამშობლოდან – „არიან ქართლიდან“ ორი კერპი, გაცი და გაიმი, ჩაიტანა და მცხეთაში აღმართა.

ოჯახთან ერთად გახიზნული სამი წლის ფარნავაზი კავკასიონის მთებში იზრდებოდა. მისი არსებობა თითქმის ყველას გადავიწყდა.

როდესაც წამოიზარდა ფარნავაზი, მან მცხეთაში დაბრუნება გადაწყვიტა. ამ დროს იგი უკვე დახელოვნებული მეომარი და მონადირე იყო.

ფარნავაზი მცხეთაში დაბრუნდა და აზოს ამალაში დაიწყო სამსახური. ლეონტი მროველი მოგვითხრობს: „ეკვდრებოდა ფარნავაზს დედა მისი: შვილო ჩემო, ერიდე აზონს, ნუ გამოაჩენ შენს სიკეთეს, რამეთუ მოგკლავს შენ! და ჰქონდათ შიში და ძრწოლა აზონისი.“

ფარნავაზი ხშირად მონაწილეობდა აზოს მიერ მოწყობილ ზეიმებსა თუ ნადირობებში. აზო საქვეყნო საქმეებზეც ეკითხებოდა ფარნავაზს რჩევებს და ცდილობდა მუდამ გვერდით ჰყოლოდა, რადგან „ფარნავაზ იყო კაცი გონიერი, მხედარი შემართებული და მონადირე ხელოვანი.“

ამ პერიოდისთვის კიდევ უფრო მეტად დამძიმდა აზოს მმართველობა. გაუსაძლის პირობებში ჩავარდნილი მოსახლეობა იარაღით ხელში ებრძოდა და არ ცნობდა მის ხელისუფლებას. აზომ გადაწყვიტა, ხალხი გაუგონარი სისასტიკით დაემორჩილებინა. მისი მეომრები აწიოკებდნენ სოფლებს, სიკვდილით სჯიდნენ მოწინააღმდეგეებს, არ ინდობდნენ დიდსა თუ პატარას...

„იყო იმ ჟამად ქალაქ მცხეთას ჭაბუკი ერთი, რომელსაც ერქვა სახელად **ფარნავაზი**. ეს ფარნავაზი იყო მამით ქართველი, ნათესავი უფლისა, მცხეთოსის ძისა და დედით სპარს-ასპანელი, და იყო იგი ძმისწული სამარანი, რომელიც ალექსანდრეს მოსვლისას მამასახლისი ყოფილიყო მცხეთის. ეს სამარა და ძმა მისი, მამა ფარნავაზისა, ალექსანდრეს მოეკლა, ხოლო დედას წაეყვანა ფარნავაზი, სამი წლის ყრმა და კავკასიონისათვის შეეფარებინა თავი. აქ აღიზარდა ფარნავაზ და დაუბრუნდა მცხეთას, მამულსა თვისსა.“

*ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა*

*ფარნავაზის ოჯახის კავკასიის მთებში გახიზვნა.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ძველ სამყაროში **სიზმარს** უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. სიზმრის შინაარსის მიხედვით, განმმარტებლები წინასწარმეტყველებდნენ, როგორ განვითარდებოდა მოვლენები ნანახის განსახორციელებლად. სიზმრის სწაჰდა ხალხს და უამრავ ხალუდ ოუ უხილავ წარმოდგენებს მას უკავშირებდნენ. სიზმარი ითვლებოდა ღვთის ნების გამოხატულებად...

„ქართლის ცხოვრებაში" მოხვედრილი ზღაპარი სულაც არ წარმოადგენს დიდ გადახვევას. მსგავსი ამბების გადმოცემა ძველი მწერლობისათვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ფარნავაზის სიზმარი იმდენად ნათელია, რომ განმარტება არ სჭირდება. გმირის მოკავშირედ გამოყვანილია მზე, რომელმაც იკისრა მეგზურობა და უკაცური სახლიდან სამშვიდობოს გამოიყვანა ივი. გმირი შემოსა მზიური სინათლითა და ძალით."

*გრანი ტკეშარა*

## როგორ იპოვა ფარნავაზმა განძი?

ფარნავაზის დედა ეშვობდა, რომ აზოს შეიძლება მისი შვილისთვისაც უბედურება მოეტანა, ამიტომაც ურჩევდა ფარნავაზს: „შვილო ჩემო, დატოვე საყოფელი შენთა მამათა და წავიდეთ სპარსეთს. ასე გადაურჩები აზოსო." ფარნავაზს სამშობლოს დატოვება ეძნელებოდა, მაგრამ, რეალური საშიშროების გამო, დედას დაეთანხმა და წასვლისთვის მომზადებაც დაიწყო.

იმ საღამოს, როგორც ლეონტი მროველი მოგვითხრობს, ფარნავაზმა სიზმარი ნახა – ვითომდა სახლიდან გასვლა უნდოდა, მაგრამ ვერ გადიოდა. უცებ მზის სხივი შემოიჭრა სარკმლიდან, წელზე შემოეკრა და სამშვიდობოს გაიყვანა. სიზმარი წინასწარმეტყველური აღმოჩნდა: დილით მარტო წავიდა სანადირო. დიღმის ველზე ირმები შენიშნა და დაედევნა. ერთ-ერთს ისარი სტყორცნა და დაჭრა. მერე ბოლომდე სდია დაჭრილს. უკვე ღამდებოდა. დაახლოებით დღევანდელი თბილისის მიდამოებში, ერთი კლდის ძირას უპოვია მკვდარი ირემი. ამასობაში საშინელი წვიმა წამოსულა. ფარნავაზს იქვე შეუნიშნავს გამოქვაბული, რომლის შესასვლელი საგულდაგულოდ ყოფილა ამოქოლილი. თუმცა, ადვილად შეურღვევია და შიგნით შესულა, ცეცხლი აუნთია და აუარებელი სიმდიდრე, ოქრო და ვერცხლი უნახავს. ფარნავაზი სასწრაფოდ მცხეთაში დაბრუნებულა. ხუთი ღამე ეზიდებოდა მისი ოჯახი განძს. მან ირანში წასვლა სამუდამოდ გადაიფიქრა, რადგან ამ სიმდიდრით ჯარის დაქირავებასა და აზოს ქართლიდან განდევნას შეძლებდა.

ამ მიზნისათვის მას სჭირდებოდა მოკავშირე. მან ეგრისის (დასავლეთ საქართველო) ერისთავს ქუჯის წერილი გაუგზავნა: „მე ვარ მცხეთოსის ძის შთამომავალი და ძმისწული სამარა მამასახლისისა. მაქვს აუარებელი სიმდიდრე და მოვალ შენთან. ვიყოთ, როგორც ძმები და ერთად ვებრძოლოთ ჩვენს მტერს, აზოს.“ ქუჯი გაახარა ფარნავაზის წერილმა და მცხეთის მამასახლისთა შთამომავალს თავშესაფარი მისცა. ფარნავაზმაც არ დააყოვნა, დედა და დები თან წაიყვანა, რამდენის ზიდვაც შეეძლო, იმდენი სიმდიდრე წაიღო და ეგრისში გადავიდა.

## ფარნავაზი და ქუჯი

ეგრისში ჩასულ ფარნავაზს ქუჯი მეფურად დახვდა. მოკავშირეებმა აზოს წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის გეგმა დასახეს. მათ, თავდაპირველად, ჯარის გამრავლებისთვის დაიწყეს ზრუნვა. ისინი ჩრდილოკავკასიელ ტომებს დაუკავშირდნენ და, მათი დახმარებით, ერთი-ორად გაძლიერეს ლაშქარი. ძალა მოიკრიბეს თუ არა, ფარნავაზი და ქუჯი ქართლში გადავიდნენ. აზომ მათ წინააღმდეგობა ვერ გაუწია და კლარჯეთს შეფარა თავი, რომელიც, სავარაუდოდ, მის ისტორიულ სამშობლოს — „არიან ქართლს“ ეკუთვნოდა. ფარნავაზმა ადვილად შეძლო მცხეთის ოთხივე ციხის აღება. იმავე წელს მან მთლიანად დაიკავა ქართლი. ქართლოსიანთა კანონიერ მემკვიდრეს სრულიად ქართლმა დაუჭირა მხარი, აზოს დასაცავად კი, არც ერთი მხარე არ გამოსულა. ამ დროისთვის ფარნავაზის ხელისუფლება მხოლოდ კლარჯეთზე არ ვრცელდებოდა.

ფარნავაზის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლის დროს წინა აზიაში ალექსანდრე მაკედონელის ერთიანი იმპერია უკვე დაშლილი იყო და მიმდინარეობდა სისხლისმღვრელი ბრძოლები მის მემკვიდრეებს შორის, რამაც რეალური გამოძახილი ჰპოვა საქართველოშიც. ქართლში გბატონების შემდეგ, ფარნავაზმა ელჩები გაუგზავნა სელევკიდების მეფეს და აზოს წინააღმდეგ ბრძოლაში მხარდაჭერა სთხოვა. სელევკიდებმა, განსაკუთრებული პატივის ნიშნად, ქართლის მეფეს სამეფო გვირგვინი უწყალობეს და სამხედრო დახმარებაც აღუთქვეს. მომდევნო წელს გაერთიანებული ლაშქრით ფარნავაზი აზოს წინააღმდეგ დაიძრა. კლარჯეთში გამაგრებულმა აზომ, თავის მხრივ, დახმარებისთვის სელევკიდების მოწინააღმდეგე „საბერძნეთის მეფეს“ მიმართა.

გადამწყვეტი ბრძოლა არტაანში მოხდა.

„ხოლო მეორე წელს **აზონმა** შეიერთა საბერძნეთის სპანი, გაძლიერდა ფრიად და გამოემართა ფარნავაზისაკენ. ფარნავაზმა კი მოამრავლა ქართლის მხედრობა, მოუწოდა მათ და მოუხმო ქუჯის და ოვსთა. და შეიკრიბნენ ეს ყოველნი და შეუერთდნენ მათ სომხეთში მყოფნი ერისთავნი ანტიოქოზისნი. და ეს ყოველი შეკრიბა ფარნავაზმა არტაანის ნაქალაქევთან, რომელსაც ერქვა მაშინ ქაჯთა ქალაქი და აწ ჰქვია ჰური, და შეიბნენ მუნ.“

*ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა*

*ასე გამოიყურება დღეს ამ ბრძოლის უტყვი მოწმე არტაანის ველი.*

„ფარნავაზმა მოიყვანა ცოლი დურძუკთაგან, ნათესავი კავკასისა. ფარნავაზ მოზღუდა ქალაქი მცხეთა მტკიცედ და ყოველნი ქალაქნი და ციხენი ქართლისანი, მოიხრებული ალექსანდრესგან ააშენა... ამისგე ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი, მისივე სახელის მქონე, ესაა არმაზ, რამეთუ ფარნავაზს სპასუღლად არმაზი ერქვა. აღმართა კერპი იგი არმაზი ქართლის მთის თავზე და ამიერიდან კერპის გამო ეწოდა მთას არმაზი... და ეს ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლში, ქართლოსისა ნათესავთაგან. მან განავრცო ენა ქართული და აღარ იზრახებოდა სხვა ენა ქართლში, თვინიერ ქართულისა. და შექმნა მწიგნობრობა ქართული. და მოკვდა ფარნავაზ და დაფლეს არმაზის კერპის წინ."

*ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა*

არტაანის ველი დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობს. იგი მთებითაა შემოსაზღვრული და ერთგვარ ქვაბულს ქმნის. ჩრდილოეთით, მდ. მტკვრის გაყოლებაზე, გზა არტაანიდან ჯავახეთში შედის. აქედან კი შესაძლებელია სამცხეში, შიდა ქართლსა და ქვემო ქართლში გადასვლა. არტაანისკენ მიმავალ ფარნავაზს სწორედ ჯავახეთის გზით უნდა ესარგებლა. აზო კლარჯეთში იყო გამაგრებული. არტაანი კლარჯეთსაც ემეზობლებოდა. კლარჯეთიდან გზა მდ. ჭოროხს მიუყვებოდა, შემდეგ მდ. არტანუჯის წყლის აყოლებით არსიანის ქედს გაივლიდა და არტაანის ზეგანზე ჩადიოდა. ამ გზას საუკუნეების მანძილზე დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა და მთავარ სატრანზიტო მაგისტრალს წარმოადგენდა.

აზოს ჯარი, სავარაუდოდ, ამ გზით უნდა მისულიყო არტაანში. ლეონტი მროველის ცნობით, ბრძოლა ნაქალაქარ ჭურის მიდამოებში მომხდარა. მოწინააღმდეგეები ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ და „იქმნა ბრძოლა დიდძალი". ორივე მხარეს დიდი დანაკარგი განუცდია. აზო თავვანწირვით იბრძოდა, მაგრამ ფარნავაზის მომხრეებმა მოახერხეს მისი გარემოცვის გარღვევა და აზოს მოკვლა. მხედართმთავრის სიკვდილმა, როგორც ჩანს, დამთრგუნველად იმოქმედა აზოს მომხრეებზე და უკუიქცნენ. ფარნავაზს დიდძალი ნადავლი დარჩა. არტაანში მცირე შესვენების შემდეგ, მან კლარჯეთზე ილაშქრა და ეს პროვინციაც შეიერთა.

არტაანის ბრძოლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ფარნავაზმა საბოლოოდ სძლია ყველაზე ძლიერ მოწინააღმდეგეს და ქვეყნის ერთიანეროვნული მმართველი გახდა. ქართულ ეროვნულ ცნობიერებაში ფარნავაზი დღემდე აღიქმება როგორც პირველი ქართული სახელმწიფოს შემქმნელი და გამაერთიანებელი, რომელმაც გააბატონა ერთი ენა და ერთი კულტი. ამიერიდან ქართლის სამეფოს ისტორიაში ახალი ეპოქა იწყება — ***ფარნავაზიანთა დინასტიის ეპოქა.***



**ფარნავაზის მეფობის** შეფასება: „იყო განსვენება და სიხარული ყოველსა ქართლსა ზედა მეფობისათვის ფარნავაზისსა და იტყოდეს ამას ყოველნი: „ვაშადლოსთ სუეანა ჩუენსა, რამეთუ მოგვცა ჩუენ მეფე ნათესავთაგან." და ესე ყოველი აღსარულა ფარნავაზ სიბრძნითა და სიქველითა, სიმხნითა და სიმდიდრითა (ლეონტი მროველი, XI ს.)."

# რომაელთა ლაშქრობა საქართველოში

**როგორი იყო რომის პოლიტიკა?**

ქრ.შ.-მდე II საუკუნიდან რომის სახელმწიფომ აქტიური ჩარევა დაიწყო ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ პროცესებში. ამ რეალობამ რეგიონში მნიშვნელოვნად შეცვალა სამხედრო თანაფარდობა. სცენაზე გამოვიდა ახალი დამპყრობელი, რომელიც, მართალია, ერთი მხრივ, შიშს ჰგვრიდა აზიის სახელმწიფოებს, მაგრამ, მეორე მხრივ, მიმზიდველიც იყო თავისი ეკონომიკით, პოლიტიკური წყობით, კულტურითა და ტექნიკური ნოვაციებით. ისევე, როგორც არ არსებობს კეთილი დამპყრობელი, ასევე არ არსებობს კეთილი იმპერია. ნებისმიერ იმპერიას რაოდენ მაღალგანვითარებულიც უნდა იყოს, საკუთარი პოლიტიკური მიზნები აქვს; მასზე სუსტი სახელმწიფო მისთვის უბრალოდ პაიკია, რომლის გამოც შეიძლება იბრძოლოს კიდეც და მერე ადვილად გაწიროს. ასეთი იყო რომის პოლიტიკაც: თუ რომის ინტერესებს სჭირდებოდა, რომელიმე სახელმწიფო მისი პოლიტიკური „მეგობარი" და სამხედრო „მოკავშირე" ხდებოდა, მცირე ხნის შემდეგ კი, ვითარების ცვლილების პარალელურად, შეიძლებოდა რომის გარნიზონებს გადაეთელა ყოფილი „მეგობარი".



*გაიუს მარიუსი (ქრ.შ.-მდე 157-86). რომის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, კონსული, რომლის რეფორმების შედეგად რომში სამოქალაქო ლაშქრის ნაცვლად პროფესიული არმია ჩამოყალიბდა.*

## როგორი იყო რომის არმია?

რომი დაარსდა ქრ.შ.-მდე 745 წელს. 509 წელს რომაელებმა უკანასკნელი მეფე ტარკვინიუს ამაყი ქალაქიდან გაადევნეს და რომი რესპუბლიკად გამოაცხადეს. ქრ.შ.-მდე III-II საუკუნეებიდან რომი ხმელთაშუა ზღვისპირეთის უძლიერესი სახელმწიფოა. მის ფარგლებშია: იტალია, ჩრდილოეთი აფრიკა და საბერძნეთი. რომის პოლიტიკური ამბიცია აღმოსავლეთისაც მისწვდა. მისი სიძლიერე მძლავრ სამხედრო პოტენციალს ეფუძნებოდა.

იმ ეპოქისთვის გამორჩეული იყო რომაელი მეომრის აღჭურვილობა, საბრძოლო წყობა, ზოგადად არმიის შეიარაღება. რომაული ლეგიონი საკმად მრისხანე ძალას წარმოადგენდა. ქრ.შ.-მდე II საუკუნის მიწურულს რომის სამხედრო სისტემაში გარკვეული კრიზისი დაიწყო. სწორედ ამან უბიძგა ცნობილ რომაელ სარდალსა და პოლიტიკურ მოღვაწეს, გაიუს მარიუსს, გაეტარებინა სამხედრო რეფორმა (ქრ.შ.-მდე 105). თუ რეფორმამდე ჯარი კომპლექტდებოდა ცენზის მიხედვით და მასში სამსახური დაბალ ფენებს ეკრძალებოდათ, რეფორმის შემდეგ რომის არმია სახალხო ლაშქრის პრინციპს დაეფუძნა. მეომრად გახდომა ყველას შეეძლო. ჩამოყალიბდა პროფესიული არმია: მეომარს ხელფასი ეძლეოდა, მის აღჭურვილობასა და კეკაზე კი სახელმწიფო ზრუნავდა. 16-20 წლიანი მსახურების შემდეგ მეომრებს მიწის ნაკვეთსაც აძლევდნენ. რეფორმის შედეგად მნიშვნელოვნად გაძლიერდა რომის ჯარი და გაიზარდა ლეგიონების რაოდენობა.

*ლეგიონერის **მუზარადი** რამდენიმე ფირფიტისაგან შედგებოდა. შუბლისა და კეფის დასაცავი ნაწილი უფრაკი იყო. გვერდზე ორი **საყბური** ეკიდა, რომლებიც სახეს უფარავდა მეომარს. ჯავშანი ტყავზე გადაკრული ლითონის ფირფიტებისაგან შედგებოდა. მეომარს ძირითადად დაცული ჰქონდა მკერდისა და ზურგის მხარე. ლეგიონერის ფარი ხისაგან მზადდებოდა, რომელზედაც ტყავს აკრავდნენ. შუა ნაწილში ლითონის ფირფიტა მაგრდებოდა, რომლის დანიშნულება იყო ბრძოლისას შუბის ასხლეტა. მეომრის შეიარაღება შედგებოდა: ორლესული მახვილისაგან და სატყორცნი შუბისაგან, რომელსაც **პილუმს** უწოდებდნენ.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რას შემორჩა პომპეუსის სახელი?**

*მცხეთის ძველი ხიდის ნაშთი, რომელსაც დღემდე „პომპეუსის ხიდს“ უწოდებენ.*

დასავლეთ საქართველოში მდ. ცხენისწყალზე სოფ. მათხოჯთან ძველი ხიდის ნაშთებია, რომელსაც მოსახლეობა დღესაც „პომპუას ხიდს“ უწოდებს: ხალხურმა სიტყვიერებამ რომაელი სარდლის გნეუს მაგნუს პომპეუსის სახელი ამ ფორმით შემოინახა. პომპეუსის სახელი ფიქსირდება მცხეთაშიც. ქართლის ძველ დედაქალაქს მდ. მტკვარი ორ ნაწილად ყოფს; მათ ერთმანეთთან ხიდი აკავშირებდა, რომელიც ხელს უწყობდა არა მარტო ქალაქის მოსახლეობის კომუნიკაციას, არამედ დიდი ეკონომიკური მნიშვნელობაც ჰქონდა: მასზე მიმდიოდნენ სავაჭრო ქარავნები, რომლებიც საქონელს ეზიდებოდნენ ჯერ კახეთის, ხოლო იქიდან კასპიის ზღვის მიმართულებით და არაგვის ხეობით – ჩრდილოეთ კავკასიაში. ქართული საისტორიო წყაროები ამ ხიდს სხვადასხვა სახელით იხსენებს: ქართლის, მოგვთა და მცხეთის. თუმცა დღემდე მას ხალხი „პომპეუსის ხიდს“ უწოდებს. ქართული წყაროები არავითარ ინფორმაციას არ გვაწვდიან იბერიასა და კოლხეთში პომპეუსის ლაშქრობაზე, ეს მოვლენა რატომღაც „გამორჩა“ მათ, მხოლოდ ქართულ ზეპირსიტყვიერებას შემორჩა მრისხანე რომაელი მთავარსარდლის სახელი.

**რა მიზანი ჰქონდათ რომაელებს აზიაში?**

აზიაში რომაელი მეომრების გამოჩენამდე მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა. ალექსანდრე მაკედონელის ვრცელი იმპერიის ნანგრევებზე რამდენიმე მსხვილი პოლიტიკური ერთეული ჩამოყალიბდა. მათ შორის იყო სელევკიდების სამეფო, თუმცა დაშლის პროცესი მასაც შეეხო. სწორედ ამ დროს აღმოჩნდა იგი რომის იმპერიის პირისპირ. ქრ.შ.-მდე 190 წელს ქ. მაგნეზიასთან რომაელებმა სასტიკად დაამარცხეს სელევკიდების სამეფოს მრავალათასიანი არმია, რის შემდეგაც ეს სახელმწიფო პოლიტიკური რუკიდან გაქრა. მის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი პონტოს, პართიის, სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის სამეფოები. რომაელებს წინა აზიაში, თავდაპირველად, პონტოს მეფე, მითრიდატე VI დაუპირისპირდა. ამ ომმა შესვენებებით 25 წელი გასტანა.

ქრ.შ.-მდე 71 წელს ნიჭიერი და მამაცი რომაელი სარდალი ლუკულუსი ერთი ლეგიონით გადავიდა აზიაში, სადაც თავისი არმიის რიგები შეავსო და მითრიდატესთან საბრძოლველად გაემართა. ლუკულუსმა პონტოს მეფე დაამარცხა და ქალაქნიდან განდევნა. მითრიდატემ 2 ათასი მხედრით თავი სომხეთს შეაფარა. ქრ.შ.-მდე 69 წელს ლუკულუსმა სომხეთსაც შეუტია და მისი სწრაფად განადგურების გეგმა შეიმუშავა.

*მითრიდატე VI ევპატორი (ქრ.შ.-მდე 132-63). პონტოს მეფე. გამოირჩეოდა ფიზიკური სიძლიერით, ფლობდა 22 ენას, ებრძოდა რომაელებს. მის სახელმწიფოში შედიოდნენ ქართველური ტომებიც.*

სომხეთის მეფე ტიგრან II-მ თავი მოუყარა უზარმაზარ ლაშქარს, რომელშიც ალბანელი და იბერიელი მეომრებიც შედიოდნენ. იგი განსაკუთრებულ იმედს მამაც და უშიშარ იბერიელ შუბოსნებზე ამყარებდა. პლუტარქე მიუთითებს, რომ იბერიელ შუბოსნებს გაერთიანებული არმიის ყველაზე საპასუხისმგებლო ადგილებზე ამწესებდნენ. ლაშქრის სიმრავლითა და რომაელთა სიმცირით გათამამებულმა ტიგრანმა ყურად არ იღო მითრიდატეს რჩევა და ლუკულუსს დაუპირისპირდა. უფრო სწორად, ის წამოეგო რომაელთა სამხედრო ზრიგზე. როდესაც ტიგრანს რომაელთა მცირერიცხოვანი ჯარი უნახავს, ირონიულად უთქვამს: „თუ მსტოვრები არიან, ძალიან ბევრნი წამოსულან. ხოლო თუ მტრები – მეტისმეტად ცოტანი.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რომის სენატი



რომის სენატის დაარსება რომულუსის სახელს უკავშირდება. დასაწყისში, მასში 100 უხუცესი იყო გაერთიანებული. მოგვიანებით, მათი რიცხვი 200-მდე გაიზარდა. ქრ.შ.-დან I საუკუნის დასაწყისში სენატორთა რიცხვმა 600-მდე მიაღწია. ამის მიზეზი ის იყო, რომ სენატში მიღების ასაკობრივი ზღვარი 30 წლამდე დაიყვანეს. მანამდე სენატორად მხოლოდ 45 წელს გადაცილებული ადამიანი შეიძლება გამხდარიყო. იულიუს კეისრის დროს (ქრ.შ.-დან 100-44) სენატორთა რიცხვმა 900-ს მიაღწია. სენატი საკანონმდებლო ხელისუფლების როლს ასრულებდა. იგი გამოსცემდა ან აუქმებდა კანონებს. მის კომპეტენციაში შედიოდა საგარეო პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური, უსაფრთხოების საკითხების მოწესრიგება. სენატს თავმჯდომარეობდა ან ყველაზე დამსახურებული სენატორი ან ერთ-ერთი კონსული.

რომის სენატის წევრების ჩაცმულობაც განსხვავებული იყო. მის სამოსს (ტუნიკა) წინა მხრიდან მეწამულისფერი ზოლი გასდევდა. სენატორებს ფეხსაცმელიც ძვირფასი ეცვათ და საგანგებო ოქროს ბეჭედს ატარებდნენ.

რომის რესპუბლიკა წარმოუდგენელი იყო სენატის გარეშე.

*რომაული ლეგიონერების სამხედრო დროშაზე გამოსახული იყო აბრევიატურა SPQR – რაც ნიშნავდა – რომის სენატი და ხალხი (senatus populus que romanus).*

*ლუკულუსი ლუციუს ლიცინიუსი (ქრ.შ.-მდე 117-56). რომაული მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე (74 წელს იყო კონსული). სარდლობდა პონტოსა და სომხეთის წინააღმდეგ ლაშქრობას. რომში დაბრუნების შემდეგ გადაყენეს თანამდებობიდან. იგი იმ დროს ერთ-ერთი მდიდარი ადამიანი იყო.*

ქრ.შ.-მდე 69 წლის 6 ოქტომბერს ლუკულუსმა სომეხთა კოალიციური ლაშქარი სასტიკად დამარცხა და ქ. ტიგრანაკერტი აიღო. მიუხედავად ბრწყინვალე გამარჯვებისა, ლუკულუსი იძულებული გახდა უკან დაეხია. ამით ისარგებლა მითრიდატემ და კვლავ მოახერხა პონტოში გაბატონება. რომის წინაშე კვლავ დადგა პონტოს სახელმწიფოს პრობლემა. ქრ.შ.-მდე 66 წელს რომმა აზიაში საბრძოლველად თავისი დროის უდიდესი სარდალი გნეუს მაგნუს პომპეუსი გაგზავნა.

*სომხეთის მეფე ტიგრან II (ქრ.შ.-მდე 95-56). მითრიდატე VI-ის სიძე (ქალიშვილის ქმარი). შეუქმნა ძლიერი სახელმწიფო, რომლის საზღვრები ხმელთაშუა ზღვამდე იყო გადაჭიმული.*




*ქალაქ ტიგრანაკერტთან რომაელთა და სომეხთა შეერთიანება ქრ.შ.-მდე 69 წელს.*

*პომპეუსი გნეუს მაგნუსი (ქრ.შ.-მდე 106-48) რომაული სარდალი და პოლიტიკოსი, რომელსაც რამდენჯერმე ეკავა კონსულის თანამდებობა. ქრ.შ.-მდე 52 წელს იგი დაუპირისპირდა იულიუს კეისარს, რომელთანაც მარცხი იწვნია და იძულებული გახდა ეგვიპტეში გაქცეულიყო, სადაც მოკლეს.*

*პლუტარქე (დაახლ. 46/50-125-127). ბერძენი მწერალი და ისტორიკოსი. ავტორი წიგნისა „პარალელური ბიოგრაფიები“.*

**რა იყო პომპეუსის მისია?**

აზიაში წარმოებული ომით ისარგებლეს ხმელთაშუა ზღვაზე მოთარეშე მეკობრეებმა. ისინი თავს ესხმოდნენ ვაჭრებს, სამხედრო გალერებს. რომში სურსათ-სანოვაგის კრიზისი დაიწყო. ამ გარემოებით შეწუხებულმა რომის სენატმა პომპეუსს საგანგებო უფლებამოსილება მიანიჭა ზღვაზე მეკობრეების თარეშის ასალაგმად.

ხმელთაშუა ზღვის სანაპირო პომპეუსმა 30 ნაწილად დაყო. თითოეულში ხომალდთა განსაზღვრული რაოდენობა და წინამძღოლები დააყენა. ამგვარად დაყოფილი და განაწილებული ძალებით თავს ესხმოდა ზღვაში მეკობრეთა ხომალდებს.

მეკობრეებთან წარმოებული ომის დამთავრებისთანავე პომპეუსს სენატმა ახალი დავალება მისცა. მას ლუკულუსის მიერ დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა მიეყვანა. ერთმა სახალხო ტრიბუნთაგანმა – მანილიუსმა გამოაქვეყნა კანონი, რომლის ძალითაც პომპეუსს უნდა ჩაბარებოდა ის პროვინცია და ჯარები, რომელიც მანამდე ლუკულუსს ექვემდებარებოდა და მითრიდატესა და ტიგრანის წინააღმდეგ ბრძოლა გაეგრძელებინა. გარდა ამისა, პომპეუსი განკარგავდა ფლოტს და ზღვაზე განუსაზღვრელი მბრძანებლობის უფლება ენიჭებოდა. რომის არისტოკრატია მშვენივრად გრძნობდა, რომ უსამართლოდ და უმადურად მოექცნენ ლუკულუსს, რომელიც საყოველთაოდ კიცხავდა პომპეუსს: „პომპეუსი მიემართება მტრის მოწვენებასა და ლანდთან შესარკინებლად; იგი, ვით ზარმაცი ფრინველი, ეცემა ხოლმე სხვის ლეშს, ისე მიდის ომის ნარჩენებით თავის დასაპურებლად... ეს კაცი..., ცდილობს სომხეთისა და პონტოს ბრძოლებში მოპოვებული ჩემი სახელი მიისაკუთროს... ამის შემდეგ ლუკულუსმა იქაურობა დატოვა, პომპეუსმა კი თავისი ხომალდები ფინიკიასა და ბოსფორს შორის მდებარე ზღვის დასაცავად ჩააყენა და მითრიდატეს წინააღმდეგ გაილაშქრა...“ *(პლუტარქე)*

პომპეუსი მრავალრიცხოვანი არმიით პონტოში შეიჭრა. მითრიდატემ ვერ გაუწია სათანადო წინააღმდეგობა და თავი სომხეთს შეაფარა. პოლიტიკური მოსაზრებით, ტიგრან II-მ იგი არ მიიღო. მეტიც, მან მითრიდატეს მოკვლისთვის 100 ტალანტი (ფულის ერთეული) ჯილდოც კი დააწესა. მითრიდატე იძულებული გახდა თავი კოლხეთისთვის შეეფარებინა.

*ბარელიეფი რომაული მეომრებისა და პატრიციების გამოსახულებით.*

„იბერები გულადობით სხვებზე უფრო მამცინი იყვნენ და ძალიან უნდოდათ მითრიდატესთვის ეამებინათ და პომპეუსი უკუექციათ. იბერნი არც მიდიელების მორჩილებაში ყოფილან, არც სპარსეთს ექვემდებარებოდნენ და თავის დროზე, მაკედონელთა მბრძანებლობაც აიცდინეს თავიდან.“ *(პლუტარქე)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

*რომაელთა ლაშქრობის მარშრუტი სომხეთსა და საქართველოში.*

## როგორი იყო პომპეუსის გეგმა?

პომპეუსმა პონტოს სამეფო დაიპყრო და მითრიდატეს კვალდაკვალ მიჰყვა. რომის ლეგიონები სომხეთს მიადგნენ. ტიგრან II დარწმუნდა, რომ ბრძოლა გაუჭირდებოდა, იარაღი დაყარა და რომის იმპერიის ქვეშევრდომობა აღიარა. მიუხედავად ასეთი წარმატებისა, პომპეუსს კარგად ესმოდა, რომ მცირე აზიაში რომის ინტერესებს მითრიდატე ყოველთვის საფრთხეს შეუქმნიდა. ამდენად მის საბოლოო მიზანს პონტოს შეუპოვარი მეფის ფიზიკური განადგურება წარმოადგენდა. ამისთვის საჭირო იყო გალაშქრება კოლხეთზე, სადაც პომპეუსს მითრიდატე ეგულებოდა. რომაელ სარდალს თავიდანვე გადაწყვეტილი ჰქონდა ლაშქრობა იბერიაში, საიდანაც კოლხეთში შესვლას აპირებდა.

სომხეთში პომპეუსს ზამთარმა მოუსწრო, რამაც ლაშქრობის გაგრძელებაზე ხელი აიღებინა. რომაელები მტკვრის ნაპირზე დაბანაკდნენ. მანამდე პომპეუსმა ალბანელებს მათ ქვეყანაზე გავლის ნებართვა სთხოვა. სწორედ აქედან აპირებდნენ

„მაშინ **მითრიდატე** სწრაფად გაემართა ტიგრანისაკენ, მაგრამ მისი წარგზავნილი მოწინავენი არ იყვნენ თანაგრძნობით მიღებული, რადგან ტიგრანს ეჭვი ჰქონდა, რომ მისი ვაჟის – ტიგრანის მიერ დაწყებული აჯანყების დროს, მითრიდატე, რომელიც უკანასკნელის პაპა იყო, აგულიანებდა მას; ამიტომ მან არამცოუ მიიღო მითრიდატე, არამედ ბრძანა, შეეპყრათ და ბორკილებში ჩაესვათ მისი მოწინავენი. თავის იმედში მოტყუებული მითრიდატე გაემართა კოლხეთისაკენ, ხოლო აქედან სმელეთის გზით მივიდა მეოტისთან და ბოსფორში.“

*ბერძენი ისტორიკოსი დიონ კასიოსი (II-IIIსს)*



*რომაელთა არმიის შუდმივი ბანაკი დაპყრობილ ტერიტორიაზე, რომელიც პატარა ქალაქს ემსგავსებოდა. ბანაკი სავანეები თხრილით იყო შემოვლებული, რომლის შიგნით მეომრების ყაზარმები იყო აგებული.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ალბანეთის სამეფო**
ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფო აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, მოიცავდა ახლანდელი აზერბაიჯანისა და დაღესტნის სამხრეთ ნაწილს. პირველად იხსენიება IV ს-ის ბერძნულ წყაროებში. განსაკუთრებულ ძლიერებას მიაღწია VI-VII სს-ის მიჯნაზე. VIII ს-ის შუა პერიოდიდან ალბანეთი არაბებმა დაიპყრეს.

რომაელები ჯერ იბერიაში, ხოლო შემდეგ კოლხეთში შეჭრას. ალბანელების მეფე ოროისმა პომპეუსს ჯერ თანხმობა მისცა, მაგრამ, როდესაც რომაელები გამოსაზამთრებლად დაბანაკდნენ, ამ სიტუაციის გამოყენება სცადა, 40 ათასი მეომრით მტკვარი გადალახა და რომაელებს თავს დაესხა. გამჭრახმა პომპეუსმა თავად უკარნახა ალბანელებს ბრძოლის ტაქტიკა: მდინარის გადალახვა აცადა და მხოლოდ ამის შემდეგ შეუტია. ალბანელებს უკანდასახევი გზა მოჭრილი ჰქონდათ და რომაელებმა ისინი ერთიანად ამოწყვიტეს.

**რატომ ილაშქრეს რომაელებმა იბერიაში?**

რომაელებთან მარცხის შემდეგ, ოროისმა პომპეუსთან მოლაპარაკება გამართა და დაუზავდა. ამ დროს პომპეუსი ისე იქცეოდა, თითქოს მას მხოლოდ მითრიდატეს დამარცხება სწყუროდა. იგი იბერიის (ქართლის) მეფე არტაგ II-ს (ქრ.შ.-მდე I საუკუნის შუა წლები) კოლხეთში გადასასვლელად გზას სთხოვდა. არტაგი ხვდებოდა, რომ რომს უარყოფითი რეაქცია ექნებოდა მითრიდატეს მოთავეობით შექმნილ ანტირომაულ შეთქმულებაში ქართლის მონაწილეობის ფაქტზე.

მოლაპარაკების მიზნით, ალბანეთისა და სომხეთის საზღვარზე დაბანაკებულ პომპეუსს არტაგმა სამშვიდობო წინადადებით ელჩები მიუგზავნა. რომაელმა სარდალმა მიიღო ქართლის მეფის შეთავაზება, თუმცა პომპეუსმა ფარულად

## რომაელთა საალყო ტექნიკა

რომის არმიის თითოეულ ლეგიონს გააჩნდა ბალისტები და ლოდსატყორცნები, რომელთაც მეომრების გარკვეული რაოდენობა ემსახურებოდა. ეს იარაღი ძირითადად ცეხესიმაგრეების ალების დროს გამოიყენებოდა. ბალისტა ორი სახის იყო: ერთს შეეძლო პატარა ზომის ქვების სროლა, ხოლო მეორეს დიდი ისრების, რომელიც თითქმის მეტრამდე აღწევდა. ისრის სასროლ ბალისტას 200 მეტრზე მტრის ფარის გახვრეტა შეეძლო. რომაელები მოწინააღმდეგის ქალაქის გალავნის დასანგრევად ლოდსატყორცნ მანქანებს იყენებდნენ, რომელთაც ონაგი ეწოდებოდა. მისი საშუალებით 30-50 კილოგრამიან ქვის ჭურვებს 150-200 მეტრზე შეეძლო მიზანში მოხვედრა.




1. ხისგან დამზადებული კოშკი, რომელსაც გალავანზე მეომრების გადასაყვანად იყენებდნენ.
2. კედლის სახვრეტი იარაღი.
3. ტარანი, რომელიც საგანგებოდ იყო დაცული. სახურავი ხისგან კეთდებოდა, რომელზეც ტყავს აკრავდნენ.
4. ონაგი
5. ბალისტა
6. ქვის სასროლი მანქანა, რომელიც შუა საუკუნეებშიც გამოიყენებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იბერიაზე ლაშქრობის გეგმა შეიმუშავა. სტრატეგიული გეგმის მიხედვით, პომპეუსი მოულოდნელად უნდა შეჭრილიყო იბერიაში და სწრაფად დაემარცხებინა არტაგი.

რომაელი ისტორიკოსების მიხედვით, არტაგს ფარულად აქტიური სამხედრო სამზადისი დაუწყია და სწორედ ეს გამხდარა პომპეუსის იბერიაზე ლაშქრობის საბაბი. მაგრამ, ფაქტია, რომ არტაგი მტერს ყოველად მოუმზადებელი დახვდა. როგორც ჩანს, მემატიანენი ცდილობდნენ, თავიანთი სარდლის მიერ პირობის გატეხვა ქართველებისთვის გადაებრალებინათ.

ქრ.შ.-მდე 65 წლის გაზაფხულზე რომაელები ქართლისკენ დაიძრნენ. მათმა სარდლობამ შეტევისთვის რუსთავ-მცხეთის მიმართულება აირჩია. ქართველები ყველაზე ნაკლებად სწორედ აქედან ელოდნენ თავდასხმას. პომპეუსმა იერიში არმაზციხეზე მიიტანა, რადგან, მისი აღების შემთხვევაში, ქართველები კარგავდნენ მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე სტრატეგიულად მომგებიან პოზიციას. მტრის მოულოდნელი თავდასხმით შეშინებულმა არტაგმა ბრძოლას თავი აარიდა, მტკვრის მარცხენა ნაპირზე გადავიდა და ხიდი დაწვა. არმაზციხის დამცველები დიდხანს უწევდნენ წინააღმდეგობას, მაგრამ რომაელებმა მაინც მოახერხეს მცირერიცხოვანი გარნიზონის დამარცხება. პომპეუსმა არმაზციხესა და ხეობის ვიწრობებში მცველები ჩააყენა, თვითონ მტკვრის მარჯვენა სანაპიროს აუყვა და ქართლის ეს ნაწილი დაიმორჩილა.

*რომაელი მეომრის შუბარადი*

„ამიტომ მან (არტაგმა) გაუგზავნა (პომპეუსს) ელჩები მეგობრობის წინადადებით, თვითონ კი ემზადებოდა, რათა მშვიდობაში დარწმუნებულს მოულოდნელად თავს დასხმოდა, მაგრამ პომპეუსმა გაიგო ამის შესახებ და პირველი შეიჭრა მის ქვეყანაში, მანამ ის შესძლებდა მომზადებას და მეტად ძნელგასავალი ვიწრობების დაკავებას. პომპეუსმა მოასწრო მისვლა ქალაქამდე, რომელსაც აკროპოლისი (არმაზციხე) ეწოდება, სანამ არტაგი გაიგებდა მის მიახლოებას... შეშინებულ არტაგს სრულიად არ ჰქონდა დრო მომზადებულიყო ბრძოლისათვის; იგი გავიდა მდინარეზე და დასწვა ხიდი; ხოლო სიმაგრის დამცველები მისი გაქცევისა და ბრძოლაში დამარცხების გამო დანებდნენ.“

*ბერძენი ისტორიკოსი*
*დიონ კასიოსი (II-IIIს)*

*რომაელთა ჯარები*
*არმაზციხესთან*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხიდი დაწვა. ტყეებს შეფარებული ჯარის დარჩენილი ნაწილი, რომელმაც მდინარეზე გადასვლა ვერ მოახერხა, კვლავ განაგრძობდა ბრძოლას.

ამ რთული ვითარებიდან პომპეუსმა გამოსავალი იპოვა. მან თავის ლეგიონერებს ტყე გაარეხვინა, ხოლო მიუვალ ადგილებს ცეცხლი წაუკიდა. ამან ქართველთა წინააღმდეგობა საბოლოოდ გატეხა. ამ ომმა ქართლის სამეფოს დიდი ზიანი მიაყენა. ბრძოლის ველზე დაეცა 9 ათასი ქართველი მეომარი, ტყვედ ჩავარდა – 10 ათასი, რომელთა შორის ქალებიც იყვნენ. ეს ფაქტი ნათელყოფს, როგორ მამაცურად და თავგანწირვით იცავდნენ ქართველები თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

არტაგ II იძულებული გახდა საზავო მოლაპარაკება განეახლებინა და პომპეუსს ძვირფასი საჩუქრები გაუგზავნა: ოქროს ტახტი, ოქროს სარეცელი და ოქროს მაგიდა. რომაელთა სარდალმა ქართლის მეფის ძღვენი სიამოვნებით მიიღო და შვილებიც მოსთხოვა მძევლად. დიდი ყოყმანის შემდეგ არტაგი დათანხმდა და დიდი საზავო ხელშეკრულებაც, რომლის მიხედვითაც რომაელებმა არტაგს რომის პოლიტიკური „მეგობრობა“ და სამხედრო „მოკავშირეობა“ მოახვეის თავს.




*ქრ.შ.-მდე 65 წელს მცხეთა მტკვრის ორივე ნაპირზე იყო გადაჭიმული. „არმაზის კერძი ქალაქი“ მოიცავდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს, ხოლო „მუხრანით კერძი ქალაქი“ მტკვრის მარცხენა სანაპიროს. ნახატზე ნაჩვენებია პომპეუსის მტკვარზე გადასვლისა და არაგვის ზეობაში მოძრაობის მარშრუტი.*

*პომპეუსის მიერ კოლხეთში მმართველად დატოვებული არისტარქეს მონეტა. მასზე ასეთი ზედწერილია: „არისტარქესი, რომელიც კოლხეთს მართავს.“*

**რა უნდოდა პომპეუსს კოლხეთში?**

ქართლის (იბერიის) დამორჩილების შემდეგ, პომპეუსი ლიხის ქედზე გადავიდა და კოლხეთში შეიჭრა. რომაელებს აქ პონტოს მეფე, მითრიდატე VI ეგულებოდათ, მაგრამ იგი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, ბოსფორის სამეფოში გადასულიყო. რომაელებმა კოლხეთი დაიპყრეს და მმართველად ადგილობრივი წარჩინებული, არისტარქე დანიშნეს.

რომაელებმა მიაღწიეს ფაზისამდე, სადაც მათ ფლოტი ელოდებოდა. აქედან პომპეუსს ბოსფორის სამეფოში შეჭრა ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ ადგილობრივი ტომების ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა და იძულებული გახდა ლაშქრობა გადაედო. ამასობაში პომპეუსს აუწყეს ალბანელთა ავანყების შესახებ, რის გამოც იძულებული გახდა კვლავ ალბანეთში გადასულიყო. მცირე აზიასა და სამხრეთ კავკასიაში პომპეუსის ლაშქრობების შედეგად, ქართლი, სომხეთი და ალბანეთი რომაელთა „მოკავშირედ და მეგობრად“ გამოცხადდა, ხოლო პონტოს სამეფო და კოლხეთი რომის ხელისუფლებას დაექვემდებარა.

# ვახტანგ გორგასლის ლაშქრობა ჩრდილოეთ კავკასიაში

V საუკუნის შუა წლებში ქართლის სამეფოში მძიმე პოლიტიკური ვითარებაა. 40-იანი წლების დასაწყისში გარდაიცვალა ქართლის მეფე მირდატი, რომელსაც მცირეწლოვანი (7 წლის) ტახტის მემკვიდრე ვახტანგი დარჩა. ქვეყანას, ფაქტობრივად, მეფის ქვრივი, დედოფალი საგდუხტი განაგებდა, რომელიც სამხრეთ კავკასიაში ირანული გარნიზონის მმართველის, ბარზაბოდის ასული იყო. იმის შიშით, რომ ირანელებს ქართლში მეფობა არ გაეუქმებინათ, საგდუხტი მამამისს ეწვია ბარდავში და შვილისთვის ტახტის შენარჩუნება სთხოვა.

**როგორ საქართველოში გამეფდა ვახტანგ გორგასალი?**

ბარზაბოდს შეწყალა მისი თხოვნა, სანაცვლოდ კი, ქართლში ქრისტიანობასთან ერთად, ცეცხლთაყვანისმცემლობის ოფიციალურ რელიგიად დაშვება მოითხოვა. ქართლის დიდებულები იძულებულნი იყვნენ ამ დათმობაზე წასულიყვნენ. მემკვიდრის მცირეწლოვნობით ისარგებლეს მტრებმა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ. ირანელთაგან წაქეზებული ქვემო ქართლის პიტიახშები ქართლის მეფის ძალაუფლებას აღარ სცნობდნენ და, ფაქტობრივად, დამოუკიდებელ მმართველებად ჩამოყალიბდნენ. ამავე პერიოდში ქართლს ალანები შემოესივნენ და მთელი შიდა ქართლი აოხრეს. ეს ლაშქრობა იმდენად მასშტაბური იყო, რომ მტერმა ვახტანგის დაც კი ჩაიგდო ტყვედ. „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, ალანები ქართლში შემოჭრილან და ხუნანამდე მოურბევიათ ქვეყანა, მათ „კასპი ქალაქი შემუსვრეს და ტყუე ყუეს და წარიყვანეს და ვახტანგისი მირანდუხტ.“ აქედან ალანებს რანისა და მოვაკანისაკენ (თანამ. აზერბაიჯანის ტერიტორია) ულაშქრიათ, შემდეგ კი დარუბანდის გზით უკან დაბრუნებულან.

ვახტანგ გორგასალი დამოუკიდებელ მმართველობას 15 წლიდან შეუდგა. მეფის უპირველესი საზრუნავი ჩრდილოეთ საზღვრების განმტკიცება და კავკასიონის გადასასვლელებზე კონტროლის დაწესება იყო, რითაც ჩრდილოეთ

*მაზდეანობის მთავარი ღვთაების აჰურამაზდას გამოსახულება. მაზდეანობის წმინდა გამოვლინებად ცეცხლი ითვლება, რომელსაც პატივს მიაგებენ. ამიტომაც ეს რელიგია საქართველოში ცეცხლთაყვანისმცემლობად ჰქონდათ წარმოდგენილი.*

*ცეცხლთაყვანისმცემლობის (მაზდეანობის) მიმდევრები მსახურებას თეთრ სამოსში გამონწყობილნი აღარებენ. რიტუალის დროს აფარებული აქვთ პირბადე.*



*ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძარი ირანში*

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ირანის შაჰის იეზდეგერდ II-ის (438-457) მონეტა*

*ირანის შაჰის პეროზის (459-484) მონეტა*

კავკასიაში მომთაბარე ტომებს ქართლისკენ მომავალ გზას ჩაუკეტავდა. ვახტანგმა დიდებულთა საბჭო მოიწვია. მცხეთაში ქართლის სამეფოს ყველა წარჩინებული ჩავიდა. ამ დღისთვის სამეფო დარბაზი საგანგებოდ იყო მორთული. ვახტანგი დარბაზის სიღრმეში ოდნავ შემაღლებულ ადგილზე იჯდა.

მეფის მახლობლად ისხდნენ სპასპეტი ჯუანშერი, ეპისკოპოსი მიქაელი და ცეცხლთაყვანისმცემელთა ქურუმი ბარზაბოდი. ერისთავები დარბაზის ორივე მხარეს სხედან ბენჯებზე განთავსდნენ. დარბაზს პირველად მეფემ მიმართა. მან ჩრდილოეთ კავკასიაში ლაშქრობის აუცილებლობაზე ისაუბრა და გაიხსენა ის განსაცდელი, რაც ალანებმა დაატეხეს ქვეყანას.

ამის შემდეგ დარბაზს ჯუანშერ სპასპეტმა მიმართა. მან მეფეს მოუწონა გადაწყვეტილება და ვახტანგს ურჩია, ვითარცა ახალგაზრდა, დარჩენილიყო მცხეთაში, ხოლო ლაშქარს თავად ჯუანშერი გაუძღვებოდა. იმ შემთხვევაში, თუ ქართველები მტერთან დამარცხდებოდნენ, მეფე ცოცხალი დარჩებოდა. ერთგული მსახურის რჩევას მეფემ უარით უპასუხა: „ჩემი ცხოვრების ყოველი დღე, ვითარცა ბნელში მყოფს, მწუხარებაში გამიტარებია და სიბრალული ჩემი დის, ვითარცა მახვილი ცეცხლის, განლევს ჩემს გულს. ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი მიჯობს. ღვთის მინდობით და პატიოსანი ჯვრის წინამძღოლობით, მე თვითონ წავალ და იმედი მაქვს ღვთის მრავალმოწყალების, არ გამწირავს და მომცემს ძლევას“. სამეფო დარბაზმა ჩრდილოეთ კავკასიაში ლაშქრობა დაამტკიცა. ერისთავები თავ-თავიანთ მამულებში დაბრუნდნენ და ჯარის მომზადებას შეუდგნენ.

კავკასიის გადასასვლელების ჩაკეტვა ირანის შაჰის პოლიტიკურ მიზნებშიც შედიოდა. ალანები არა მარტო ქართლს, არამედ ირანის პროვინციებსაც არბევდნენ. ამიტომაც ჩრდილოეთ კავკასიაში ლაშქრობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ირანელმა მოხელემ, ვარაზ-ბაკურმა, რომელიც ვახტანგს ბიძად ერგებოდა. ამ სამხედრო კავშირს მარტოოდენ ნათესაობა არ განაპირობებდა: ამ ეტაპზე ირანისა და ქართლის პოლიტიკური მიზნები ერთმანეთს ემთხვეოდა, რამაც ეს ორი დაუძინებელი მტერი ერთი დროშის ქვეშ გაერთიანა. ლაშქრობა მომავალი წლისთვის დაიგეგმა.

*სასანიდების პერიოდის ირანელი მეომრები. თანამედროვე რეკონსტრუქცია.*

ეროვნული ბიბლიოთეკა




*ვახტანგ გორგასლის მიერ ჩრდილოეთ კავკასიასა და დასავლეთ საქართველოში წარმოებული სამხედრო კამპანია.*

## როგორ დაიწყო ოსეთზე ლაშქრობა?

გაზაფხულის მიწურულს ყველაფერი მზად იყო ლაშქრობისთვის. ჯარის შეკრების ადგილად არაგვისპირი დასახელდა. ქართლის ერისთავები თავ-თავიანთი მეომრებით მუხრანისა და ხერკის მიდამოებში იკრიბებოდნენ. აქ მოვიდა ვარაზ-ბაკურის ლაშქარიც. ათიათასობით მეომარი ერთად შეიყარა. ლაშქრის ძირითადი ნაწილი მხედრობისგან შედგებოდა. ბრძოლის დაწყებამდე მეფე ვახტანგმა თავად მოინახულა მეომრები და მათი აღჭურვილობა შეამოწმა. ქართლის მოსახლეობა ეკლესიებში საყოველთაო ლოცვას აღავლენდა, მარხვითა და ღამისთევით ლოცულობდა და ევედრებოდა ღმერთს გამარჯვებას.

ქართლის ლაშქარი არაგვის ხეობიდან ჩრდილოეთ კავკასიისკენ დაიძრა. ვახტანგი მცირე ხნით შეჩერდა თიანეთში, სადაც კავკასიის მთებში მცხოვრები ტომებიდანაც შემოიერთა მეომრები. ლაშქარმა განვლო დარიალის კარი და მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე შევიდა. მდ. თერგის ნაპირებთან ქართველებს გზა ალანებმა და სხვა ჩრდილოკავკასიელმა ტომებმა გადაუკეტეს. მოწინააღმდეგეებს მდინარე ჰყოფდა. ორივე ლაშქარი ერთმანეთის პირისპირ იდგა შვიდი დღის განმავლობაში.

*დარიალის ხეობისკენ მიმავალი გზა. ჯვრის ულელტეხილის მონაკვეთი.*

*დარიალის ციხე. ისტორიულად დარიალზე გადმოდა სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის დამაკავშირებელი გზა. მთაზე შერჩენილია შუა საუკუნეების ციხის ნაშთები. გზის პირას ჩანს XIX საუკუნის დასაწყისში რუსი მეომრებისათვის აგებული სგუმაგო პუნქტი. (დ. ერმაკოვის ფოტო. 1890-იანი წლები)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## როგორი იყო გოლიათთა ბრძოლა?

**ალანები**
სარმატული წარმოშობის ირანულენოვანი ნახევრად მომთაბარე ტომი. თანამედროვე ოსების წინაპარი. ქრ.შ.-მდე II-დან ისინი დასახლდნენ აზოვისპირეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაში, დნეპრის ქვემო წელსა და სამხრეთ ურალს შორის და ხშირად ლაშქრავდნენ სამხრეთ კავკასიაში, ყირიმში, მიდიასა და მცირე აზიაში.

უძველესი დროიდან მოდიოდა ტრადიცია, გადამწყვეტი შეტაკების წინ გამორჩეულ მეომრებს შორის უნდა გამართულიყო ორთაბრძოლა, რომელსაც ქართველი მემატიანე გოლიათთა ბრძოლას უწოდებს. ორთაბრძოლაში მონაწილე მეომრები სხვებისგან გამოირჩეოდნენ, როგორც ფიზიკური ძალით, ასევე სამხედრო გამოცდილებით. მათი შებრძოლება ერთგვარად გადაწყვეტდა ომის ბედს. ასე მოხდა ამ ბრძოლის დაწყებამდეც.

ალანთა და მათი მოკავშირეების ლაშქარს სახელოვანი მეომარი თარხანი გამოეყო და ქართველებს მიმართა: „ვინც არის თქვენ შორის უძლიერესი, გამოვიდეს და შემებრძოლოსო“. ვახტანგის არმიაში მყოფ სპარსელთა შორის გამოირჩეოდა ერთი მეომარი, სახელად ფარსმან-ფარუხი, რომელსაც, მემატიანის თქმით, ხელით მრავალი ლომი დაუჭერია. მდინარის პირას საგანგებო ადგილზე თარხანი და ფარსმან-ფარუხი ერთმანეთს შეებნენ. პირველივე შეტაკებისას თარხანმა მოწინააღმდეგეს ხმლით თავი გაუპო. გამარჯვება ჩრდილოკავკასიელთა გაერთიანებულ ლაშქარს დარჩა.

ორთაბრძოლა მეორე დღესაც გაიმართა. ამჯერადაც თარხანი გამოვიდა საბრძოლველად. ქართველთა და სპარსთა გაერთიანებული ლაშქრიდან ვერავინ გაბედა შერკინება. ასეთ ვითარებაში ახალგაზრდა ვახტანგმა გადაწყვიტა თავად შებმოდა თარხანს. მუხედავად ასაკისა, ვახტანგი ფიზიკური მონაცემებით არაფრით ჩამოუვარდებოდა თავის მეტოქეს. მეფემ ფერდობი ჩაიარა და მდინარესთან დადგა. ვახტანგს ხელში ოროლი ეჭირა. თარხანი ოდნავ მოშორებით იდგა და მოწინააღმდეგის რეაქციას ელოდა. გამოცდილ მეომარს ეწყინა კიდეც მასთან საბრძოლველად მრავალნაცადი მებრძოლის ნაცვლად, ყმაწვილი რომ გამოვიდა. ვახტანგმა თარხანს შეუტია, ოროლი მარჯვედ მოუქნია და სარტყელს ზემოთ ისე მძლავრად ჰკრა, რომ გულ-მუცელი შუამუსრა და გოლიათმა მაშინვე განუტევა სული.

„ამ დროს იყო ვახტანგი წლისა ოცდაორისა, და იყო ყველაზე მაღალი მისი დროის კაცებში, და უმშვენიერესი სახით და ძლიერი ძალითა, ისე რომ, ქვეითად ჭურვილი ირემს მიეწეოდა, რქებს დაუპყრიდა და დაიჭერდა, და ჭურვილ ცხენს მხრებზე აიღებდა და მცხეთიდან არმაზის ციხეზე ავიდოდა“.
*ჯუანშერ ჯუანშერიანი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა*

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე დღეს ვახტანგის წინააღმდეგ „ბაყათარ ოსი“ გამოვიდა. მეფემ ლაშქარი გაამზადა. თავად ჯავშნით შეჭურვილ ტაიჭს შემოახტა, ვიგრის ტყავის ფარი აიღო და ბაყათართან შესახვედრად მდინარის პირას გავიდა. ამასობაში მშვილდოსარმომართული ბაყათარი მდინარეზე გადმოვიდა და მეფისკენ დაიძრა. მეფე დიდი ოსტატობით ირიდებდა ისრებს. მის ფარს მხოლოდ ორი მათგანი მოხვდა. ბაყათარმა ხერხს მიმართა და ისარი პირდაპირ ვახტანგის ცხენს ჰკრა. მოწინააღმდეგენი ერომანეთთან იმდენად ახლოს იდგნენ, რომ ვიდრე ვახტანგის ცხენი დაეცემოდა, მეფემ მოასწრო და ხმლით ჩაჰკვეთა ბაყათარი. ვახტანგი მის ცხენს მოახტა და მხნედ შეუძახა თავის მეომრებს: „ღმერთი ჩვენ კერძო არს“. მეფის გამარჯვებით გამხნევებული ლაშქარი ალანთა მთავარი ძალებისკენ დაიძრა.

გადამწყვეტი ბრძოლის წინ მეფემ ქართველთა ჯარი ასე განალაგა: წინ მიდიოდა მძიმე კავალერია, ცხენოსან-თოროსანნი და ჯაჭვჩაბალახოსანნი. მათ მოსდევდა ქვეითი ჯარი, ხოლო უკან მსუბუქად შეიარაღებული მხედრობა. ქართველებმა განვლეს კლდოვანი მასივი და გავიდნენ ვაკეზე, სადაც მოწინააღმდეგეთა მთავარი ძალები იყო დაბანაკებული.

მეფემ ფლანგებიდან შეუტია მტერს და მალე გატეხა კიდეც მათი წინააღმდეგობა. ალანები და მათი მოკავშირეები გაიქცნენ. ქართველებმა კარგა ხანს სდიეს მტერს, უკან მობრუნებულმა ვახტანგმა ლაშქარი სამი დღე დაასვენა და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო ტერიტორიის დაპყრობა. ჩრდილოკავკასიის მნიშვნელოვანი ნაწილის დამორჩილების შემდეგ, მეფემ ალანებისგან დატყვევებული და გამოიხსნა, სანაცვლოდ კი 30 ათასი ტყვე ალანი გაათავისუფლა. ეს ლაშქრობა 4 თვე გრძელდებოდა. საბოლოოდ, ქართლის სამეფომ კავკასიის გადასასვლელებზე კონტროლი მოიპოვა.

„ჩრდილოეთ კავკასიაში ლაშქრობა დიდის წარმატებით დამთავრდა. ვახტანგმა დიაკავა დარიალის ხეობა, გაამაგრა ციხე და იქ თავისი მცველები ჩაყენა. ამგვარად, ვახტანგმა გაამაგრა სამეფოს ჩრდილოეთი საზღვარი, დაიმორჩილა კავკასიის მთიანეთი და ქართლის გავლენა ჩრდილო კავკასიაში დვალეთზე, ოსეთზე, ღურძუკეთზე, დიდოეთსა და წუქეთზეც გაავრცელა“.

*მარიამ ლორთქიფანიძე*

*ვახტანგ გორგასლის ფრესკა სვეტიცხოვლის ტაძარში (ამჟამად დაკარგულია).*

ჩრდილოკავკასიაში
ლაშქრობა ქართველი
ხალხის ზეპირსიტყ-
ვიერებაშიც აისახა. კერძოდ,
ალან-ოსთა დამარცხება
საკმაოდ ხატოვნადაა
გადმოცემული ერთ ლექსში:

„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა;
იალბუზზედ ფეხი შესდგა,
დიდმა მთებმა შეჰქმნა დრეკა;
ოსებში გადაიარა,
ჩერქეზები გადარეკა“.

## რატომ ეწოდა მეფე ვახტანგს გორგასალი?

„ხოლო ვახტანგ მეფესა შეექმნა მუზარადი ოქროსი და გამოესახა მასზე წინ მგელი და უკანით ლომი, და ბრძოლისას რომელ მხარესაც მარცხდებოდნენ ქართველნი, იქით მიმართავდა და მოსპობდა თავისი ჯარით სპარსელებისას, ვითარცა ლომი გარეულ ვირს. ამიერიდან ერიდებოდნენ სპარსელები მასთან ბრძოლას, ვითარცა იხილავდნენ ვახტანგს, იტყოდნენ „დურ აზ გორგასალ“, რაც ნიშნავს: „ერიდეთ მგლისთავას“. და ამის გამო შეერქვა ვახტანგ მეფეს გორგასალი“.

*ჯუანშერ ჯუანშერიანი*

*ვახტანგ გორგასლის ძეგლი თბილისში მტკვის პლატოზე. მოქანდაკე ე. ამაშუკელი. არქიტექტორები: თ. კანდელაკი, დ. მორბედაძე. ბრინჯაო. 1967 წ.*

### როგორ იბრძოდა გორგასალი ეგრისში?

ჩრდილოკავკასიის დალაშქვრის შემდეგ, ვახტანგმა ირანელთა დამხმარე ჯარი (ნიჯადნი) სამშობლოში გაისტუმრა. თავისი და, მირანდუხტი, ალანელთა ტყვეობიდან გათავისუფლებულ სხვა ქართველებთან ერთად მცხეთაში გაამგზავრა. თავად კი ეგრისში გადავიდა და ბიზანტიელთა მიერ დაკავებული ციხეების გათავისუფლებას შეუდგა.

3 წელი იბრძოდა ვახტანგი ეგრისში. ბიზანტია ამ დროს ირანთან ომში იყო ჩართული და დასავლეთ საქართველოსთვის არ ეცალა. ამით ისარგებლა ვახტანგმა და ტერიტორია ციხეგოჯამდე (დღევანდელი ნოქალაქევი) ქართლს შეუერთა.

პირველი მნიშვნელოვანი წარმატება მიღწეული იყო, ჩრდილოეთი საზღვარი საგულდაგულოდ გამაგრდა და დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი ქართლის სამეფოს გავლენის ქვეშ მოექცა. ქართული მიწების გაერთიანება არცთუ ისე შორეულ პერსპექტივად ეჩვენებოდა მეფეს. მოუხედავად იმისა, რომ მთელი თავისი ცხოვრება მან ამ იდეას შეალია და დიდი ბრძოლებიც მოიგო, ქვეყნის მტრისგან საბოლოოდ გაწმენდა მაინც ვერ მოახერხა.

491 (სხვა მოსაზრებით 502) წელს ვახტანგ გორგასალი, 60 წლის ასაკში, ბრძოლაში მიღებული ჭრილობისგან გარდაიცვალა. თავისი ხალხის დამოუკიდებლობისთვის მედგრად მებრძოლი ვახტანგ მეფის სახე მადლიერმა შთამომავლობამ ლეგენდებით შემოსა. საუკუნეების შემდეგაც საქართველოს სამეფო დროშა „გორგასლიანად“ იწოდებოდა, დიდ ქართველ მეფეებს კი მემატიანენი უცილობლად ვახტანგ გორგასალს ადარებდნენ. ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ვახტანგ გორგასალი წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ 30 ნოემბერი (13 დეკემბერი) დაადგინა.

ციხეგოჯი (ნოქალაქევი) – ისტორიული ციხე-ქალაქი სამეგრელოში. გადმოცემის თანახმად ქრ.შ.-მდე III ს-ში იგი დააარსა ეგრისის ერისთავმა ქუჯიმ. სწორედ მისი სახელიდან მკვიდრდება ტერმინი ციხეგოჯი ანუ ქუჯის ციხე. მას ჰქონდა სტრატეგიულად ხელსაყრელი მდებარეობა. XVI-XVIII სს-ში იგი ოდიშის მთავართა – დადიანთა რეზიდენცია იყო.

*ვახტანგ გორგასლის საფლავი სვეტიცხოველში.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართველი მეომრის შეიარაღება შუა საუკუნეებში

საქართველოში მეომრის შეიარაღების კრებსით სახელად უძველესი დროიდან ჭური იყო დამკვიდრებული. ამისი დამადასტურებელია სიტყვები: ჭურვილი, აღჭურვა.

სიტყვა ჭურიდან მოძღვნარეობს ტერმინი საჭურველი, რომელიც XIII საუკუნემდე აღნიშნავდა მეომრის სრულ შეიარაღებას. IX-X საუკუნიდან ქართულში შემოდის ტერმინი აბჯარი, რომელიც იარაღისა და სამხედრო აღჭურვილობის ზოგადი სახელი იყო. გარკვეული პერიოდი ტერმინები საჭურველი და აბჯარი ერთად თანაარსებობდნენ, XII-XIII საუკუნიდან კი შეიარაღების აღმნიშვნელად, მეტწილად, უკვე აბჯარი იხსენიება. XVI-XVII საუკუნიდან შეიარაღების აღმნიშვნელად იარაღი მკვიდრდება.

მეომრის შეიარაღება მოიცავდა თავდაცვით საჭურველს, მკვეთელ, დასარტყამ, სამგერელსა და სასროლ იარაღებს.

თავდაცვითი საჭურველის ქვეშ იგულისხმება მეომრის აღჭურვილობის ის ელემენტები, რომლებიც ჯაჭვნის როლს ასრულებდნენ. ასეთი კი იყო ტანის დასაცავი და თავსაბურავი საჭურველი.

*ქართველი მეომრის ჯაჭვის პერანგი, ფარი და ხელსაკი. თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.*

ტანის ჯავშანი სხვადასხვა სახეობისა იყო, მათ შორის ყველაზე გავრცელებული ჯაჭვის პერანგი გახლდათ.

ჯაჭვის პერანგი იქსოვებოდა სხვადასხვა ხარისხისა და ზომის. მისი წონა მერყეობდა 7-17 კილოგრამამდე. ჯაჭვის პერანგის მოქსოვა საკმაოდ რთული საქმეს წარმოადგენდა. საჭირო იყო თითოეული რგოლის დამზადება, შემდეგ სხვა რგოლებთან შეკავშირება და დამაგრება. თუ გავითვალისწინებთ, რომ საშუალოდ რგოლების რაოდენობა ჯაჭვის პერანგში 15 ათასიდან 20 ათასამდე მერყეობდა, აღვილი წარმოსადგენია რა დრო და ენერგია სჭირდებოდა ერთი ჯაჭვის პერანგის დამზადებას. ზოგიერთი აბჯარი 50 ათასი რგოლისაგანაც კი შედგებოდა.




*ჯაჭვის პერანგის ქსოვის წესი. ა და ბ სურათზე ჩანს ჭანჭიკით გადაბმული რგოლები. გ სურათზე კი ნაჭვენია შედუღების წესით დამზადებული „ჭიკუ“.*

სულხან-საბა-ორბელიანის მიხედვით, ჯაჭვის პერანგი 5 სახეობისა ყოფილა – სამაქანი, ზეიდალი, ხოსროვანი, ქირაფქა და ჯაბალა. თითოეული სახეობა განსხვავდებოდა ჯაჭვის ქსოვისა და რგოლების დამზადების წესით. უშუალოდ ჯაჭვის რგოლების – „ჭიკუს“ შეკვრის მიხედვით, ჯაჭვის პერანგი სამ ჯგუფად განიყოფოდა: „ფარეშიანი“, „უფარეშო“ და „დადუღებული“. „ფარეშიან“ ჯაჭვად ითვლებოდა ის სახეობა, რომლის რგოლები ჭანჭიკით (ფარეშით) იყო შეკრული. „ფარეშიანი“ ჯაჭვი, თავის მხრივ, იყოფოდა რამდენიმე ტიპად. შესაძლებელია რგოლს ჰქონოდა ერთი, ორი და სამი ფარეში. „უფარეშო“ ჯაჭვის რგოლები გადაგრეხვის პრინციპით მიიღებოდა, მათი თავები დაუმაგრებელი იყო.

ქართულ სინამდვილეში გვხვდება ჯაჭვის პერანგის ისეთი სახეობაც, რომლის რგოლების თავები დაკავშირებული იყო შედუღების გზით, ასეთ სახეობას მეცნიერები „დადუღებულს“ უწოდებენ.

*იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ის მიერ რუსეთის მეფისადმი 1659 წელს ბოძებული აბჯარი.*

ეროვნული ბიბლიოთეკა




*გვიანი შუა საუკუნეების ქართველი მეომარი. თანამედროვე რეკონსტრუქცია.*

აბჯრის ცალკე სახეობას წარმოადგენდა თორი, რომელიც ერთი მოლიანი რკინის ჯავშანი იყო. იგი რკინის ნაჭრებისგან მზადდებოდა და ტანს წელამდე ფარავდა. ზოგიერთ შემთხვევაში თორი ორი რკინის ნაჭრისგან იყო შემდგარი, რომელიც მხრებზე, იღლიის ქვეშ და წელზე საგანგებო ზონრებით იკვრებოდა. ასეთი ტიპის აბჯარზე ხშირად იყო ამობურცვის მეთოდით გამოსახული სხვადასხვა სტილიზებული ფიგურები და ცხოველები.

*კაპარჭში სხვადასხვა მოყვანილობის ისრებია მოთავსებული. საქართველოში რამდენიმე ათეული სახეობის ისარი იყო გავრცელებული (სიღნაღის მუზეუმი).*

შუა საუკუნეების საქართველოში გავრცელებული იყო მოზრდილი ლითონის ფირფიტებისგან დამზადებული ჯავშანიც – ბეგთარი. მეომრის სხეულის სხვადასხვა ნაწილს – ფეხს, ხელს ასევე საგანგებო ჯავშანი იცავდა: სამუხლე, ხელნავი, საბარკული, საფუხარი.

მეომრის თავდაცვითი თავსაბურავიც რამდენიმე სახეობისა იყო: ჩაფხუტი, ჩაჩქანი, მუზარადი, ზუნი, ჩაბალახი. ჯავშნის ეს სახეობები ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ თავისი მოყვანილობითა და შედგენილობით. მკვეთელი იარაღიდან ყველაზე გავრცელებული ხმალი იყო. სამგერი იარაღიდან კი ოროლი, შუბი, კინნი. სასროლი იარაღიდან – მშვილდ-ისარი. გვიან შუასაუკუნეებში ქართველი მეომრის შეიარაღებას დაემატა ცეცხლსასროლი იარაღი – თოფი (იხ. გვ. 76-77).

# ვიკინგები საქართველოში და სასირეთის ბრძოლა

**რატომაა ეს ბრძოლა სამარცხვინო?**

შიდა ქართლში, მდ. თეძმის ხეობაში, დღევანდელი კასპის რაიონში, ერთი პატარა სოფელია – სასირეთი. ამ მიდამოებში ადამიანი უძველესი დროიდან ცხოვრობდა. სოფელში აღმოჩენილია ქრისტეშობამდე II ათასწლეულის II ნახევრის გორანამოსახლარი. 1930 წელს ერთ-ერთი საფლავის გათხრისას, შემთხვევით მიაკვლიეს ბრინჯაოს ხანის ურიცხვ განძს. სოფლის სამხრეთ-დასავლეთით მდ. თეძმის კალაპოტის ორივე მხარეს ოდითგანვე ჭალა იყო. დღეისთვის ეს ადგილები სასოფლო-სამეურნეო სავარგულებადაა ქცეული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჭალის მცირე ნაწილი ჯერაც დარჩენილია. ეს ჭალა 1046 წლის ზაფხულში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების ეპიცენტრად იქცა.

*საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის (1027-1072) მონეტა.*

*ბიზანტიელი მეომრები. იოანე სკილიცეს ხელნაწერის მინიატურა.*

1045-1046 წლებში საქართველოში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. სამკვდრო-სასიცოცხლოდ იყვნენ დაპირისპირებულნი მეფე ბაგრატ IV და კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ ბალვაში. მათ შორის გადამწყვეტი ბრძოლა სწორედ სასირეთის ჭალასთან გაიმართა. ეს იყო საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი სამარცხვინო ფურცელი, რადგან, ერთი მხრივ, ქართველმა ქართველის წინააღმდეგ ხმალი აღმართა და თანამოძმეთა სისხლი დაიღვარა და, მეორე მხრივ, დაპირისპირებულებმა ერთმანეთთან საბრძოლველად უცხოტომელები გამოიყენეს.

*კლდეკარის ციხე IX ს-ში ავო არგვეთიდან ორბალეთში გადმოსულმა ლიპარიტ I-მა ბალვაშმა. იგი კონტროლს აწესებდა სამხრეთ საქართველოდან შიდა ქართლში გადამავალ ერთ-ერთ მთავარ მაგისტრალზე.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ვიკინგი მეომრები ბრიტანეთის სანაპიროზე. XII საუკუნეების მინიატურა.*

XI საუკუნის 40-იან წლებში საქართველოში მიმდინარე სამოქალაქო ომის დროს, არც ცენტრალური ხელისუფლება და არც ავჯანყებული კლდეკარის ერისთავი არ ერიდებოდა, რომ უცხო ქვეყნის მეომრები მოეწვია და მათი დახმარებით გაენადგურებინა მოწინააღმდეგე. ლიპარიტ ბაღვაშს მხარს უჭერდნენ ბიზანტიელები. მათი გარნიზონები სამხრეთ საქართველოს სტრატეგიულ ციხეებში იდგნენ. ამით შეშინებული მეფე იძულებული გახდა, თავისი არმიის გასაძლიერებლად, უცხო ქვეყნის მეომრები დაექირავებინა. ასე აღმოჩნდნენ სკანდინავიელი ვიკინგების რაზმები რიონისა თუ მტკვრის ნაპირებთან.

ბაგრატ IV-სა და ლიპარიტ ბაღვაშს შორის დაპირისპირების პირველი ნაპერწკალი 1040 წელს გაჩნდა, მაგრამ ისინი მალევე დაზავდნენ. მიუხედავად ამისა, მხარეებს შორის კონფლიქტმა, შესვენებებით, 15 წელს გასტანა. 1045 წელს ლიპარიტ ბაღვაშმა ბიზანტიელთა მხარე დაიკავა და ბაგრატ IV-ს ანისის სომხური სამეფო დაუკარგვინა.

ამ ფაქტით ძმათამკვლელი ომის ახალი ეტაპი დაიწყო. იმავე წელს მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთთან პირისპირ ბრძოლას თავი აარიდეს. როგორც ბაგრატ IV-მ, ისე ლიპარიტ ბაღვაშმა, ძალების მობილიზაციის ტაქტიკა არჩიეს. ლიპარიტმა თავის ძველ მოკავშირეს, ბიზანტიას უხმო. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება კი ბიზანტიიდან საშშობლოში მიმავალ ვიკინგებს დაუკავშირდა, რომელთა ნაწილი 1043 წელს კონსტანტინოპოლზე რუსთა თავდასხმაში მონაწილეობდა.

## ვინ იყვნენ ვიკინგები?

IX-ის დასავლეთ ევროპის კათედრალებსა თუ მონასტრებში ხშირად წარმოთქვამდნენ საკვირველ ლოცვას: „უფალო, შენ დაგვიფარე ნორმანთა მძვინვარებისგან!". ევროპული ქრონიკები ნორმანებად (იგივე ვიკინგები) სკანდინავიიდან გამოსულ მეომრებს მოიხსენიებდნენ. საუკუნეების მანძილზე ისინი ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდნენ ევროპას. ვიკინგები არც რაიმე განსაკუთრებულ იარაღს და არც განსხვავებულ სამხედრო სტრატეგიასა და ტაქტიკას ფლობდნენ, მათი წარმატების საიდუმლო სანაოსნო ხელოვნების კარგად ფლობაში მდგომარეობდა.

VIII-IX-იდან მოყოლებული, ფლევანდელი სკანდინავიის ტერიტორიიდან, ვიკინგთა სამხედრო აგრესია რამდენიმე მიმართულებით წარიმართა: ნორვეგიიდან და დანიიდან გამოსულმა მეზღვაურებმა ძირითადად თანამედროვე გერმანიის, საფრანგეთისა და ინგლისის სანაპირო ზოლის, შვედებმა კი, აღმოსავლეთ ევროპის, კიევის რუსეთისა და სხვა სლავური სამეფო-სამთავროების აოხრება დაიწყეს. IX-იდან ნორმანები დიდი მდინარეებით კონტინენტური ევროპის სიღრმეში იჭრებიან. ამავე დროს სკანდინავიელები ინგლისის ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციებს იპყრობენ. ვიკინგთა სამხედრო რაზმები პატარა გემებით აწყობდნენ ლაშქრობებს (თითოეული 50-100 მეომარს იტევდა), რომლის ქიმზე ურჩზული იყო გამოსახული, მათ თანდათანობით გიბრალტარის სრუტით ხმელთაშუა ზღვის აუზში შეაღწიეს. XI-ში სამხრეთ იტალიაში ნორმანებმა საკუთარი სამეფოს შექმნაც კი მოახერხეს. გადმოცემით, 1000 წელს ნორმანმა მეზღვაურებმა ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტამდეც კი მიაღწიეს. XI-ის II ნახევრიდან ვიკინგთა მრავალრიცხოვანი სამხედრო რაზმები მსახურობდნენ ბიზანტიის იმპერატორის კარზე და სასახლისა და იმპერატორის დაცვა ევალებოდათ. ბიზანტიაში ვიკინგები ძირითადად რუსეთის გავლით ხვდებოდნენ. ეს არცაა გასაკვირი, რამეთუ კიევისა და ნოვგოროდის დაწინაურება, ხოლო შემდეგ, კიევის სახელმწიფოს ფორმირება, ნაწილობრივ, დაკავშირებულია ვიკინგებთან. პირველი რუსი მთავრებიც სკანდინავიურ სახელს ატარებდნენ. მეომრების ნაწილი სამხედრო სამსახურისთვის კონსტანტინოპოლში მიდიოდა. ბიზანტიის იმპერატორის რაზმები სიცილიაში დამკვიდრებული ნორმანების ხარჯზეც ივსებოდა.



*ვიკინგების გემი, რომელიც 1880 წელს აღმოაჩინეს არქეოლოგებმა. რეკონსტრუქცია.*

# პირველი შეხვედრა ვარანგებთან

რიონის პირას აუარებელ ხალხს მოეყარა თავი. დიდი თუ პატარა სტუმრების დასახვედრად იყო გასული. ყველას ერთი სიტყვა ეკერა პირზე — ვარანგები. მახლობელი სოფლებიდანაც კი იყვნენ ჩასულნი სეირის მაყურებელნი. ათასგვარი ჭორი დადიოდა ვარანგების შესახებ. ფაზისში ჩასული ბერძენი თუ სლავი ვაჭრები მათზე ისეთ ამბებს ჰყვებოდნენ, რომ ხალხს ისინი სისხლისმსმელ დევებად წარმოედგინა.

ნაპირს ბიზანტიური გემი მოსდგომოდა. სოფელ ბაშში პატარა ნავსადგური იყო. ასეთი ზომის გემი რიონზე იშვიათად ენახათ და ამიტომაც ხალხი დიდი ინტერესით ათვალიერებდა.

მეფე ბაგრატის მცველთა რაზმის უფროსი ვაჩე სულას ძე თავისი ამალით ნაპირთან იდგა და ვარანგთა რაზმის მეთაურებს ესაუბრებოდა. მათ გაბურძნული წვერი უფარავდა სახეს და მოწითალო ან ქერა თმა მხრებამდე სწვდებოდათ. ტანთ ემოსათ აბრეშუმის პერანგი, რომელზეც, მსხვილი, ცხოველების ორნამენტებით შემკული ოქროს სარტყელი ერტყათ.

ვაჩე ბერძნულად კარგად საუბრობდა, სტუმრებს კი უჭირდათ. მან ერთ-ერთ მათგანს ჰკითხა:

— რამდენი მეომარი ჩამოვა აფხაზთა სამეფოში?

— სამი ათასი, მაგრამ მათგან მხოლოდ ნაწილს შესწევს ძალა ბრძოლისა, რადგან იმპერატორმა, კონსტანტინე მონომახოსმა, ბევრი ჩვენი თანამოძმე სასტიკად დაასახიჩრა...

— ბრძოლისუნარიანი რამდენია?

— 700-800 მეომარი იქნება, მაგრამ მათი დიდი ნაწილი შეუიარაღებელია.

— მეფე ბაგრატის ბრძანებით, იარაღსა და ცხენებს რამდენიმე დღეში მიიღებთ.

— რამდენი გემია საჭირო ფაზისიდან დანარჩენი მეომრების ამოსაყვანად? — საუბარში ჩაერია ჭყონდიდელი ეპისკოპოსი.

სანამ ვარანგები პასუხს გასცემდნენ, იქვე მდგარმა ბერძენმა მენაველუხუცესმა ყველას დაასწრო და ჭყონდიდელს მიმართა — 30-მდე გემი საკმარისი იქნება თქვენო მეუფეებავ. ჩვენ პირველები გამოვედით ფაზისიდან. დღესვე მწუხრისას 4 გემი ჩამოვა კიდევ. თუ ამინდმა გვაცალა, ათიოდ დღეში ყველა მეომარს ჩამოვიყვანთ. ვაჩემ ბეშქენ ჯიხვაისძეს დაავალა ვარანგები დაებინავებინა და სანოვაგით მოემარაგებინა. დაემშვიდობა ვარანგთა წარჩინებულებს და ამალითურთ შემაღლებულ ადგილზე ავიდა. ვაჩეს გამოხედვაში აშკარად ჩანდა, რომ ამ შეხვედრით დიდად კმაყოფილი არ იყო. მცირე ხანს მდუმარედ იდგა, შემდეგ ჭყონდიდელ ეპისკოპოსს მიუბრუნდა და საყვედურის კილოთი მიმართა:

— მეუფეო, 700-800 მეომარი დიდი შედეგთა არაა მეფე ბაგრატისთვის. მწიგნობართუხუცესი ანანია კონსტანტინოპოლიდან გვატყობინებდა, რომ 3 ათასამდე ვარანგი სამშობლოში დაბრუნებას აპირებსო. სწორედ ამიტომ გავავზავნე ქუთაისის ციხისთავი და ვარანგთა ფაზისში მოწვევა ვუბრძანე. ცალთვალა და ცალხელა მეომრებს ხომ არ გადავიყვანთ ქართლში ლიპარიტის წინააღმდეგ?

— შვილო, ვაჩე, ამაზეც მადლობა შევწიროთ უფალს. მართალია, სამხედრო საქმის არა გამეგება რა, მაგრამ ერთი რამ კი შემიძლია გითხრა. 700 ვარანგი რამდენიმე ათას ბერძენს სჯობს. ბერძნებთან ომს შეჩვეულნი ვართ, ვარანგები კი ყველას შიშს ჰვგრიან. ხედავ, როგორ აკვირდება მათ ხალხი? არა მგონია, ასეთივე ინტერესი გამოინინონ ბიზანტიელი მეომრების მიმართ. სახელს დიდი მნიშვნელობა აქვს, შვილო! ვარანგებს არაერთხელ შეურყევიათ ბერძენთა მეფის ტახტი, ამიტომ გეჭირდებიან ისინი. აფხაზთა სამეფოს ლაშქარზე უკეთესად ვარანგები ვერ ებრძოლებენ, მაგრამ მათი მოწვევა სულიერად აღამაღლებს და ბრძოლას გაუადვილებს ჩვენს მეომრებს.

ვაჩე სულას ძემ მაინც უკმაყოფილოდ გაიქნია თავი. თითქოსდა დამაჯერებლად ჩანდა ჭყონდიდელის სიტყვები, მაგრამ მრავალბრძოლავამოვლილმა სარდალმა კარგად იცოდა, რომ ბრძოლის ველზე ყველაფერი სხვაგვარად ხდებოდა და დღეს ქვეყანას მეომრები სჭირდებოდა და არა მათი სახელი თუ დიდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*სასირეთის ბრძოლის გეგმა*

ქართველებს ვიკინგთა არსებობის შესახებ სწორედ ბიზანტიელებისგან უნდა გაეგოთ. ქართულ წყაროებში მოხსენიებული სახელი „ვარანგ“ ბერძნული სახელწოდების ადეკვატურია. ამ პერიოდში, საქართველოს ეკონომიკური და კულტურული კავშირები ჰქონდა ხლავურ სამყაროსთან, სადაც ვიკინგები მეტად პოპულარულები იყვნენ. ასე რომ, სკანდინავიელი მეომრების ბრძოლისუნარიანობის, შემართების შესახებ ქართველებს უტყუარი ცნობები ეწებოდათ. სწორედ ამან განაპირობა XIს-ის შუა ხანებში საქართველოს მეფე ბაგრატ IV-ის გადაწყვეტილება, დაექირავებინა ვიკინგები აჯანყებული კლდეკარის ერისთავის, ლიპარიტ ბაღვაშის წინააღმდეგ. დაქირავებული ვიკინგები პირველად, რიონის დინებით, სოფელ ბაშში დაბანაკდნენ...

ბაგრატ IV-მ საქართველოში სულ 3000 ვიკინგი მოიწვია. გადამწყვეტ ბრძოლაში კი მხოლოდ 700 ვიკინგი წაიყვანა.

## როგორ დასაჯეს ვიკინგები?

ბაგრატ IV-ის ლაშქარმა ლიხის მთა გადაიარა და სოფ. სასირეთის ჭალასთან დაბანაკდა, ხოლო ლიპარიტ ბაღვაში მათ პირისპირ – მდ. თემძის მარცხენა მხარეს იყო გამაგრებული. ბრძოლის დაწყებას არცერთი მხარე არ აპირებდა. ბაგრატ IV კიდევ ელოდა დამატებით ძალებს მესხეთიდან, მაგრამ ამ დროს საკუთარ სიმამაცესა თუ სიძლიერეში დარწმუნებულმა ვიკინგებმა, სარდლობასთან შეუთანხმებლად, იერიში მიიტანეს ლიპარიტის ბანაკზე, რამაც საქართველოს მეფე აიძულა ბრძოლაში ჩართულიყო. კლდეკარის ერისთავს ბიზანტიელთა გარნიზონები უმაგრებდნენ ზურგს. სისხლისმღვრელი შეტაკება მცირერიცხოვან ვიკინგთა და ქართველთა გაერთიანებული ლაშქრის დამარცხებით დასრულდა. ევროპაში სახელგანთქმულმა ვიკინგებმა მტკვრისა და თემძის ხეობაში მარცხი იწვნიეს. ლიპარიტ ბაღვაშმა ვიკინგებს სამარცხვინო სასჯელი მიუსაჯა – პური გააცხრილვინა, შემდეგ კი, ბაშში დაბანაკებულ თანატომელებთან გაისტუმრა. როგორც ჩანს, ლიპარიტმა ვიკინგებისგან ყველაზე მთავარი პირობა მიიღო, რომ რიონის ნაპირებთან დაბრუნებისთანავე დარჩენილ 2300 მეომართან ერთად საქართველოს დატოვებდნენ. ეს იყო ვიკინგების საქართველოში ყოფნის ერთადერთი შემთხვევა. სასირეთის ბრძოლას შეიძლება ისტორიაში არც დაეკავებინა გამორჩეული ადგილი, რომ არა მასში ვიკინგთა მონაწილეობა. ამის შემდეგ 10 წელი, ლიპარიტ ბაღვაში და ბაგრატ IV განაგრძობდნენ დაპირისპირებას, მაგრამ ვიკინგების მოწვევა არც ერთ მხარეს აღარ უცდია. ვიკინგი საქართველოში უძლეველი მეომრის სინონიმად ვერ იქცა, ხალხს კარგახანს ახსოვდა პურის გასაცხრილად დამსხდარი ვიკინგები, რომლებმაც სამშობლოში დაბრუნება მხოლოდ ლიპარიტ ბაღვაშის გულმოწყალებით მოახერხეს.

**ბაღვაშები**

მსხვილი ფეოდალთა საგვარეულო IX–XIIსს-ის საქართველოში. საგვარეულო მამული ჰქონდათ არგვეთში. გვარის პირველი წარმომადგენელი იყო ლიპარიტ ბაღვაში, რომელმაც დავით I კურაპალატისაგან მიიღო კლდეკარის საერისთავო. მისი შთამომავლები ერისთავთ-ერისთავის ტიტულს ატარებდნენ. ბაღვაშები ცდილობდნენ კლდეკარის საერისთავო მიწები საკუთარ მამულად გადაექციათ. ბაღვაშების რამდენიმე თაობა აქტიურად ეწინააღმდეგებოდა გაერთიანებული საქართველოს მეფეებს (ლიპარიტ IV, ლიპარიტ V, რატი I, ივანე ლიპარიტის ძე). დავით IV აღმაშენებელმა ლიპარიტ V დაუპატიმრა და საქართველოდან გააძევა, კლდეკარის საერისთავო კი გაუქმა.

*სასირეთის ჭალა. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთით.*

## თურქ-სელჩუკთა სასტიკი მარცხი ფარცხისთან

*დენდანეკანთან ბრძოლა. შუა საუკუნეების აღმოსავლური მინიატურა.*

**რას ნიშნავს „თურქ-სელჩუკთა მოძრაობა“?**

XIს-ის 30-იანი წლებიდან, წინა აზიის მიმართულებით იწყება თურქული ტომების მასობრივი მიგრაცია. ამ პროცესმა სამუდამოდ შეცვალა რეგიონის ეთნიკურ-პოლიტიკური რუკა. სამხრეთ კავკასიის ხალხებმა და ბიზანტიელებმა, ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რა დამანგრეველი ძალა მოიწევდა მათკენ. ნახევრად მომთაბარე ტომების გამოჩენა მახლობელ აღმოსავლეთში თავიდან დიდ საშიშროებად არ აღიქვეს: XIს-ის 30-40-იანი წლების მიჯნაზე, თურქული ტომები არ აწუხებდენ ბიზანტიისა და კავკასიის ქვეყნებს მრისხანე თავდასხმებით – ძირითადად შუა აზიასა და ირანში გაბატონებისთვის იბრძოდნენ და მხოლოდ შიგადაშიგ თუ მოითარეშებდნენ იმპერიის სასაზღვრო რაიონებს.

1025 წლისათვის თურქ-სელჩუკთა ერთ-ერთმა დიდმა გაერთიანებამ ღაზნეველთა სამეფოს შეაფარა თავი და სულთან მაჰმუდს ხორასანში მიწების გამოყოფა სთხოვა. სწორედ ხორასანში სელჩუკთა გადასვლით იწყება „თურქ-სელჩუკთა დიდი მოძრაობა“, რომელმაც მოგვიანებით უდიდეს იმპერიას ჩაუყარა საფუძველი.

სულთან მაჰმუდ ღაზნევის უახლოესი მრჩეველი და ვეზირი, არსლან ჰაჯიბი, საგანგებოდ ურჩევდა უარი ეთქვა სელჩუკთა გადმოსახლებაზე და თუ მაინც დათანხმდებოდა, ბრძანება გაეცა მდ. ამურდარიაზე გადასული ყველა თურქისთვის თითი მოეჭრათ. სულთანმა არ მიიღო თავისი ვეზირის რჩევა, თუმცა ბრძანა, რომ ყველასთვის იარაღი აეყარათ. საბოლოოდ, სელჩუკებს საცხოვრებლად და საძოვრებად ვრცელი ტერიტორია დაუთმეს, რის სანაცვლოდაც მათ ღაზნეველთა ლაშქრობებში მონაწილეობა იკისრეს.

ამ მოვლენიდან 10 წლის შემდეგ თურქ-სელჩუკებსა და ღაზნეველთა შორის ატყდა სისხლისმღვრელი ომი, რომელიც 1040 წლის მაისში დენდანეკანთან ღაზნეველთა სასტიკი დამარცხებით დასრულდა. ამირიდან თურქ-სელჩუკთათვის დასავლეთის მიმართულებით გზა ხსნილი იყო.

*საშველდის ციხის კარიბჭის გოდოლი და სამხრეთ გალავნის ნაშთი.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თურქ-სელჩუკები საქართველოში

თურქ-სელჩუკები დედაწულიანად მიმდიოდნენ ახალ-ახალი ტერიტორიების დასაპყრობად. დასაწყისში, ძირითადად, ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ იბრძოდნენ, XIს-ის 60-იანი წლებიდან კი სამხრეთ კავკასიის დაპყრობა დაიწყეს. სულთან ალფ-არსლანის სარდლობით სელჩუკებმა 1064 და 1068 წლებში საქართველოს სამხრეთი და აღმოსავლეთი პროვინციები მოარბიეს, მაგრამ მალევე გაეცალნენ აქაურობას. მომთაბარე თურქები ამ დროს ძირითადად სომხეთსა და შირვანში იბრძოდნენ. მომდევნო სულთანმა მელიქ-შაჰმა ამ ტერიტორიის დამორჩილება თავის სარდალთაგან ყველაზე წარჩინებულს, სავთეგის (ქართულ წყაროებში – სარანგს) დაავალა. XI საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში თურქ-სულჩუკები საქართველოში შემოიჭრნენ. ზოგიერთი ფეოდალი თავიდანვე ცდილობდა თურქებთან დაახლოებას. ივანე ბალავაშმა სულთანს საზღვართან თავისი ვაჟი, ლიპარიტი მიაგება. თუმცა, ცოტა ხანში, ის სულთანს გამოეპარა და საშობლოში დაბრუნდა.

*ალფ-არსლანის მონეტა*

*თურქ-სელჩუკთა სულთანი ალფ-არსლან მუჰამედ იბნ დაუთი (1029-1072). მისი მმართველობის დროს სელჩუკთა სახელმწიფო მნიშვნელოვნად გაძლიერდა. 1071 წელს ალფ-არსლანმა მანასკერტის ბრძოლაში გაანადგურა ბიზანტიელთა ჯარი და დაატყვევა იმპერატორი რომანოზ IV.*

ლიპარიტის ასეთი საქციელით განრისხებულმა სულთანმა მელიქ-შაჰმა სასწრაფოდ დაძრა ჯარი საქართველოსკენ და თავისი რისხვა, უპირველესად, ბალავაშთა სამფლობელოს დაატეხა: ალყა შემოარტყა სამშვილდეს და მალევე აიღო. მან ივანე ლიპარიტის ძე და მისი ოჯახი, ასევე ბალავაშთან მყოფი აზნაურები, დაატყვევა. სამშვილდეში სულთნის მეციხოვნეები ჩადგნენ. ქვემო ქართლის დაპყრობის დროს მელიქ-შაჰმა ქართლის სხვა მხარეებიც მოარბია და დიდი ნადავლით უკან გაბრუნდა.

თურქთ-სელჩუკებმა მალე მთელი შირვანი, არანი და სომხეთი დაიპყრეს – დარჩათ მხოლოდ საქართველო. 1075 წლისთვის მელიქ-შაჰის დავალებით, კავკასიის ჯარების სარდალმა, სარანგმა, საომარი მოქმედებები დასავლეთით – საქართველოს მიმართულებით დაიწყო. მტერს საქმეს ისიც უადვილებდა, რომ ქვემო ქართლში სტრატეგიულად ერთ-ერთი მნიშვნელოვან პუნქტს – სამშვილდეს ფლობდა.

*თურქ-სელჩუკთა სულთანი მელიქ-შაჰი (1055-1092). მისი მმართველობის დროს სელჩუკთა სახელმწიფომ ძალიერების ზენიტს მიაღწია. ეგი მფარველობდა ხელოვნებას, მეცნიერებას. გაატარა სამხედრო და სასამართლო რეფორმები.*

*მელიქ-შაჰის მონეტა*

ამ დროს საქართველოში გიორგი II მეფობდა, რომელსაც ქართული საისტორიო ტრადიცია ნამდვილად არ სწყალობს. ძნელია დადგენა, რამ განაპირობა მისადმი მემატიანის ასეთი უარყოფითი დამოკიდებულება, მით უფრო გასაკვირია, რომ მისი ასეთი კრიტიკული შეფასება საკუთარი შვილის, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსიდან მომდინარეობს. როგორადაც უნდა აფასებდეს მემატიანე გიორგი II-ის მოღვაწეობას, ფაქტია, რომ მან თურქ-სელჩუკებს ფარცხისის მიდამოებში პირველი ყველაზე მასშტაბური ბრძოლა მოუგო.

# რაზე ბჟობდნენ სასახლეში?

მწუხრის ლოცვა უკვე დასრულებულიყო, როცა ქუთაისის სასახლეში მაცნე მივიდა: კახთა მეფე აღსართანი იტყობინებოდა განძაში თურქთა მრავალრიცხოვანი არმიის შეკრების ამბავს. მეფე გიორგიმ მესაწოლე ბერს მეორე დღისთვის დარბაზის წევრთა მოწვევა უბრძანა. მთელი ღამე ფხიზლად გაატარა მეფემ. თავის სიყრმის მეგობარს, ნიანია ნიანიას ძეს ესაუბრებოდა და სარანგის მოსალოდნელი მოქმედების განჭვრეტას ცდილობდა:

— მეფე აღსართანის ბრალია ყოველივე. იმ დროს, როდესაც ამირა ფადლონი განძიდან თურქებს გაექცა, მოციქული გამომიგზავნა და დახმარება მთხოვა. სამაგიეროდ, პირობას დებდა აფხაზთა მეფის ციხეებსა და ქალაქებს არ შეეხები და განძაში ქართველი ვაჭრებისგან ბაჟს აღარ ავიღებო. კახთა მეფე აღსართანს შევუთვალე ფადლონის დანაბარები, მაგრამ ვერ დავითანხმე მოკავშირეობაზე. ხომ ხედავ ნიანია, განძის ამირაც დაამარცხეს თურქებმა და ახლა ჯერი ჩვენზეა.

— მეფეთ-მეფეო, მელიქ-შაჰმა შემთხვევით არ დატოვა სარანგი განძას. აგრე ამბობენ, ხორასანს მიმავალს უთქვამს: აფხაზთა და ქართველთა სამეფოსა და კახეთის მორბევის შემდეგ, ჩრდილოეთიდან უნდა შევუტიოთ იბერიისა და ქალდიის საკატეპანოსო.

— აგრეც იქნება, ნიანია, ეს. კურაპალატისეულ ციხეებში ხუთასიოდე მეომარი თუ იქნება მხოლოდ.

— მეფეო, სარანგი ორიოდ კვირაში შეიძლება დაიძრას და თუ აღსართანი დაგვთანხმდა, თურქებს აფხაზთა სამეფოში შემოსვლისთანავე უნდა დავეცეთ, — ურჩია ნიანიამ.

მეფე დიდხანს დუმდა. სახის ნაკვთები შეგადაშიგ უთამაშებდა, რადაცას ანგარიშობდა. უცებ ერთბაშად გამოერკვა და ნიანიას ჰკითხა:

— რას ფიქრობ, საიდან უნდა ველოდოთ აფხაზეთში თურქთა შემოსვლას?

— მეფეო, შეიძლება პირველად კახეთს შეუტიოს სარანგმა. მაგრამ ჩვენი მსტოვრები გვატყობინებენ, მისმა მოციქულებმა ერთობ მოუხშირეს დმანისის ამირასთან სტუმრობასო. იმასაც ამბობენ, დვინისა და დმანისის ამირები თურქებისთვის მისაშველებელ ჯარს ქერაობენო. დვინელ-დმანელთა დამხმარე ჯარი ქვეშის ციხესა და სამშვილდის მიდამოებში შეიკრიბება. ვფიქრობ, სარანგიც სამშვილდეს მივა. აქედან თურქთა მარბიელი შეიძლება მანგლისით თრიალეთ-ჯავახეთზე წავიდეს ან ფარცხისთ თბილისს საამიროსკენ დაიძრას.

მეფე გიორგი კვლავ დადუმდა. მცირეხანს ასე იყო, შემდეგ მწიგნობართუხუცესს უხმო და ჯარის წვევის წიგნის დაწერა უბრძანა. წერილები ქართლისა და ჯავახეთის ერისთავებს დაუგზავნა და მზადყოფნა უბრძანა. შემდეგ მეფე კვლავ ნიანიას მიუბრუნდა:

— თელავს უნდა წახვიდე აღსართან მეფესთან. ლაშქრის მოშველებაზე უნდა დაითანხმო. ეგრე უთხარი, მთელი სამეფოს სახა უნდა დაძრას სარანგის წინააღმდეგ, თუ არა და ფადლონის ბედს გაიზიარებ-თქო. მეტად შეშინებულია აღსართანი და უარს არ გეტყვის.

ნიანია მეფეს დაეშვიდობა. მეფეს კიდევ დიდხანს არ ეკარებოდა ძილი. მხოლოდ გამთენიისას ჩათვლიმა, ფიქრისგან დაღლილს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რა მოხდა ფარცხისთან?

თურქ-სელჩუკთა მიზანი სამშვილდედან ქვეყნის სიღრმეში შეჭრა და მნიშვნელოვანი პუნქტების დაკავება იყო. მტრის ეს მოძრაობა უყურადღებოდ არ დარჩენია საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას და სამეფო კარს სამზადისიც ჯეროვანი გაუწევია მომთაბარე თურქთა დასახვედრად. გიორგი II-მ მოიწვია მოკავშირეები და სამეფო ლაშქართან ერთად მტრის შესახვედრად დაიძრა. თავიდან მტერი სამშვილდეს სამხრეთით დაბანაკებულა ვრცელ ვაკეზე. როგორც ჩანს, სარანგი აქედან აპირებდა ომის დაწყებას.

შემდეგ მტერმა სოფ. ფარცხისისკენ გადაინაცვლა. ამასობაში ქართველთა ჯარი ალგეთის ხეობაში გადავიდა და ფარცხისის ქვემოთ მოულოდნელად თავს დაესხა თურქ-სელჩუკებს. ფარცხისიდან გზა ორი მიმართულებით მიდიოდა: ერთი — ალგეთის პირზე, ბირთვისის ტბისკენ, მეორე — სამება-ზოვრეთ-დაღეთზე გავლით, სამშვილდეში შედიოდა. სარანგს სწორედ ამ გზით უნდა ესარგებლა. ფარცხისის ციხის მიდამოებში დაახლოებით 50 ათასი სელჩუკი მეომარი იყო დაბანაკებული. ქართველთა არმიაც საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჩანს. მეფეს მტრის წინააღმდეგ დაურაზმავს არა მარტო „აფხაზთა სამეფოს“ სამხედრო ძალები, არამედ საგანგებოდ მოუწვევია აღსართან მეფეც კახეთ-ჰერეთის ლაშქრით.

ბრძოლა სოფ. ფარცხისთან კარგა ხანს გაგრძელებულა და მხოლოდ მწუხრისას დასრულებულა. თურქები სასტიკად დამარცხდნენ. ფარცხისის მიდამოები სარანგის მეომართა გვამებით იყო მოფენილი. „მატიანე ქართლისაჲ“ წერს: „და იოტა ბანაკი სარანგისი: გააქცია და ასწყვიდა. იყო ჟამი მწუხრისა და სიღამემან დაარჩინა ნეშტი სარანგის ლაშქრისა, და შემოიქცა უკლებლად და მშვიდობით მეფეთ-მეფე გიორგი თავისა სამეფოსა.“ როგორც ჩანს, სიბნელეს გადაურჩენია თურქ-სელჩუკთა ლაშქარი სრულ განადგურებას. ამ გამარჯვებამ რამდენიმე წლით გადაავადა სელჩუკთა მიერ საქართველოს დაპყრობა. გიორგი II-მ ისარგებლა ამ წარმატებით და, ბიზანტიელთა დახმარებით, კიდევ უფრო გააფართოვა ქვეყნის საზღვრები.

*ფარცხისის ციხე. საცხოვრებელი ნაგებობის ნაშთები.*

# დიდგორის ბრძოლა

**რატომაა დიდგორი გამორჩეული?**

დიდგორი დამოუკიდებლობის, თავისუფლებისთვის ბრძოლის, ერთიანობისა და ქვეყნისთვის თავდადების სიმბოლოა. დიდგორმა სახელი გაუთქვა საქართველოს იმდროინდელ მსოფლიოში, საფუძველი ჩაუყარა რუსთაველისა და თამარის ეპოქას, ესტაფეტა გადასცა შამქორსა და ბასიანს. დიდგორის დიდება აღემატება მარტყოფის ხანმოკლე სიხარულს, აშუშებს მარაბდის ჭრილობას და გვავიწყებს კრწანისის სასოწარკვეთას. ამავდროულად, დიდგორი ქართული სამხედრო ხელოვნების წარმატების ნიშანსვეტია. ქართველობა ორ აოეულ წელზე მეტხანს ემზადებოდა დიდგორის გამარჯვებისათვის. ამ ბრძოლით დავითმა, ფაქტობრივად, დაასრულა 22-წლიანი ომი ისლამურ სამყაროსთან.

*დავით IV აღმაშენებლის მონეტა. შუბლი: მეფე საიმპერატორო გვირგვინით — სტეფანოზ დამშვენებული. ერთ ხელში კვერთხი, მეორეში სფერო. ზედწერილი: „დავით მეფე“. ზურგი: ქართული ზედწერილი: „ქრისტე, აღიდე დავით მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომხთა.“*

1099 წლიდან, მას შემდეგ, რაც დავით IV აღმაშენებელმა ხარკი შეუწყვიტა სელჯუკებს, დაიწყო მრავალწლიანი დაპირისპირება საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის მუსლიმურ სახელმწიფოებს შორის. სწორედ ამ ომის სხვადასხვა ეტაპს წარმოადგენდა ერწუხის გამარჯვება, თურქთა დამარცხება ორიალეთსა თუ ტაოში. ამ შემოსევების, ბრძოლების მიუხედავად, თვით ისლამური სამყაროც ერთგვარად ემზადებოდა ვენერალური ბრძოლისთვის, მაგრამ ჯვაროსნულმა ომებმა მათ დიდი თავსატეხი გაუჩინა. 1119 წლის შემდეგ ვითარება იცვლება. ჯვაროსნები უკვე ისეთ მრისხანე ძალას აღარ წარმოადგენდნენ. ამით ისარგებლა ისლამურმა სამყარომ და საქართველოს წინააღმდეგ დიდი კოალიცია შეკრიბა.

*დავით IV აღმაშენებელი. გელათის ფრესკა*

1121 წლის 12 აგვისტოს დიდგორის ვიწროებში მდგარ ქართველებს გათვითცნობიერებული ჰქონდათ, რომ ეს ბრძოლა მათი სამშობლოსა და მათი ოჯახების მომავლისთვის გადამწყვეტი იყო. ერი და ბერი ეკლესიებში ქართველთა გამარჯვებისთვის ლოცულობდა. სამწუხაროდ, არ არსებობს ზუსტი ცნობები, როგორ ემზადებოდა ქართველობა ამ ბრძოლისთვის; მრავალი საგულისხმო დეტალი სამუდამოდ ჩაიკარგა ისტორიის ქარტეხილებში. ვინ იცის, რამდენი უძილო ღამე გაატარა მეფე დავითმა ამ ბრძოლის გეგმაზე ფიქრში. საკმაოდ გამოცდილი იყო მტერი, ამიტომაც ყოველივე გათვლილი და დათვლილი უნდა ყოფილიყო.



*დავით აღმაშენებლის ხელნაწერი შიომღვიმის ანდერძზე. „აქ. სიმტკიცეო ყოველთაო ღმერთო, დასამტკიცე. მტკიცედ უმტკიცე.“*

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ქალაქი დმანისი. აკროპოლის ნაშთი.*

**ილ-ღაზი** (ნეჯმ ად-დინი) ფლობდა ბაღდადის, მარდინისა და ალეპოს ციხე-ქალაქებს. მან განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ევროპელ ჯვაროსნებთან ბრძოლაში. 1119 წელს ისინი მდ. ორონტის ნაპირებთან ე.წ. „სისხლიან ველზე“ სასტიკად დაამარცხა. ამ გამარჯვების გამო, მას „ნეჯმ ად-დინი“ – „სარწმუნოების ვარსკვლავი“ უწოდეს.

**რა იყო დიდ- გორამდე?**

თურქ-სელჩუკთა კოალიციური ლაშქარი ნელ-ნელა მოიწევდა საქართველოს სიღრმისკენ. მტერი დიდ იმედს ამყარებდა ამ ლაშქრობაზე, რათა ერთხელ და სამუდამოდ „ჭკუა ესწავლებინა“ ქართველთათვის, რომლებმაც არა მარტო შეავიწროვეს ისინი, არამედ კავკასიაში პირველობისთვის დაიწყეს ბრძოლა.

1120-1121 წლებში საქართველომ რამდენიმე მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწია თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლებში – ჯერ 1120 წლის 14 თებერვალს ქ. ბოტორასთან, შემდგომში ქ. ყაბალასა და აშორნიასთან.

სამხრეთ კავკასიაში ქართველთა სამხედრო უპირატესობა აშკარა იყო. ამით შეშფოთებულმა განძელ-თბილელ-დმანელმა ვაჭრებმა და ადგილობრივმა მმართველებმა ჯიჰადისკენ მოუწოდეს მუსლიმურ სამყაროს. ამ ქალაქების ელჩებმა, მწუხარების ნიშნად, ტანსაცმელი შემოიხიეს, ხელ-პირი შავად შეიღებეს და თავზე ნაცარი დაიყარეს. სულთანმა მაჰმუდ მუჰამედის ძმე მთელ ისლამურ სამყაროს მიმართა თხოვნით, ქართველთა წინააღმდეგ დიდი კოალიციური ლაშქარი შეეკრიბათ.

*გუსტავ დორეს გრაფიკული ნახატი: „ილ-ღაზი ათავისუფლებს გოტიეს.“*

სულთანს ბევრი ომის მსურველი გამოეხმაურა. უმოკლეს ხანში შეიკრიბა 300-400 ათასიანი არმია, რომლის სარდლად მაჰმუდ მუჰამედის ძმე ამ დროისთვის დიდების შარავანდედით მოსილი ნეჯმ ად-დინ ილ-ღაზი დანიშნა. აგვისტოს დასაწყისში მუსლიმური კოალიცია საქართველოსკენ დაიძრა. ილ-ღაზი ჯერ არზრუმში მივიდა. სწორედ აქ უნდა მოეყარათ თავი სხვადასხვა მხრიდან წამოსულ მის მოკავშირეებს. გზად უნდა შეერთებოდა ილ-ღაზის არმიას განძისა და დვინის მხრიდან მოსული მეომრები. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, მტერი „მოვიდეს თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა, რომელიც თვით ფერხთა ზედა ვერ ეტეოდეს ამათ ადგილთა.“ დავით მეფე დიდგორის ვიწრობებში ელოდა მტერს, რომელიც იყო „სიმრავლითა ვითარცა ქვიშა ზღვისა.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რატომ აირჩია მეფემ დიდგორის ველი?

*დიდგორის მემორიალი. ავტორი მერაბ ბერძენიშვილი (1991)*

დიდგორის ველის სტრატეგიული მდებარეობა მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა დავით აღმაშენებლის საბრძოლო გეგმის წარმატებას: დიდგორის ვიწრობები მტერს გაშლის საშუალებას არ მისცემდა და რიცხობრივ უპირატესობასაც ვერ გამოიყენებდა. თუმცა, მუსლიმური კოალიციის დიდგორზე შემოტყუება არც ისე ადვილი იყო: ილ-ღაზს შეეძლო თბილისამდე სხვა გზითაც მიეღწია. დავითს როგორმე უნდა მიეტყუებინა მტერი მისთვის მისაღებ პოზიციებზე, სხვაგვარად გეგმა ჩაშლებოდა.

მუსლიმ ავტორს ქემალ ად-დინს აქვს ერთი ცნობა, რომელიც ნათელს ჰფენს ქართველთა სამხედრო ხრიკს. ილ-ღაზის არმიას თავდაპირველად დაუმარცხებია ქართველები და უკან დახეულ დავითის ჯარს დადევნებია. ასე აღმოჩნდნენ ისინი „მთის გადასასვლელებზე“ (როგორც ჩანს აქ იგულისხმება დიდგორის მთა). როგორც ვხედავთ, ამ სამხედრო კამპანიის დროს დიდგორი არ ყოფილა ქართველებისა და მუსლიმური კოალიციის დაპირისპირების პირველი პუნქტი. ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ დიდგორამდე დავით IV-ის რაზმები ილ-ღაზის ჯარებს შებრძოლებოდნენ, მაგრამ „დამარცხდნენ“. უკან დახევის სცენის გათამაშებამ გათამამა ილ-ღაზი და დიდგორის ვიწროებში შემოყვა ქართველებს.

ვინც დიდგორში ერთხელ მაინც ყოფილა, მიხვდება, რომ ჭკვიანი და გამოცდილი სარდალი აქ ჯარს გადამწყვეტი ბრძოლისათვის ნამდვილად არ შეიყვანს, მით უმეტეს, თუ იგი თავის რიცხობრივობაზე აკეთებს აქცენტს. ილ-ღაზი საკმაოდ გამოცდილი იყო და სამხედრო სტრატეგიის ეს ელემენტარული დეტალი არ გამოეპარებოდა. სარწმუნოა, რომ მას ქართველები უკვე „დამარცხებული“ ეგონა, როდესაც დიდგორზე მივიდა. ამის ილუზია მას დავითმა შეუქმნა. ამდენად, საქართველოს საზღვრის გადალახვიდან მოყოლებული ილ-ღაზი დარწმუნებული იყო, რომ საკუთარი გეგმის მიხედვით მოქმედებდა, არადა ეს იყო დავითის მიერ წინასწარ შემუშავებული სტრატეგია! დავითმა გენიალური სამხედრო გეგმა დაუპირისპირა ილ-ღაზს, ახლა მთავარი იყო ყველაფერი ამ გეგმის მიხედვით წარმართულიყო.

*ასე გამოიყურება დღეს დიდგორის ველი*

„თოღრულმა სთხოვა დახმარება ილ-ღაზის იბნ ართუკის ქართველებისა და მათი მეფის, დავითის წინააღმდეგ, და წავიდა ის [ილ-ღაზი] მის წინააღმდეგ დიდძალი ჯარით და მასთან ერთად დუბაის იბნ სადაკა. მუსლიმებმა დამარცხეს ისინი [ქართველები] და შეეყენენ მათ ხეობაში. ქართველები ამ ხეობაში თავს დაესხნენ მუსლიმებს და გაანადგურეს [ისინი].“
*ქემალ ად-დინი, არაბი ისტორიკოსი. XIIIს.*

# მეფე და უფლისწული

1121 წლის 12 აგვისტოს, გამთენიისას, დიდგორის ველზე მხოლოდ აბჯრის ჟღარუნი, ცხენების ფრუტუნი და აქა-იქ მეომრების გადაძახილი არღვევდა მყუდროებას. ტყეში საგანგებოდ დამალულ მეომრებს ხუცესები ზიარებას აძლევდნენ. ნიჩბისის ხევის გადაღმა სამეფო კარავი იყო გაშლილი. მეფე წმინდა გიორგის ხატის წინ დაჩოქილიყო და ლოცულობდა. დავითმა პირველი გადაისახა და წამოდგა. მესაწოლე ბერს უხმო. თეოფანემ, რომელსაც მეფე მოფერებით „კეთილ თეოფანეს“ ეძახდა, უფლისწულისა და ორი საპატიო ეპისკოპოსის მობრძანება აუწყა დავითს. მესაწოლე ბერს მეაბჯრეთუხუცესის ხმობა უბრძანა მეფემ, თავად კი კარავის ცენტრში დაბრძანებულ ტახტზე ჩამოჯდა.

მეფემ დემეტრე უფლისწული წინ დაისვა. ოდნავ მოშორებით დასხდნენ ეპისკოპოსები. დავითმა მტრის განლაგებაზე რამდენიმე კითხვა დაუსვა უფლისწულს. მისი შეკითხვების ტონი მკაცრი და საქმიანი იყო, მაგრამ „სანთელი გვამისა არს თვალი“. მეფის გამოხედვა სხვას მეტყველებდა. იგი მამობრივი სიყვარულით შეჰყურებდა დემეტრეს, როდესაც მასთან საბოლოოდ ათანხმებდა მოქმედების გეგმას. ბოლოს ოდნავ გადაიწია, მუხლზე ხელი დაადო და უთხრა:

— შვილო, დღეს მესიის მახვილი უნდა აღვმართოთ ურჯულოთა წინააღმდეგ. ათიოდ წლის წინ, შენ ჯერაც ყრმა იყავი, ქართლში ერთ ცხეს ვეყავი შემომდგარი. კარვიდან გამოსულს პერანგი შემოსა მხოლოდ. დაიჩემა ბეშქენ ჯაყელმა, ადგილი მგულება, სადაც გალავანი ოდნავ დარღვეულია და ფილაკავნები იქ მივუყენოთო. დავთანხმდი და ათიოდე მცველით სანახავად წავედი. გალავანს რომ მივუახლოვდით, მეციხოვნეებმა შეგვამჩნიეს. ერთი ყოფილა მათ შორის უცდენელად მსროლელი ისრისა. მისი ნატყორცნი უცაბედად მკერდზე მომხვდა და პერანგი დამიფლითა. მეომრებმა მე და ბეშქენს ფარები ავკაფარეს და ასე გამოგვიყვანეს საშვიდობოს. კარავთან შემუსვრილი პერანგი კიდევ ერთხელ მოვისინჯე. ისარი ჩემს მთავარანგელოზის ხატს მოხვედროდა და ამან გადამარჩინა. ეს ხატი მიფარავდა მე ყოველთვის. ერწუხშიც ამ ხატმა დამიცავა მრავალჯერ.

დავითმა ხატი მოიხსნა, ეამბორა და შვილს გაუწოდა.

— ეს ხატი თან გქონდეს ბრძოლისას. ურჯულოთა მოქნეული ხმალი ბლაგვდება მის წინაშე.

დემეტრემ ხატი ჩამოართვა დავითს, ეამბორა, კისერზე ჩამოიკიდა და წასვლის ნებართვა ითხოვა.

— დმერთს ებარებოდე შვილო, — თავისთვის ჩაილაპარაკა დავითმა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სომეხი ისტორიკოსის მაიე ურჰაეცის ცნობით, დიდგორის ბრძოლაში დავით IV აღმაშენებელს 55 600 მოლაშქრე გამოუყვანია, აქედან – 40 ათასი ქართველი, 15 ათასი ყივჩაყი, 500 ალანი და 100 ევროპელი ჯვაროსანი.

მტერი 300-400 ათასამდე იყო, ხოლო ქართველები – 55 600. მუსლიმთა აშკარა რიცხობრივი უპირატესობის გამო ხანგრძლივ ომს ქართველები ვერ გაუძლებდნენ. ამიტომაც პირველ შეტევას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ლაშქრის ცენტრს დავითი სარდლობდა. ფლანგებზე ყივჩაღთა და დემეტრე უფლისწულის ჯარი განლაგდა. ბრძოლის წინ დავითმა საგანგებოდ შეარჩია 200 მეომარი. ყოველმა მათგანმა იცოდა, რომ სამშობლოს, რწმენისა და მეფის ერთგულებისთვის სიკვდილზე მიდიოდა.

**რატომ „ძლევაი საკვირველი“?**

*დიდგორის მემორიალი. ავტორი მერაბ ბერძენიშვილი.*

გათენდა. ქართველთა ლაშქარს სწორედ ეს 200 მეომარი გამოეყო და ილღაზის ბანაკისკენ დაიძრა. მათ, მორჩილების ნიშნად, ხმლები მაღლა ჰქონდათ აწეული. მტერმა იფიქრა, დანებებას აპირებენო და კარგა ღრმად შეუშვა

## როგორ მიმართა დავითმა ჯარს?



„მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკსაც ადვილად დავამარცხებთ. და ერთ რასმეს გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება. ჩვენ ყველამ, ხელების ცისკენ აპყრობით, ძლიერ ღმერთს აღოქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისთვის ამ ბრძოლის ველზე დავიხოცებით და არ გავიქცევით. და რათა არ შეგვეძლოს გაქცევა, კიდეც რომ მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლითაც შემოვსულვართ, ხეთა ხშირი ხორგებით შეკარით და მტერს, როცა მოგვიახლოვდება ჩვენზე იერიშის მოსატანად, მტკიცე გულით დაუნდობლად შევუტიოთ.“

*ანტიოქიის სამთავროს კანცლერი გოტიე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დავით IV აღმაშენებლის ძირითადი ბრძოლები

1093 – კლდეკარის ერისთავის ლიპარიტ ბაღვაშის პირველი შეპყრობა.
1094-1096 – ლიპარიტის მეორე განდგომა, მისი შეპყრობა და ბიზანტიაში გაძევება.
1103 – ზედაზნის ციხის აღება.
1104 – ჰერეთისა და კახეთის დალაშქრა და შემოერთება. ერწუხის ბრძოლა.
1110 – სამშვილდეს ციხე-ქალაქისა და ძერნას აღება. თურქთა მარბიელი ლაშქრის დამარცხება თრიალეთში.
1115 – რუსთავის აღება.
1116 – თურქთა დამარცხება ტაო-კლარჯეთში.
1117 – გიშის აღება. დემეტრე დავითის ძის მიერ შამქორში ლაშქრობა და ქალაძორის აღება.
1118 – თურქთა დამარცხება რახსის პირას. ლორეს აღება. აგარანის ციხის აღება.
1120 – თურქ-სელჩუკთა დამარცხება ბოტორასთან. შირვანის ქ. ყაბალის აღება. შირვანიდან თურქ-სელჩუკების განდევნა. თურქ-სელჩუკების დამარცხება აშორნიასთან. თურქ-სელჩუკების განადგურება სერგულამეჯთან.
1121 – თურქ-სელჩუკების დამარცხება ხუნანთან. ბარდავის აღება.
1121 – დიდგორის ბრძოლა.
1122 – თბილისის აღება.
1123 – შამახიასთან თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ გალაშქრება. შირვანს გალაშქრება და გულისტანის აღება.
1124 – დმანისის შემოერთება. შაბურანისა და სომხეთის ციხეების (გაგნი, ტერონაკალი, ქავაზინნი, ნორბედი, მანასგომნი, ტალინჯაქარი) აღება. ანისისა და მისი მიმდგომი ციხეების დაკავება. შირვანის საბოლოო შემოერთება.



*დავით IV აღმაშენებლის საფლავი გელათში. ქვის ფილას ასეთი წარწერა აქვს: „ესე არს განსასვენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე; ესე მონავს: აქა დავემკვიდრო მე.“*

თავის ბანაკში. უეცრად ორასივემ იარაღი იშიშვლა და მტერს დაერია. ილ-ღაზის მეომრები დაიბნენ. გონს მოსვლა არ აცალა მტერს დავითმა და რამდენიმე მხრიდან ერთდროულად შეუტია.

პირველივე შერკინებისას შეიერყა მტრის ბანაკი. თურქ-სელჩუკები არ ელოდნენ ქართველთა ასეთ სწრაფ და ფართომასშტაბიან იერიშს. ბრძოლა 3 საათამდე გაგრძელდა. მტერმა ვერ გაუძლო ქართველთა ძლიერ შემოტევას და უკუიქცა. ბრძოლის ბედი გადაწყვეტილი იყო. ილ-ღაზის არმიას ქართველებმა დიდგორიდან 70კმ-ზე სდიეს. ტყვე და ალაფი აუარებელი იყო. დიდგორზე ქართველობამ შეუძლებელი შეძლო. შემთხვევითი არ არის, რომ დავითის ისტორიკოსი დიდგორის გამარჯვებას სასწაულად თვლის, წმინდა გიორგი ეხმარებოდაო ქართველებს. მემატიანე დასძენს: „წმინდა მოწამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინაუძღოდაო“ დავითის ლაშქარს. ქართველთა მეფეს ხელთ ეპყრა მრავალ გამარჯვებათა შორის ყველაზე დიდი ძლევამოსილების კვერთხი...

ქართველი ერი ყოველთვის დიდი მოწიწებით იხსენიებს დიდგორის გმირებს, რამეთუ დიდგორმა გადაწყვიტა დღევანდელი საქართველოს არსებობა, და, მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად, ეროვნული დღესასწაული „დიდგორობა“ დააწესა. ხოლო დავით მეფეს ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობაში გამორჩეული წვლილისთვის „აღმაშენებელი“ უწოდა. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს ისტორიაში არ მოიძებნება აღმაშენებლის მსგავსი მეორე ტიტულოსანი. ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ კი წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ 8 თებერვალი დააწესა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შამქორის ეპოპეა

**რა ხდებოდა ისინის სასახლეში?**

ისინის სასახლეში დიდი სამზადისი იყო. ეტყობოდა, განსაკუთრებულ სტუმრებს ელოდნენ. მსახურები დილიდანვე ურმებით ეზიდებოდნენ ცხვრისა თუ საქონლის ხორცს. დიდუბიდან და აეჭალიდან სხვადასხვა სახის ბოსტნეული მიჰქონდათ. მონადირეთუზუცესმა ფხოველ მონადირეებს საგანგებოდ ოცამდე ჯიხვი ჩამოატანინა. რიონის ჭალებში დაჭერილი ხოხბებიც უკვე მიეტანათ სასახლეში. ფარეშები სასახლის თითოეულ კუთხე-კუნჭულს ასუფთავებდნენ. ციხის ქონგურებზე სამეფო დროშები ფრიალებდა. დედაქალაქში მხოლოდ ვაზრთა უპირველესი, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი და მსახურთხუცესი იმყოფებოდნენ. სამეფო კარი ტაბახმელას იყო ასული და იქ ელოდა შირვან-შაჰ აღსართანისა და მისი სიძის ამირ-მირმანის მობრძანებას.

კარიბჭის საათი ცხრას უწვენებდა, როდესაც ისინის ველზე სტუმართა ამალა გამოჩნდა. მედროშეებს შირვანისა და არანის დროშები მოჰქონდათ. შემდეგ მწყობრად მომავალი ცხენოსნები მოდიოდნენ, მათ კი აღსართანი და ამირ-მირმანი მოჰყვებოდათ თავ-თავიანთი ამალით.

თბილისში უკვე წინასწარმეტყველებდნენ მომავალ ომზე. საპატიო სტუმრების ჩამოსვლასაც ამას უკავშირებდნენ. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჯგუფ-ჯგუფად ჩამოდიოდნენ მეომრები, არც ეს გამოპარვია ქალაქის მოსახლეობას. ერთი დღე დარჩნენ თბილისში საპატიო სტუმრები. მეორე დღეს დილიდანვე გაემართნენ აღსართანი და ამირ-მირმანი თამარ მეფესთან შესახვედრად...

*თამარის მონეტა. შუბლზე მოცემულია ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშანი. მარცხნივ და მარჯვნივ ასომთავრული დაკარავებული სახელები: „თამარ — დავითი“. ქრონიკონი 420 (1200). მონეტის ზურგზე ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „დიდოფალი დედოფალთა, — მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, — თამარი ასული გიორგისა — მესიის თაყვანისმცემელი.“*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თათბირი ბაბახმელაში

გაზაფხულის მშვენიერი გრილი დილა იყო. შირვან-შაჰ აღსართანისა და ამირ-მირმანის ამალამ ქალაქი დატოვა და ტაბახმელას მიაშურა.

ვრცელი ველი კარვებით იყო მოფენილი. ცენტრში დიდი სამეფო კარავი იდგა.

თამარ მეფე და დავით სოსლანი კარავში ვეზირებს ეთათბირებოდნენ.

მეფემ ხორნაბუჯის ერისთავი იხმო.

მხცოვან დიდებულს პირველმა დავითმა მიმართა:

— რას იტყობინებიან, ერისთავო ბატონო, მსტოვრები არანიდან?

— აბუ-ბექრის ხალხი დაძრწის არანსა და ადარბადაგანში, — დინჯად დაიწყო საღირ მახატლის-ძემ, — დიდი ლაშქრის შეკრებას ელოდებიან. ხალიფამ დროშა გაუგზავნა აბუ-ბექრს და მთელ სამუსლიმანოს მოუწოდა საღვთო ომისკენ.

— განძაში თუ არიან ჩვენი მსტოვრები? — ახლა თამარმა მიმართა ხორნაბუჯის ერისთავს.

— ორი რინდების სავანესაა შეფარებული, სამიც მოხეტიალე დერვიშია, ვითომ შემთხვევით განძაში ჩასული.

განძაში ყველა მჭედელს აუკრძალეს ჭურჭლისა და ნალების ჭედვა. ხმლების, მუზარადების, საბარკულების, ისრისპირების კეთებაზე გადავიდნენო განძელნი. იმასაც ამბობენ შამქორამდე ყველა ხიდის გამაგრება დაიწყესო. ვგონებ შამქორს აპირებს მოსვლას აბუ-ბექრი მეფეთ მეფეო, — დასძინა ხორნაბუჯის ერისთავმა.

— მტერს შამქორის წყლის გადმოლახვა უნდა ვაცადოთ. იქით მიხდომა არ ივარგებს, — მოკლედ ჩამოაყალიბა სათქმელი დავით სოსლანმა.

— მართალს ბრძანებთ, მეფეო, — ჩაერთო საუბარში ზაქარია მხარგრძელი, — შამქორის ციხის აუღებლად მდინარეზე გადასვლა შეუძლებელია. ხიდი ქალაქის დედაციხის ძირშია. მას შემდეგ რაც მეფეთ-მეფე ბაგრატმა შემუსრა შამქორის გალავანი, ორჯერ უფრო განიერი გალავანი შემოავლეს ქალაქს. ტფილელმა ვაჭრებმა მითხრეს, ქალაქის გარშემო თხრილი ოცდაათი მტკაველი სიღრმისა და ორმოცი მტკაველი სიგანისა ყოფილა...

ამ საუბარში იყვნენ მეფე და დიდებულები, როდესაც სტუმრების მოსვლა ამცნეს მეფეთ-მეფეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა




*XII ს-ის I ნახევრიდან, სამხრეთ აზერბაიჯანისა და არანის ტერიტორიაზე ელდიგუზიანელთა დინასტიის მოთავეობით ძლავრი პოლიტიკური ერთეული ჩამოყალიბდა, რომლის დამარსებელმა შამს ად-დინ ელდიგუზმა ერაყზეც კი გაავრცელა თავისი გავლენა. ჰამადანთან ბრძოლაში მათ დაამარცხეს სელჩუკთა სასულთონი. ელდიგუზიანელები აქტიურად ერეოდნენ სამხრეთ კავკასიის, საქართველო-შირვანის პოლიტიკურ ცხოვრებაში. თამარის მეფობის დროს დაპირისპირება ახალ ფაზაში გადავიდა.*

1191 წელს ყიზარ არსლანი მოგზავნილმა მკვლელმა გამოასალმა სიცოცხლეს. ერაყში, აზერბაიჯანსა და არანში გაბატონებისთვის ყიზარ არსლანის ძმისშვილებს შორის ბრძოლა დაიწყო. გაიმარჯვა აბუ-ბექრმა. 1192 წელს მან თავრიზთან სასტიკად დაამარცხა თავისი ძმები ხუტლუ-ინანჯ მაჰმუდი და ამირ-მირმანი. ხუტლუ-ინანჯი ხვარაზმ-შაჰთან გაიქცა, ამირ-მირმანი – შირვან-შაჰთან. აბუ-ბექრმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე საქართველოსთან მტრული ურთიერთობა დაამყარა. 1194-1195 წლებში სამხრეთ კავკასიაში საქართველოსთვის ხელსაყრელი პოლიტიკური ვითარება შეიქმნა. აბუ-ბექრის მოწინააღმდეგე ამირ-მირმანმა აშკარად პროქართული ორიენტაცია დაიკავა. იგი შირვან-შაჰ აღსართან I-ს ეწვია, რომელმაც დევნილი უფლისწული დიდი პატივით მიიღო და თავის ქალიშვილზე დააქორწინა. შირვანში ათაბაგ აბუ-ბექრის მოწინააღმდეგე ბანაკი ჩამოყალიბდა. როგორც ჩანს, აღსართან I-სა და ამირ-მირმანის კოალიციამ, დასაწყისში, დამოუკიდებლად სცადა პოზიციების გამაგრება არანში, მაგრამ აბუ-ბექრის ლაშქარმა „ბელაყნის კარსა ზედა“ სასტიკად დაამარცხა ისინი. 1195 წლისთვის აღსართან I-მა და ამირ-მირმანმა გადაწყვიტეს აბუ-ბექრის წინააღმდეგ საერთო კავკასიური კოალიციის შექმნა. მათ დახმარება და მოკავშირეობა თამარ მეფეს სთხოვეს. საქართველოს სამეფო კარიდან დადებითი პასუხის მიღების შემდეგ, აღსართანი და ამირ-მირმანი თბილისისკენ გაემგზავრნენ. სამეფო კარმა მათ პომპეზური დახვედრა მოუწყო. ელდიგუზიანელთა სახელმწიფოსა და საქართველოს საერთო სასაზღვრო ზოლი ჰქონდა. განძა, დვინი, მდ. არაქსის მიდამოები, ელდიგუზიანელთა გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. XII ს-ის 90-იანი წლების დასაწყისიდან ამ რეგიონის მიმართ თავისი სამხედრო-პოლიტიკური ინტერესები ჰქონდა ქართველთა სამეფოსაც. ეს არ წარმოადგენდა ამბიციურ გეგმას, ის საკმაოდ რეალური იყო და ამ მიმართულებით საქართველომ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა კიდეც – შამქორის ბრძოლამდე და მის შემდეგაც. სწორედ ამას ითვალისწინებდა შირვან-შაჰი აღსართანი და ამირ-მირმანი.

**რა უნდოდათ ამირ-მირმანს და შირვან-შაჰს?**

*აბუ-ბექრის (1195-1210) მონეტები. სპილენძი.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

**როგორ ემზადებოდა ქართველობა ბრძოლისთვის?**

1195 წლის მაისის შუა რიცხვებში სამეფო კარზე მოვიდა ცნობა, აბუ-ბექრი უკვე არანში იყო. ქართველთა ლაშქარი საბრძოლველად მოემზადა. ქვემო ქართლში (მდინარეების მტკვრის, ალგეთის, ქციისა და ქურდვაჭრის ნაპირებთან) დაბანაკებულ ჯარს ეწვია თამარ მეფე, რომელმაც რამდენიმე დღე დაჰყო ლაშქართან „ლოცვისთვის." მან მეომრებს მიმართა: „ძმანო, ჩვენო, ყოველად ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქვენნი სიმრავლისა მათისაგან და სიმცირისა თქვენისა, რამეთუ ღმერთი ჩვენ თანა არს... მხოლოდ ღმერთსა ოდენ მიენდვენით და გულნი თქვენნი სიმართლეით იპყრენით წინაშე მისსა და სასოება ყოველი ჯუარისა მიმართ ქრისტესისა იყავნ. შეისწრაფეთ ქვეყანად მათდა შეწევნითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისათა და ძალითა უძლეველისა ჯუარისათა წარემართენით." აქედან თამარი თბილისში დაბრუნდა, ფეხშიშველი ავიდა მეტეხის ღვთისმშობლის ტაძარში და ილოცა.

1095 წლის მაისის მიწურულს ქართველთა ლაშქარი შამქორ-განძისკენ გაემართა. გასავლელი იყო დაახლოებით 140-150 კილომეტრი. ქართველები პირველად მდელეკეცის ანუ ახლანდელი აღსტაფაჩაის ნაპირებთან დაბანაკდნენ. მეორე დღეს კი უკვე შამქორის ციხე-ქალაქს მიუახლოვდნენ. მემატიანის თქმით, ეს იყო 1 ივნისი. ბრძოლა კი 2 ივნისს, პარასკევს მოხდა.



*თამარის გულსაკიდი ჯვარი. XII-XIII საუკუნეების მიჯნა.*

შამქორის ციხის სიახლოვეს დაბანაკებული ქართველები სამზადისს შეუდგნენ. სარდლობამ სამხედრო გეგმის შემუშავება დაიწყო. დავით სოსლანის კარავში შეიკრიბნენ შირვან-შაჰი აღსართანი და ამირ-მირმანი, ანტონ მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი, ზაქარია და ივანე მხარგრძელები, მანდატურთუხუცესი ჭიაბერი, ზაქარია ვარამის ძე მხარგრძელი, სარგის თმოგველი და სხვა დიდებულები. ქართველ მხედართმთავრებს მოწინააღმდეგის განლაგების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია ჰქონდათ: აბუ-ბექრი მდ. შამქორისწყლის მარჯვენა მხარეს იყო გადმოსული და აქ ელოდა საქართველოს მხედრობას. მტერი ისე იყო განლაგებული, რომ ფლანგებიდან მისი შეტევა გაჭირდებოდა, განსაკუთრებით მარჯვენა ფლანგიდან, სადაც შამქორის ციხე-ქალაქი მდებარეობდა.

*თამარ მეფე. ყინწვისის ფრესკა.*

ქართული არმიის სარდლობამ ზუსტად გამოიცნო მოწინააღმდეგის გეგმები, სწორად შეაფასა მისი სუსტი და ძლიერი მხარეები და ამ მხრიდან მიიტანა იერიში, საიდანაც ყველაზე ნაკლებად ელოდნენ. შეტევა განახორციელა შამქორის ციხის მიმართულებით, ანუ მარჯვენა ფლანგიდან, რაც იდეალური ვარიანტი იყო. ამ შემთხვევაში ერთადერთი საფრთხე არსებობდა: შესაძლებელი იყო შამქორის ციხეში დაბანაკებულ აბუ-ბექრის ჯარის ნაწილებს ზურგიდან დაერტყათ შეტევაზე მყოფ ქართველთა მარჯვენა ფლანგისთვის. ამ შემთხვევაში ეს მანევრი შეიძლება სავალალოდ დასრულებულიყო. ბრძოლის დაგეგმვისას სწორედ ეს დეტალი იყო გასათვალისწინებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა




*შამქორის ბრძოლის სქემა.*

**რა იყო გენიალური სამხედრო მიგნება?**

დავით სოსლანმა ჯარი 3 ნაწილად გაყო. ცენტრს და მარცხენა ფლანგს ევალებოდა იერიშის მიტანა, მაგრამ მოწინააღმდეგეზე მძლავრი დარტყმა მარჯვენა ფრთას უნდა განეხორციელებინა შამქორის მიმართულებით. ჯარის ძირითადი ნაწილი სწორედ მარჯვენა ფლანგზე განლაგდა, მაგრამ ეს არ იყო სტრატეგიის მთავარი დეტალი. უმთავრესი გახლდათ ის, რომ დავით სოსლანი შამქორის ციხე-ქალაქის მხრიდან იერიშისას მარჯვენა ფრთის ძირითად ნაწილს ორად გაყოფდა, ერთი ნაწილი მარჯვნიდან მიწინააღმდეგის ზურგში გაიჭრებოდა; ხოლო მარჯვენა ფრთის მეორე ნაწილი პარალელურად იერიშს მიიტანდა ციხეზე. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს არ იქნებოდა იერიში პირდაპირი გაგებით. ამით ქართველები გაანეიტრალებდნენ შამქორის ციხეში მყოფ აბუ-ბექრის ჯარს, რომელიც იერიშზე გადასულ დავით სოსლანის მხედრობას ზურგიდან ვეღარ დაარტყამდა. სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით, ჯარის მარჯვენა ფრთის ორ ნაწილად გაყოფა გენიალური სამხედრო მიგნება იყო. გამთენიისას ჯარი ანტონ ჭყონდიდელმა დალოცა. მეომრებმა ილოცეს და საბრძოლო სამზადისს შეუდგნენ. დავით სოსლანს მიართვეს მისი უსაყვარლესი ცხენი, რომელსაც ტანი და თავი ოქროსფერი ჰქონდა, კიდურების ქვედა ნაწილი, ფაფარი და კუდი კი შავი. აღიჭურვნენ სარდლები და მეომრები. ქართველებმა ერთხმად შესძახეს: „ღმერთი ჩვენთანა არს“ და შეტევაზე გადავიდნენ.

*შამქორის ციხე-ქალაქის აკროპოლისი (აზერბაიჯანის რესპუბლიკა)*

**ისტორიული ციხე-ქალაქი შამქორი** მდ. შამქორის-წყლის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. ამჟამად შემონახულია ციტადელის ნაშთები; თუმცა მთლიანად ქალაქის კონტურები საკმაოდ კარგად იკვეთება. შამქორი – განძა – თბილისის მაგისტრალზე მნიშვნელოვან საჯაჭრო და სახელოსნო ცენტრს წარმოადგენდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## როგორ გაიქცა აბუ-ბექრი?

„მასთან მყოფ (იგულისხმება აბუ-ბექრი) მეომართაგან ზოგი გაიქცა, ზოგი მკვდარი დაეცა მიწაზე. აბუ-ბექრს უნდოდა თავი დაენებებინა ომისთვის, მაგრამ ქართველთა და მუსლიმთა ჯარებმა მის ჯარებს ყოველი მხრიდან შემოარტყეს ალყა. ამის გამო, მან ვერ შეძლო უკან დაბრუნება... აბუ-ბექრი მოკლულთა შორის ეგდო, ამ დროს მას ეცა მოსაკლავად მისი ძმის (იგულისხმება ამირ-მირმანი) მონათაგანი, რომელიც მას იცნობდა. აბუ-ბექრმაც იცნო მონა და უთხრა: – „ეე ესა და ესა ვარო". ამის შემდეგ იგი ცხენიდან ჩამოვიდა, აბუ-ბექრი ცხენზე შესვა, თვითონაც იქვე მდგომ ცხენს შეაჯდა და თან წაიყვანა. ვინც ეს დაინახა, მათ იფიქრეს, რომ ის, როგორც ტყვე მიჰყავდათ სულთანთან, ის კი ბრძოლის ველიდან გამოვიდა."

*თურქი ისტორიკოსი, სადრუდინ ალი ელ-ჰუსეინი*

**დავით სოსლანი**

შამქორიდან განმისკენ გაემართა. როგორც კი ქალაქს მიუახლოვდა, წინ გამოეგებინენ „დიდებულნი და დიდვაჭარნი, ყადი და მულიმნი". შემხვედრნი მიწაზე დავარდნენ, თაყვანი სცეს ქართულ ლაშქარს, დავით სოსლანს შემოაჯდრეს საკუთარი თავი და შვილები. დამხვდურებს ქალაქის კარები ფართოდ გაუღიათ, სულთნის სასახლემდე ხალიჩა დაუფენიათ და ასე შემოაღლილან ქართულ მხედრიონს განმაში... დავით სოსლანი სასახლეში შევიდა და სულთნის ტახტზე დაჯდა. გაიმართა დარბაზობა, რომელსაც ესწრებოდნენ ამირ-მირმანი და შარვანშა, მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი".

*როინ მეტრეველი*

*შამქორის ბრძოლის ადგილი (აზერბაიჯანის რესპუბლიკა).*

დავით სოსლანი მარჯვენა ფრთას სარდლობდა. მტერს მთავარი დარტყმაც აქედან უნდა მიეღო. დავითის მხედრობა შამქორის ციხისკენ დაიძრა და როგორც კი ქალაქს მიუახლოვდა, ნიშანზე მარჯვენა ფრთა ორად გაიყო – მცირე ნაწილი ციხის ჩასაკეტად გაემართა, ხოლო მეორე ძირითადმა ნაწილმა, დავით სოსლანის სარდლობით, ქალაქი დატოვა და მდ. შამქორისწყლის ნაპირებისკენ გაიჭრა. გეგმის მიხედვით, ქართველები მდ. შამქორისწყლის მარცხენა ნაპირის გავლით, აბუ-ბექრის არმიის ზურგში შეიჭრნენ. ამ მანევრმა საბოლოოდ გადაწყვიტა ბრძოლის ბედი. ბრძოლა უკვე შენივთებული იყო, როდესაც აბუ-ბექრს მოახსენეს, რომ ქართველები ზურგში გამოჩნდნენო! ამას ნამდვილად არ ელოდა ათაბაგი. მუსლიმური არმია გაიფანტა. ყველა თავის გადარჩენას ცდილობდა...

ქართველებმა ალყაში მოაქციეს მუსლიმთა ძირითადი ძალები. ამასთანავე, აბუ-ბექრის მეომართა დიდ ნაწილს უკან დახევის საშუალება მოუსპეს. ათაბაგი აბუ-ბექრი ჯერ დახოცილ მეომართა შორის დაიმალა, ხოლო შემდეგ ერთ-ერთმა მებრძოლმა ბრძოლის ველიდან გაიყვანა. ათაბაგი ჯერ განძაში, შემდეგ კი ბელაქანში ჩავიდა.

გამარჯვების მეორე დღეს შამქორის ციხე-ქალაქიც დაეცა. რამდენიმე დღეში განჯაც ქართველთა კონტროლს დაექვემდებარა. აბუ-ბექრმა სამუდამოდ აიღო ხელი საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაზე. ერთ დროს ამაყი და ძლევამოსილი ათაბაგი, ამ მარცხით დათრგუნული, გალოოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბასიანის ბრძოლა

**რა იყო რუქნ ად-დინის მიზანი?**

1202 წლის ივნისი იდგა. მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებში გაბნეულმა ქართველმა მსტოვრებმა სამეფო კარზე ცნობა მიიტანეს – რუმის სულთნის რუქნ ად-დინის ჯარებმა ქ. არზრუმისკენ აიღეს გეზიო. აშკარად ჩანდა, რომ არზრუმის აღება საქართველოზე ლაშქრობის წინაპირობა იყო. თამარმა დარბაზის შეკრება ბრძანა; საჭირო გახდა სამხედრო სამზადისის დაწყება. მტრის ჩანაფიქრი ადვილი მისახვედრი იყო: არზრუმის აღების შემდეგ რუქნ ად-დინი, ბასიანის გავლით, კარის (ყარსის) ციხისკენ გაიჭრებოდა. ეს მნიშვნელოვანი კარგად მოფიქრებული გეგმის ნაწილს შეადგენდა. უკვე რამდენიმე წელი იყო ქართველებს ალყაში ჰყავდათ მოქცეული სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი კარი, რომლის დაკავების შემთხვევაში, ქართველებს საშუალება ეძლეოდათ კიდევ უფრო

*არზრუმის ციხე. ხედი სამხრეთიდან (თურქეთის რესპუბლიკა)*

სამხრეთით გაჭრილიყვნენ ვანის ტბის მიმართულებით. ამას ხვდებოდნენ მახლობელი აღმოსავლეთის მუსლიმი მმართველებიც, ამიტომაც, რუქნ ად-დინმა თავისი სამხედრო კამპანიის მიზნად ჯერ კარის ციხის მიდამოებიდან ქართველთა გაყრა, ხოლო შემდეგ საქართველოს სამხედრო პოტენციალის განადგურება დაისახა.

ამირსპასალარმა ზაქარია მხარგრძელმა მონაპირე ერისთავებს საგანგებო დავალებები მისცა: გაეძლიერებინათ ქვეყნის სამხრეთი საზღვრის დაცვა და თვალი ედევნებინათ მტრის გადაადგილებისთვის. სამეფო კარმა მალემსრბოლნი დაგზავნა საერისთავოებში და ჯარის შეყრის თადარიგი დაიჭირა. ყველა გრძნობდა, რომ რუმის სულთანთან ომი გარდაუვალი იყო. სამეფო კარი რუქნ ად-დინის ნაბიჯს ელოდა. მანაც არ დააყოვნა და, ელჩის პირით, თავისი განზრახვა გამოამჟღავნა.



*ყარსის ციხე. ხედი აღმოსავლეთიდან (თურქეთის რესპუბლიკა)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუქნ ად-დინის ელჩის ვიზიტი

საქართველოში საკმაოდ მკაცრად იყო ფორმულირებული უცხო ქვეყნის დიპლომატთა მიღების წესები. მოციქულთა ხელშეუხებლობა ეტიკეტის ძირითადი ნორმა იყო. თუმცა, რუქნ ად-დინის ელჩის მიღებისას ინციდენტი მოხდა...

საქმე ისაშია, რომ რუქნ ად-დინის ელჩმა მეფე თამარს შემდეგი შინაარსის წერილი წარუდგინა: „...ყოველი დიაცი რეგუენია, და შენ გიბრძანებია ქართველთათვის ალებად ხრმალი მუსლუმანთა ხოცად... აწ წარმომიგზავნენია ყოველი მხედრობა ჩემი, რათა აღვხოცო ყოველი მამაკაცი მაგ ქვეყნისა, და ცოცხალი იგი ოდენ დარჩეს, რომელი წინა მომეგებოს, თაყვანისცეს ჩათრსა ჩემსა, დეტალზე მიუთითებს: „ვითარ ამპარტავნად იტყოდა სიტყუათა ამათი". ამ „ამპარტავნობამ" გამოიყვანა მდგომარეობიდან ზაქარია მხარგრძელიც. ყოველ შემთხვევაში, მან თავისი აღშფოთება საკმაოდ არაორდინალურად გამოხატა – ელჩს მიუახლოვდა და ისეთი „უხეიქა ხელითა პირსა", რომ სამეფო კარის მოხელეები რუმის სულთნის წარმომადგენელს კარგა ხანს ასულიერებდნენ.

თამარის ბრძანებით, რუმის სულთანს აახლეს საპასუხო წერილი, რომელშიც ქართველთა მხრიდან ბრძოლის მზადყოფნა დაადასტურეს: „ძალსა ღმრთისა ყოველისა მპყრობელისასა მინდობილმან მარადის ქალწულისა მარიამისა სასოებით მოსავმან და პატიოსნისა ჯვარისა

სასოება იგი თქუენი ჯუარი წინაშე ჩემსა დალეწოს და მოჰმადი აღიაროს."

ამ დამამცირებელი წერილის გარდა, რომელშიც თამარი „რეგვენად" მოიხსენიებოდა, ელჩმა სამეფო დარბაზს სულთნის ზეპირი დანაბარები, ე.წ. „სიტყვა საროც" გადასცა: „უკეთუ მეფემან თქუენმან დაუტეოს სჯული, იპყრას სულთანმან ცოლად; და უკეთუ არა დაუტეოს სჯული, იყოს ხარჭად სულთნისა!" ეს უკვე ზღვარსგადასული თავხედობა იყო. მემატიანე ერთ მეფდრებელმან წარვიკითხე ღმრთისა განმარისხებელი წიგნი შენი, რუქნადინო და ვცან სიცრუენი შენნი, რომელთა ბჭე ღმერთი იყოს! შენ ოქროსა მეცირეთა სიმრავლისად მინდობილ ხარ, ხოლო მე არცა სიმდიდრესა და არცა ძალსა სპათა ჩემთასა, არამედ ძალსა ღმრთისა ყოველისა მპყრობელისასა და ჯუარისა წმიდისა, რომელი შენ ჰგმე. აწ წარმომიგზავნია ყოველი მხედრობა ჩემი წინ მოგებებად შენდა. იყავნ ნება ღმრთისა, ნუ შენი! სამართალი მისი, ნუ შენი!"

ციხე ბასიანში. თურქეთის რესპუბლიკა. თანამედროვე ადმინისტრაციული ცენტრის ფასილეის ტერიტორიაზე.

## როგორი იყო წინასაბრძოლო ვითარება?

სამეფო დარბაზმა ჯარის თავშეყრის ადგილად ჯავახეთი დათქვა. მეფე თამარი თავად ჩავიდა ვარძიაში, ლაშქრის მოსანახულებლად და გასაცილებლად. მეფემ ვარძიის ღვთისმშობლის ეკლესიაში ილოცა. გადმოცემით, იგი ფეხშიშველი ასულა ტაძრამდე. ქართველმა მეომრებმა, რომელთაც მეფეც აცილებდა, მტკვრის ხეობით კარის ციხისკენ აიღეს გეზი.

ვარძიის მონასტერი. XII ს.

რუმის სულთანმა ამასობაში არზრუმის ციხე-ქალაქი დაიკავა და თავის ჯარებს თავს უყრიდა ბასიანში. ყარსიდან ერთი დღის სავალზე ქართველებმა შეისვენეს. ეს დაახლოებით ჩილდირის ტბის მიდამოებში უნდა მომხდარიყო. მეფე თავის ჯარს საბოლოოდ სწორედ აქ დამშვიდობებია. თამარი შემაღლებულ ადგილზე გასულა და მუსლიმოდრეკით ულოცია. შემდეგ მეფემ დიდებულებს უხმო. წარჩინებულები ჯერ ჯვარს ეამბორებოდნენ, ხოლო შემდეგ მის ხელს. დასასრულს მეფემ „პატიოსანი ივი ჯვარი" თავად გადასახა ლაშქარს.



ოძრხეს ციხე. ისტორიული ციხე-ქალაქი სამცხეში. მეფე ფარნავაზის დროს წარმოადგენდა საერისთავოს ცენტრს. ვახტანგ გორგასლის მეჩქვიდრეებმა აქციეს სამეფო რეზიდენციად. შოშენულოვან როლს ასრულებდა XI-XIII საუკუნეებში. მასზე გადიოდა სამცხიდან დასავლეთ საქართველოში მიმავალი მთავარი მავისტრალი.

ქართველები ბასიანში მდგარი რუქნ ად-დინის ლაშქრისკენ დაიძრნენ. თამარი კი, უსაფრთხო ადგილას, სამცხეში, ოძრხეს ციხეში აიყვანეს. რუქნ ად-დინის გამარჯვების შემთხვევაში, აქედან ადვილი იქნებოდა მეფის დასავლეთ საქართველოში გახიზვნა. როგორც ჩანს, სამეფო კარი მოვლენების ასეთი განვითარებისთვისაც მზად იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*მჯნკერტის ციხე ბასიანში, ყარსისკენ მიმავალ გზაზე.*

## როგორი იყო ქართველთა გეგმა?

გადამწყვეტი ბრძოლის წინ ქართველთა სამხედრო წყობა ასე გამოიყურებოდა: წინამბრძოლნი იყვნენ მესხნი, რომელთაც ზაქარია მხარგრძელი სარდლობდა. მასთან იყვნენ შალვა და ივანე ახალციხელები. მემარჯვენე ფრთაზე იდგა დასავლეთ საქართველოს („აფხაზნი და იმერნი"), ხოლო მარცხენაზე – აღმოსავლეთ საქართველოს საერისთავოების („ამერნი და ჰერ-კახნი") ლაშქარი.

ქართველებმა საკმაოდ მოხერხებული საბრძოლო გეგმა შეიმუშავეს. ისინი, შემოვლითი გზით, მტერს მალულად უნდა მიახლოებოდნენ, ისე, რომ რუქნ ად-დინის ლაშქარს მომზადება ვერ მოესწრო. ეს არც ისე ადვილი იყო. რუმის სულთანი ბასიანიდან კარის ციხისკენ გაჭრას გეგმავდა. საჭირო იყო საკმაოდ ძნელი უბნის ე.წ. სოღანლუღის გადასასვლელის გადალახვა. ამ მონაკვეთს რამდენიმე დიდი თუ პატარა სიმაგრე იცავდა, მათ შორის იყო მჯნკერტის ციხე, რომელიც სოღანლუღის მთის დასავლეთ ფერდობზე მდებარეობდა და მისი ალყაში მოქცევა რუქნ ად-დინს ადრევე დაეწყო. როგორც ჩანს, სულთანი გზის გაწმენდას ცდილობდა, რათა სოღანლუღის ვიწრო გადასასვლელი მშვიდობიანად დაეძლია.

*ბასიანის ველი. საკარაუდოდ ამ ადგილზე უნდა მომზდარიყო ბასიანის ბრძოლა.*

ეროვნული ბიბლიოთეკა




*ქართველთა ლაშქრისა და რუჟნ ად-დინის ჯარების განლაგება ბრძოლის დაწყებამდე.*

რუჟნ ად-დინი ამ დროს ზემო ბასიანში იდგა. იგი არ ელოდა ქართველთა თავდასხმას, რადგან დარაჯებიც კი არ ეყენა. ამაზე მემატიანე გაკვირვებით წერს: „ესრეთ წყნარად და უდრეკად მდგომარე იყო სულთანი... დარაჯნი არა უდგესო“. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მან უკვე იცოდა ქართველთა სამზადისის შესახებ. რატომ შეასუსტა ყურადღება რუჟნ ად-დინმა? ამ კითხვაზე პასუხი საშუალებას მოგვცემს გავიგოთ, როგორც რუმის სულთნის, ასევე ქართველთა სტრატეგიული ჩანაფიქრი.

„ხოლო მეფემან დავით... ზედა მიჰმართა სადა დაბანაკებულ იყო [რუჟნ ად-დინი] ბასიანისა ადგილსა ბოლოციხედ წოდებულსა. და ეახლნეს ბანაკსა სულტანისასა, რომელ არა იყო რიცხვი ცხენისა, ჯორისა და აქლემისა მთისა, კარვებისა და სარაფარდებისა“.
*ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი*

რუჟნ ად-დინი ბასიანში ელოდა ქართველებს. მას საქართველოში ღრმად შეჭრის სურვილი ამ მომენტში არ უნდა ჰქონოდა, რადგან ეს მეტად სარისკო იყო. ისეთი სამხედრო შესაძლებლობების მქონე ქვეყანას, როგორიც მაშინ საქართველო იყო, ასე ადვილად ვერ დალაშქრავდა. ყველაზე საუკეთესო გზა რუმის სულთნისთვის ბრძოლის მისსავე არჩეულ ადგილას, ბასიანის ველზე გამართვა იყო. მჯნკერტის ციხე კი ქვემო ბასიანიდან კარისკენ მიმავალ გზას კეტავდა და აქედან დასავლეთის მიმართულებით ზემო ბასიანამდე თითქმის ერთი დღის სავალი იყო. ყარსიდან წამოსულ ქართველებს ამ გზით უნდა ემოძრავათ, ზემო ბასიანში მისასვლელად. ქართველებს სოღანლუღის მთა რომ გადალახათ, ამის შესახებ სულთანს მჯნკერტის ციხეს შემოწყობილი მისი მეომრები შეატყობინებდნენ. როგორც ჩანს, ესეც იყო მიზეზი, რომ რუჟნ ად-დინი წყნარად იდგა და დარაჯებიც არ ეყენა. მას თავი დაცული ეგონა, მაგრამ მოხდა მოულოდნელი რამ. ქართველებმა ჩრდილოეთიდან შემოუარეს სოღანლუღის გადასასვლელს და რუჟნ ად-დინის ჯარს მოულოდნელად წაადგნენ თავზე. მუსლიმთა ლაშქარმა მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო ბრძოლის სამზადისი. პირველი წარმატება მიღწეული იყო.

*ბრძოლის სცენა. მინიატიურა XV საუკუნის ფსალმუნიდან.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

1202 წლის 27 ივლისი იდგა. მოწინააღმდეგენი ერთმანეთის პირისპირ იდგნენ. ქართული წყაროები რუკნ ად-დინის ლაშქარს 400-800 ათასით განსაზღვრავს. რა თქმა უნდა, ეს ციფრი გადაჭარბებულია. ამ რაოდენობის ჯარს მახლობელი აღმოსავლეთის ვერც ერთი მონარქი ვერ შეკრებდა. ქართველთა ლაშქრის რიცხოვნობა 70-90 ათასი უნდა ყოფილიყო. ეს დაახლოებით ის პოტენციალია, რომლის გამოყენა მაშინდელ საქართველოს თავისუფლად შეეძლო. ბუნებრივია, მუსლიმური კოალიცია ქართველთა ჯარზე ნაკლებს არ გამოიყენდა.

**-როგორ „იქმნა ომი ფიცხელი და ძლიერი“?**

შეტევაზე პირველი ქართველები გადავიდნენ. წინაბრძოლნი ეკვეთნენ ერთურთს. „ღმერთი ჩვენ თანა არს!“, „ალაჰ აქბარ!“, ისმოდა ბრძოლის ველზე. ჯონსმოსული მუსლიმების კონტრშეტევა იმდენად ძლიერი იყო, რომ მტერმა ზაქარია მხარგრძელის წინამბრძოლთა შეჩერება მოახერხა — „იქმნა ომი ფიცხელი და ძლიერი“. ბრძოლა რამდენიმე საათს გაგრძელდა. ივანე მხარგრძელს, ზაქარია გაგელს, შალვა და ივანე ახალციხელებს, თაყაიადინ თმოგველს ცხენები დაუხოცეს და ახლა ჩამოქვეითებული განაგრძობდნენ ბრძოლას. ეს რომ სხვა ქართველმა მეომრებმა დაინახეს, მათაც „ვაწირნეს თავნი სიკუდილად და ჩამოხდეს ცხენისაგან და პატრონთა მათთა გუერდსა დაუდგეს“. ქართველთათვის ვითარება ბრძოლის ველზე დამძიმდა, მტერი თავის რიცხობრივ უპირატესობას კარგად იყენებდა, საჭირო იყო მნიშვნელოვანი ტაქტიკური ცვლილებები.

ამ სიტუაციაში ქართველთა სარდლობამ მიიღო ყველაზე სწორი გადაწყვეტილება, მტრისთვის ფლანგებიდან დაერტყა. ამ მანევრის დროს შეტევაზე გადასულ ქართველებს ქვეითი მეომრები რომ არ გადაეთელათ, დაზღვევის მიზნით, ფლანგური დარტყმა ღრმა შემოვლით უნდა განეხორციელებინათ. მარცხენა ფრთას დავით სოსლანი სარდლობდა, მარჯვენაზე — ზაქარია მხარგრძელმა გადაინაცვლა. ასეთი სქემით შეტევა იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა მტრისთვის, რომ რიცხობრივად ცოტა ქართველობას ზურგი აჩვენა და არზრუმისაკენ გაიქცა. ბასიანის ველზე მუსლიმური კოალიციის ალაფი დარჩა. ქართველებმა მტერს დაღამებამდე სდიეს...

*მეფე თამარი. ვარძიის ფრესკა.*

გამარჯვებულებს თამარ მეფე ვარძიასთან შეეგება. საქართველო საყოველთაო სიხარულს მოეცვა. ამ წარმატებამ კიდევ ერთხელ დაარწმუნა ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოები, რომ საქართველოს დაჩოქება შეუძლებელი იყო.




*ბასიანის ბრძოლის გადამწყვეტი მომენტი. ქართველთა მიერ ფლანგებიდან განხორციელებული იერიში.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ციხე-სიმაგრეების აღების ხელოვნება შუა საუკუნეების საქართველოში

ცივილიზებული ერები ციხე-სიმაგრეთა დაცვისა თუ გარემოცვის საკითხებს ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდნენ. მომავალ სარღლებს წინასწარ ასწავლიდნენ თუ რა უნდა მოემოქმედათ ალყის დროს. საუკუნეების მანძილზე დაგროვილი გამოცდილება უკვალოდ არ იკარგებოდა, ხდებოდა მისი ჩაწერა და მას სამხედრო-თეორიული ლიტერატურის სახეს აძლევდნენ. ძველმა ბერძნებმა სამხედრო საქმის იმ მიმართულებას, რომელიც ქალაქების ალყის ხელოვნებას სწავლობდა – პოლიორკეტიკა უწოდეს.

ციხე-სიმაგრის აღების ხუთი ხერხი არსებობდა:

**I. შტურმი** –ციხე-ქალაქის იერიშით აღება ყოველთვის უკიდურესი ზომა იყო. იგი დიდ ადამიანურ რესურსს მოითხოვდა. ამასთანავე, საჭირო იყო შესაბამისი ტექნიკის ყოლაც – კიბლის სანგრევი მანქანები, ფილაკავანები, ტარანები და სხვა. იგებოდა საგანგებო კოშკურები, რომლიდანაც მეომრებს შეეძლოთ გალავანზე გადასვლა. თუ ამის საშუალებას არ იძლეოდა გარემო-პირობები, მაშინ მეომრები აღჭურვილნი იყვნენ მოგრძო კიბეებით, რომელიც ქონგურებამდე წვდებოდა. ციხე-ქალაქზე შტურმი წარმოებდა როგორც რამდენიმე მიმართულებით, ასევე გალავნის ერთ კონკრეტულ მონაკვეთზე.

1122 წელს დავით აღმაშენებელმა ქალაქი თბილისი სწორედ იერიშით აიღო. ამ შტურმის დეტალები ჩვენთვის უცნობია, თუმცაღა მთლიანი სურათის აღდგენა ხერხდება. დავით IV აღმაშენებელი დიდგორთან გამარჯვების შემდეგ თბილისს შემოადგა, გაანგრია მისი კედელი დასავლეთის



*ქვის სასროლი მანქანა – ონაგი, რომელსაც აქტიურად იყენებდნენ ძველი ბერძნები და რომაელები ციხის გარემოცვისას. ეს საალყო მანქანა პოპულარული იყო ადრე შუა საუკუნეებშიც.*

მხრიდან და ქალაქში შეიჭრა. იერიშით აიღეს ქართველებმა ქალაქი დვინი დაახ. 1162 წელს. ქართველები ქალაქს შემოეწყვნენ. მათ წინააღმდეგ საბრძოლველად გამოვიდნენ დვინელები. გიორგი III-ის ლაშქარმა უკუაგდო მტერი. გადარჩენილებს, რომლებიც ქალაქისაკენ გაბრუნდნენ, ქართველები უკან გაჰყვნენ და ჯარითურთ, ქალაქის კარის გავლით ქალაქში შეიჭრნენ.

ციხის იერიშით აღებამდე ერთგვარ მოსამზადებელ სამუშაოს ატარებდნენ, რომლის მიზანიც მოწინააღმდეგის თავდაცვითუნარიანობის შერყევა იყო. იერიშის ძირითადი ობიექტი იყო ქალაქის გალავანი, რომლის დაზიანება უმთავრეს

ეროვნული ბიბლიოთეკა



*ქვის სასროლი მანქანა – ვეროპელები მას ტრებუშეტს უწოდებდნენ.*

საზრუნავს წარმოადგენდა ციხე-ქალაქს შემომდგარი ჯარისთვის. გამოიყენებოდა სხვადასხვა მეთოდი და ტექნიკური საშუალება. ყველაზე პპრობირებული იყო 3 ხერხი: 1. ქვისსასროლი მანქანებით, ანუ ფილაკავანებით გალავნის დაზიანება ან დანგრევა; 2. ზღუდის გაბვრეტა; 3. ქალაქის კედლის ფუნდამენტის მოშლა, რასაც გალავნის გადმონგრევა მოჰყვებოდა.

**II. ბლოკადა** – ყველაზე გავრცელებული ფორმა იყო. ალყის ამ ფორმას ჰქონდა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარე. ხანგრძლივი ალყა ადამიანური რესურსების ნაკლებ დანაკარგს ითხოვდა, მაგრამ, მეორე მხრივ, გარეშეცვის დროში გაწელვის შემთხვევაში, იგი დიდ ფინანსურ დანახარჯებთან იყო დაკავშირებული. ერთიანი საქართველოს დროს, როდესაც ქვეყნის ეკონომიკის დონე მაღალი იყო,

*ციხესიმაგრის გარეშეცვისთვის საჭირო სალალო ტექნიკა.*

ხანგრძლივი დროით ციხესიმაგრეთა ალყის წარმოება დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა. ქართული წყაროების ცნობით, ხანგრძლივი ალყა შეიძლება გაგრძელებულიყო 5-6 წელიც კი. თამარ მეფის დროს ქალაქი კარი/ყარსი ქართველთაგან გარეშეცული იყო 5 წელზე მეტ ხანს. შედარებით ნაკლები დროის მანძილზე მიმდინარეობდა თბილისის ალყა ბაგრატ IV-ის მეფობისას.

ხანგრძლივი ალყა სხვადასხვა ფორმით წარმოებდა. ძირითადად იკეტებოდა ქალაქში შესასვლელი მთავარი მაგისტრალები და ამ გზით ციხე-ქალაქი სრულ ეკონომიკურ ბლოკადაში ექცეოდა. ამ შემთხვევაში ქალაქის გარშემო არსებული მთელი პერიმეტრი არ იყო დაცული და ქალაქში შესვლისა თუ გამოსვლის ერთეული შემთხვევები შეიძლება მომხდარიყო. ბაგრატ IV-ის დროს თბილისის გარეშეცვისას ქალაქში არსებულმა საშინელმა შიმშილმა აიძულა ამირა ჯაფარი ქალაქიდან გაპარულიყო. „მატიანე ქართლისას" მინიშნებით, ამირას თანმხლებლებს საგანგებოდ ტივები მოუმზადებიათ, რათა მტკვრის გაყოლებით ქალაქი დაეტოვებინათ. როგორც ჩანს, თბილისის გარეშეცვისას მტკვრის მონაკვეთი არ იყო კარგად დაცული, რითაც თბილისიდან გაპარვა შეიძლებოდა. ციხე-ქალაქის გარეშეცვისას ყველაზე ხშირი იყო, როდესაც ქართველთა ლაშქარი მთლიანად კეტავდა ქალაქის გარშემო ტერიტორიას. კონტროლი წესდებოდა არა მარტო გზებზე, არამედ ყველი ბილიკსა და გალავნის მისასვლელზე. ხანგრძლივი ალყის დროს მიღებული იყო ციხესიმაგრეზე პატარ-პატარა იერიშების მიტანა, ხოლო, სადაც რელიეფი ამის საშუალებას იძლეოდა, მიმართავდნენ ქვის სასროლი მანქანებით ციხის გალავნის დაზიანების მეთოდს. თუ დამცავ კედელს შეანგრევდნენ, აღვილი იყო იერიშით ქალაქში შეღწევა.

**III. სამხედრო ეშმაკობა** – ქალაქის აღება რაიმე ხერხით, როდესაც დანაკარგი მინიმუმია. შესაძლოა ამ დროს შეტურმიც განხორციელდეს – ამ კონკრეტულ შემთხვევაში ციხის აღებაში მას გადამწყვეტი როლი არ ენიჭება. 1110 წელს მეფე დავით აღმაშენებელმა აიღო საშმილდის ციხე. დავითის ისტორიკოსი ამ მოვლენაზე ლაკონიურად აღნიშნავს – „მოიპარეს საშმილდეო". მოვლენები ასე განვითარებულა: თურქ-სელჩუკთა ჯურაღლების მოსაფუნებლად დავით აღმაშენებელი დასავლეთ საქართველოში გადავიდა. ამ დროს გიორგი მწიგნობართუხუცესჭყონდიდელი, კლდეკარის ერისთავი თევდორე, აბულეთ და ივანე ორბელი ფარულად მივიდნენ საშმილდის ციხესთან და აიღეს იგი.

**IV. მუქარით ციხის აღება** – ამ შემთხვევაში მოვლენები შემდეგნაირად ვითარდება: ციხე-ქალაქის გარემომცველთ ტყვედ აჰყავთ ციხის პატრონი, რომელსაც სიკვდილი ელის თუ მეციხოვნეები არ დათმობენ ციხე-ქალაქს. 1046 წელს ლიპარიტ ბაღვაშმა ტყვედ ჩაიგდო სულა, კალმახის ერისთავი და გრიგოლ აბუსერის ძე, არტანუჯის ერისთავი. ლიპარიტმა კალმახის და არტანუჯის აღება მათი მფლობელების ძელზე გასმით შეძლო. მოგვიანებით, ბაგრატ IV-მ ეს მეთოდი გამოიყენა საშმილდის ციხის აღებისასაც, როდესაც ტაშარ-ძორაგეტის მეფე კვირიკე გასამეგინა ძელზე. სამი დღის შემდეგ საშმილდის გარნიზონი დანებდა და ქალაქი ბაგრატს ჩაუბარეს.

**V. ალპინისტების გამოყენებით ან გალავნის ქვეშ გვირაბის გაყვანით ციხეში ფარულად შეღწევა.** ამ ხერხით აიღო თემურ-ლენგმა ფარცხისის ციხე. გალავნის ქვეშ გვირაბის გაყვანას აქტიურად იყენებდნენ ირანელები და ბიზანტიელები VII-ში ეგრისში დაპირისპირებისას, რომელიც ისტორიაში შევიდა „დიდი ომიანობის" სახელით.

*გალავნის გასაბვრეტი იარაღი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გარნისის ბრძოლა

**„ოქროს ხანის“ დასასრული**

ახლოვდებოდა დასაწყისი ხანგრძლივი დასასრულისა. საქართველოს „ოქროს ხანა“ თავის უკანასკნელ წუთებს ითვლიდა. ჯერ მონღოლები გამოჩნდნენ საქართველოს საზღვრებთან, შემდეგ კი სამშობლოდან მონღოლთაგან ლტოლვილი, სასტიკი ჯალალ ედ-დინი. სერიოზული გამოცდის წინაშე დადგა ქართული სამხედრო ძლიერება. ერთი სიტყვით, ისტორიკოსები „ოქროს ხანის“ დასასრულად სრულიად სამართლიანად ხვარაზმელთა ბატონობის ხუთწლიან პერიოდს თვლიან. ხვარაზმელები მოგვიანებით მონღოლებმა შეცვალეს. XIII საუკუნე საქართველოსთვის ერთ-ერთ ყველაზე ტრაგიკულ ეპოქად იქცა. ქართული სახელმწიფოებრიობისთვის მძიმე პერიოდი გარნისის ბრძოლიდან იწყება.

**ჩინგიზ-ყაენი**
(თემუჩინი, დაახლ. 1155-1227). მონღოლთა სახელმწიფოს დამაარსებელი. 1204 წელს შეძლო მონღოლური ტომების გაერთიანება. 1206 წელს ყურულთაიზე აირჩიეს უზენაეს მბრძანებლად – ყაენად და ჩინგიზის (თურქ. თენგიზ-ოკეანე, ზღვა) ტიტული უბოძეს.

1218 წლის აპრილ გაზაფხულზე ხვარაზმის სამეფოს საზღვრისპირა ქალაქ ოთრარში მონღოლ ვაჭართა დიდი ქარავანი შევიდა. იგი 450 კაცისა და 500 დატვირთული აქლემისგან შედგებოდა. ოთრარში მრავალი ასეთი ქარავანი უნახავთ, მაგრამ მათი აღწერისთვის ისტორიკოსები არ გარჯილან. საინტერესოა, რატომ დაიმსახურა მათი ყურადღება მაინცდამაინც ამ ქარავანმა?

ამ პერიოდში მონღოლებს უკვე დაპყრობილი ჰქონდათ ჩრდილოეთი ჩინეთი. 1216 წელს მონღოლეთში დაბრუნებულმა ჩინგიზ-ხანმა საბოლოოდ გადაწყვიტა შუა აზიის დაპყრობა, სადაც ერთ-ერთ ყველაზე დიდ სახელმწიფოებრივ გაერთიანებას ხვარაზმის სასულთნო წარმოადგენდა. ჩინგიზ-ხანი არწმუნებდა ხვარაზმთა სულთან მუჰამედს (1200-1220), რომ მათ წინააღმდეგ ბრძოლას არ აპირებდა და, საამშვიდობო მოლაპარაკების საბაბით, ელჩებს უგზავნიდა, რაც, გარკვეულწილად, ხელს უწყობდა ხვარაზმთან სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებას. ასეთი „კეთილმეზობლური“ ურთიერთობებით, ორივე მხარე მოხერხებულად ნიღბავდა პოლიტიკურ მიზნებს.

უდავოა, მზარდი მონღოლური სახელმწიფო დღეს თუ ხვალ შეეცდებოდა მდიდარი ხვარაზმის დალაშქვრას და ირანისკენ გაჭრას. ბუნებრივია, მონღოლთა ასეთ ამბიციებს გრძნობდნენ ხვარაზმშიც. ერთი სიტყვით, ამ „მეგობრობის“ მიღმა მძლავრი დაპირისპირება იმალებოდა.

*ქალაქი სამარყანდი, რომელიც მონღოლებმა სასტიკად დაარბიეს.*

ეროვნული ბიბლიოთეკა



*მონღოლთა მიერ დაკავებული ჯალალ ედ-დინის მიერ მდინარე ინდის გადაცურვა. აღმოსავლური მინიატიურა. გადმოცემთან, ჩინგიზ-ყაენს ამ ამბის შემდეგ თანამებრძოლთათვის უთქვამს: „მხოლოდ ასეთი შვილი უნდა ჰყავდეს მამასო.“*

სწორედ ასეთი პოლიტიკური ატმოსფერო სუფევდა, როდესაც ქალაქ ოთრარში მონღოლეთიდან ქარავანი ჩავიდა. ქალაქს და მის მიმდებარე პროვინციას ქაირ-ხანი განაგებდა. მას ვაჟკაცობა არ აკლდა, მაგრამ დიდი ჭკუით არ გამოირჩეოდა და ზედმეტად ეჭვიანიც იყო. მონღოლ ვაჭართა საქციელი არ მოსწონებია ქაირ-ხანს, ჯაშუშებად მიუჩნევია და ამის შესახებ შეუტყობინებია სულთანისთვის, რომელმაც ვაჭრების შეპყრობა და დედაქალაქში ჩაყვანა ბრძანა. 450 კაცში რამდენიმე შეიძლება მართლაც ყოფილიყო ჯაშუში, მაგრამ ქაირ-ხანის გადაწყვეტილება მანც უკიდურესად რადიკალური იყო: მან მონღოლი ვაჭრები ერთიანად ამოწყვიტა და მათი ქონება მითვისა. ეს ფაქტი კარგი საბაბი იყო ჩინგიზ-ხანისთვის ხვარაზმის წინააღმდეგ დიდი სამხედრო კამპანია დაეწყო, რაც მონღოლთა დასავლეთისკენ ლაშქრობების დასაწყისად იქცა.

1219 წელს ჩინგიზ-ხანმა ყურულთაი (სახალხო კრება) მოიწვია და ხვარაზმზე ლაშქრობის საკითხი შეუდგა. სამხედრო მოქმედებები შემოდგომის დასაწყისში დაიწყო. მონღოლებმა ჯერ ოთრარი აიღეს, შემდეგ კი ბუხარასა და სამარყანდს შემოარტყეს ალყა.

ხვარაზმ-შაჰმა, მუჰამედმა, ვერ მოახერხა მონღოლების წინააღმდეგ სრული სამხედრო მობილიზაცია. მან მიუტევებელი შეცდომა დაუშვა, როდესაც ცალკეული ქალაქების გამაგრება დაიწყო. ამით ისარგებლა ჩინგიზ-ხანმა და, ფაქტობრივად, ნაწილ-ნაწილ გაანადგურა ხვარაზმის სამხედრო პოტენციალი. მონღოლები ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. ბუხარას აღების შემდეგ, მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილმა დააღწია თავი მონღოლთა ტყვეობას.

მუჰამედი და მისი შვილი, ჯალალ ედ-დინი, იძულებული გახდნენ, ირანში გაქცულიყვნენ. 1220 წელს მუჰამედი გარდაიცვალა და მის დაწილილ სამეფოს სათავეში ჯალალ-ედ დინი ჩაუდგა. ახალმა ხვარაზმშაჰმა მოახერხა ირანსა და ერაყში გაბატონება და ანტიმონღოლურ კოალიციაში რამდენიმე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ერთეული გააერთიანა.

ჩინგიზ-ხანის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის დაწყებამდე ჯალალ ედ-დინის მიზანი საქართველოს დამორჩილება იყო. იმ შემთხვევაში, თუ ხვარაზმ-შაჰი მოახერხებდა საქართველოს დაჩოქებას, კავკასიის მუსლიმური მოსახლეობა უფრო აქტიურად ჩაერთვებოდა ანტიმონღოლურ კოალიციაში.

**ჯალალ ედ-დინი**
მანგუბერთი (გარდ. 1231), ხვარაზმშაჰი 1220 წლიდან, მუჰამად ხვარაზმშაჰის შვილი. მონღოლების მიერ ხვარაზმის დაპყრობის შემდეგ სათავეში ჩაუდგა მისი გათავისუფლებისათვის ბრძოლას.

## ლტოლვილის ნაამბობი

ბუხარადან გაქცეული ერთი ლტოლვილი ჩასულა ხორასანში, სადაც მას ჰკითხეს, თუ რა მოიმოქმედეს მონღოლებმა მის მშობლიურ ქალაქში. ლტოლვილს მონღოლთა შემოსევის საზარელი სურათი ჯერ კიდევ თვალწინ ედგა. მისი პასუხი ლაკონიური, მაგრამ ყოვლისმომცველი იყო: „ჰოვდნენ, მოთხარეს, გადაწვეს, დახოცეს, წაიღეს და წავიდნენ“ *(ირანელი ისტორიკოსი ჯუვეინი)*. ასეთი იყო მონღოლთა თარეშის რეალური სურათი.



*მონღოლი მეომრის აღჭურვილობა. თანამედროვე რეკონსტრუქცია.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რა იყო გარნისამდე?

ჩრდილოეთ ირანიდან ჯალალ ედ-დინმა საქართველოს მომივლინავე ტერიტორიების დარბევა დაიწყო. ბუნებრივია, ქართველები არ დაუშვებდნენ ასეთ მარბიელ ლაშქრობებს და პასუხმაც არ დააყოვნა. საქართველოს სამეფო დარბაზმა მტრის წინააღმდეგ დიდი სამხედრო კამპანიის ჩატარების გადაწყვეტილება მიიღო. 1225 წლის აგვისტოში ადარბადაგანიდან წამოსული ჯალალ ედ-დინის დიდი ლაშქარი საქართველოს ტერიტორიაზე შეიჭრა და დვინის მიდამოებში დაბანაკდა.

ჩინეთსა და შუა აზიაში გავრცელებული მეომრის ამჯარი.



რუსუდან მეფის ბრძანებით, ქვეყნის ყველა კუთხეში ჯარის შესაკრებად მალესმრბოლნი დაიგზავნა. ამ პერიოდში საქართველოს თავისუფლად შეეძლო გამოეყვანა 80-90 ათასი მეომარი. როგორც ჩანს, ქართველებს გარკვეული რესურსი დაუტოვებიათ და ჯალალ ედ-დინის წინააღმდეგ 60-70 ათასამდე მეომარი გამოუყვანიათ.

ჯალალ ედ-დინის არმია გაცილებით მრავალრიცხოვანი იყო. ჟამთააღმწერლის ცნობით, ხვარაზმ-შაჰს 140 ათასი მეომარი დაუძრავს საქართველოს წინააღმდეგ. სომეხი მემატიანეების თქმით, მუსლიმური კოალიცია 200 ათასს ითვლიდა. რამდენად შეეძლო ხვარაზმიდან დვინილ ჯალალ ედ-დინს თუნდაც 140 ათასიანი არმიის მობილიზება?



ქალაქი დვინი. რეკონსტრუქცია.

ამ პერიოდისთვის იგი აკონტროლებდა ირანის მნიშვნელოვან ნაწილს. ამასთანავე, საქართველოს წინააღმდეგ ჯალალ ედ-დინის მიერ გამოცხადებულ „საღვთო ომში“ მონაწილეობდნენ ერაყის მუსლიმებიც. ასეთ პირობებში, შესაძლოა, ხვარაზმ-შაჰს მართლაც ეროვნული ბანაკიდან 140 ათასამდე მეომარი, მაგრამ ეს ციფრი მაინც გადაჭარბებულია.

ხორეზმის შაჰის ჯალალ ედ-დინის (1220-1231) სპილენძის მონეტა. შუბლი: არაბული ზედწერილი: „სულტანი უზნაესი. იჭედა ესე დირჰემი წელსა 623 (1226).“

ზურგი: არაბული ზედწერილი: „ჯალალ ად დუნია ედდინი. განადიდოს ღმერთმან დიდება მისი. განავრცოს ჩრდილი მისი და განამტკიცოს კეთილდღეობა მისი.“

### რას ფიქრობდა ჯალალ ედ-დინი?

„მთელი ის დღე მას (ჯალალ ედ-დინს) ეგონა, რომ ქართველები ჩამოვიდოდნენ (მთებიდან) საბრძოლველად, მაგარამ (ისინი) არ აპირებდნენ ჩამოსვლას. როდესაც მზე გადაიხარა, სულთანს პატარა კარავი გაუშალეს ცენტრის უკან და მან იქ გაატარა ღამე, ხანებსა და ამირებს კი უბრძანა რიგრიგობით შეეცვალათ ერთმანეთი განთიადამდე... როდესაც დილა დადგა, მან მოიწვია ისინი და უთხრა: „მტერმა, როგორც ჩანს, გადაწყვიტა ბრძოლას აარიდოს თავი და შემოტეკის ნაცვლად, ცდილობს საქმის გაჭიანურებას. ჩვენ გადავწყვიტეთ თავს დავესხათ, ყველა მხრიდან შევუტიოთ. მაგრამ თუ ისინი შემოგვიტევენ, მაშინ უნდა დავასწროთ და ისრების სეტყვით არ მივცეთ მათ ჩამოსვლის საშუალება...“

*ამ ამბების მომსწრე, ისტორიკოსი ალ-ნესეული*

ეროვნული ბიბლიოთეკა




*გარნისის ბრძოლის სქემა*

## რა მოხდა გარნისის ველზე?

ბრძოლა გარნისის ველზე გაიმართა. ქართული წყაროს მიხედვით, იქ ჯერ ხვარაზმელები, ხოლო მოგვიანებით, ქართველები დაბანაკებულან. ჯალალ ედ-დინმა მთელი ლაშქრის მობილიზაცია შეძლო. გარნისში მისვლისთანავე იგი მიხვდა, რომ ქართველები რატომდაც აყოვნებდნენ ბრძოლის დაწყებას. ქართველთა ლაშქარი გარნისში უნდა ჩასულიყო ჩრდილოეთიდან ან დასავლეთიდან ძნელად გადასალახავი ვიწრო ხევებისა და გადასასვლელების გავლით. სწორედ ამიტომ, როგორც ჩანს, ჯარის ერთბაშად თავმოყრა გარნისში ვერ მოხერხდა. ივანე ათაბაგი დროის გაყვანის ტაქტიკას დაადგა. მას მომგებიანი პოზიცია ეკავა. ქართველთა ძირითადი ნაწილები შემაღლებულ ადგილზე იდგნენ. მიუხედავად ამისა, ჯალალ ედ-დინმა თავის მეომრებს მეორე დღეს შეტევაზე გადასვლა უბრძანა. ქართველთა ლაშქრის განლაგება ასეთი იყო: წინამბრძოლნი იყვნენ მესხები, რომელთაც შალვა და ივანე ახალციხელები სარდლობდნენ. მემარჯვენე ფრთაზე დასავლეთ საქართველოს მეომრები, „იმერნი“ იდგნენ, ხოლო მარცხენა მხარეს – აღმოსავლეთ საქართველოს ლაშქარი, „ამერნი“.

ჯალალ ედ-დინის ცენტრს მხედრობა ქმნიდა, მარცხენა ფრთას სულთნის ძმა ღიას ედ-დინი სარდლობდა. მარჯვენა ფლანგზე ჯალალ ედ-დინმა მშვილდოსნები განაწესა. ყველაზე ადრე ბრძოლაში სულთნის მარცხენა ფლანგი ჩაება. პირველი დარტყმა ქართველთა წინამავალმა მიიღო. ბრძოლა შენივთდა.

ამასობაში შალვამ და ივანემ ქართველთა არმიის სარდალს, ივანე ათაბაგს, რამდენჯერმე გაუგზავნეს მოციქული, რათა ქართული არმიის ძირითადი ძალები

**ივანე მხარგრძელი**
სარგისის ძე (გარდ. 1227), მსახურთუხუცესი, ამირსპასალარი, ათაბაგი. XII-XIII სს-ის დიდი სახელმწიფო და საშხედრო მოღვაწე. ამირსპასალარ ზაქარია მხარგრძელის ძმა. მას მონაწილეობა ჰქონდა მიღებული არაერთ სახელოვან ბრძოლაში, რისთვისაც მრავალი ჯილდო დაუმსახურებია. თამარ მეფემ მას ჯერ მსახურთუხუცესობა, შემდგომ ამირსპასალარობა და ბოლოს, ათაბაგობა უბოძა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტრის წინააღმდეგ დაეძრა. მაგრამ დახმარება არსაიდან ჩანდა. გარნისის მაღლობებზე საქართველოს არმიის სამხედრო ნაწილები გაუნძრევლად იდგნენ.

ჯალალ ედ-დინის არმიამ მესხ წინამბრძოლებს ალყა შემოარტყა. მიუხედავად სიმცირისა, ქართველები მედგრად ეკვეთნენ მტერს. არც ამ კრიტიკულ მომენტში შეუწუხებია თავი ივანე ათაბაგს და ღვთის ანაბარად მიატოვა ქართველი მეომრები...

ყველაზე უცნაური ჯერ კიდევ წინ იყო. სწორედ ამ დროს გარნისის ველზე ისეთი მოულოდნელობა მოხდა, რასაც წინასწარ ვერავინ განჭვრეტდა და, რაც, 1225 წლიდან მოყოლებული განსჯის საგანია: უეცრად ივანე მხარგრძელის ბრძანებით, ქართულმა არმიამ ზურგი აქცია ბრძოლის ველზე მყოფ თანამემამულეებს და უკან დახევა დაიწყო.

*მეომრის აღჭურვილობა. XV საუკუნის ფსალმუნის მინიატურის მიხედვით.*

უთანასწორო ბრძოლაში შალვა და ივანე ახალციხელებს ცხენები მოუკლეს. მათ ქვეითად განაგრძეს ბრძოლა. მტერი ყოველი მხრიდან უტევდა. შალვას და ივანეს ხმლები შემოემტვრათ. ბრძოლის ველზე დარჩენილები მიხვდნენ, რომ უღალატეს. მათ უკანდასახევი გზაც მოჭრილი ჰქონდათ. ბედის ანაბარად მიტოვებული რამდენიმე ათასი ქართველი ცდილობდა ათიათასობით მუსლიმი მოეგერიებინა....

მემატიანე წერს: „ხრმალნიცა ახალციხელთანი გატყდეს ჩაბალახსა ზედაო.“ ამ სიტყვებში საოცარი ტრაგიზმი ჩანს და მთელი სიცხადით წარმოგვიდგენს ბრძოლის ველზე დატრიალებულ უბედურებას. ივანე ათაბაგის უგუნურმა საქციელმა ქართველებს ბოლომდე ბრძოლის საშუალება არ მისცა. უკანდახევის შესახებ სარდლის გადაწყვეტილებას დაეთანხმნენ სხვა მხედართმთავრებიც. ასე რომ, ივანე ათაბაგთან ერთად, ისინიც ინაწილებენ გარნისში მომხდარ ტრაგედიაზე პასუხისმგებლობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა



*შუაუზიელი მეომარი. თანამედროვე რეკონსტრუქცია.*

## მეტამორფოზა გმირისა

ჯალალ ედ-დინის მეომრებმა ალყა შემოარტყეს შალვა ახალციხელს და შეიპყრეს. ივანემ მოასწრო და კლდოვან მასივს შეფარა თავი, თუმცა, კლდეზე ასვლისას, თავისივე თანამებრძოლის მიერ შემთხვევით დაგორებულმა ქვამ იმსხვერპლა.

დატყვევებული შალვა სასწრაფოდ წარუდგინეს ჯალალ ედ-დინს, რომელმაც პატივით მიიღო ქართველი სარდალი და სათანადოდ დაასაჩუქრა კიდეც. რამდენიმე თვის შემდეგ შალვა ახალციხელი ჯალალ ედ-დინმა სიკვდილით დასაჯა. ქართველი მემატიანის სიტყვით, შალვა მოკვდა სულთნის მიერ „არადატევებისთვის სჯულისა.“ უცხოელი ავტორები სხვა ვერსიას გვთავაზობენ: შალვას ფარული კავშირი ჰქონია საქართველოს სამეფო კართან და ხვარაზმ-შაჰის გეგმებს აწვდიდა. სამწუხაროდ, გმირ ძმებს არ ეღირსათ მოღალატე ივანე ათაბაგისა და სხვა ქართველ მხედართმთავართა თვალებში ჩაეხედათ, თუმცა შალვა ახალციხელს ნამდვილად ჰქონდა რეალური შანსი, შური ეძია მათზე, მაგრამ მან შურისძიებას ქვეყნის სამსახური არჩია და ზვარაკად შეეწირა სახელმწიფო ინტერესებს.

ყველა ქართველმა იცის მწუხარებით აღვსილი სიმღერა „შავლეგ, შენი თეთრი ჩოხა შავად შეგიხამბია“. ამ სიმღერის პერსონაჟი შალვა ახალციხელია. „არა ყოფილა კაცთა შორის მისებრი ჭაბუკი და მეომარი“, – ამბობს მემატიანე. თამარ მეფის სახელოვანი სარდალი მაჰმადიანთა წინააღმდეგ გამართულ თითქმის ყველა ომში მონაწილეობდა.

შამქორის ბრძოლისას შალვა ახალციხელმა მიართვა თამარს ბაღდადის ხალიფას დროშა.

*სოფელი გარნისი. სომხეთის რესპუბლიკა. საკარაუღოდ ამ მიდამოებში უნდა მომხდარიყო გარნისის ბრძოლა.*

ბასიანის ბრძოლაში შალვა ახალციხელი ქართული მხედრობის ავანგარდში იდგა. შალვა ახალციხელი ხელმძღვანელობდა ყარსის ციხის გარემოცვას.

ქართულმა ზეპირსიტყვიერებამ შალვა ახალციხელის გმირობაზე მრავალი ლექსი შემოგვინახა: ერთ-ერთ ლექსში გადმოცემულია გარნისის ბრძოლის დროს მისი სულიერი მდგომარეობა.

„მთას ქორებულად ჰკიოდა, მე მონადირე მეგონა,
მას თურმე გული სტკიოდა, წაიგდეს ვიწრო ხევშია!
მთა-ბარი სუ ზედ ხვიოდა, გულს ერჭვა თეთრი ისარი,
კილოზე სისხლი სდიოდა, თავის თავს არა სჯავრობდა,
თავისს სწორებსა სჩიოდა, ორასი თურქის მომკვლელი უომრობასა სჩიოდა... "

ქართული ხალხური სასტორიო სიტყვიერების ამ ნიმუშში მთელი სიცხადითაა ნაჩვენები ქართველი სარდლის სულიერი განცდები. ივანე ათაბაგისაგან მიტოვებული შალვა, ბოლო წამამდე „უომრობას" ჩივის. მის თვალწინ საქართველოს დიდება იმარხება – უომრად, ღალატით, ლაჩრობით...

**რატომ უღალატა ივანე მხარგრძელმა ქვეყანას?**

ზუსტად არავინ იცის, რა ედო საფუძვლად ივანე მხარგრძელის უგუნურ საქციელს. ქართველი მემატიანე ამას ახალციხელებისადმი შურით ხსნის. უცნობური წყაროების თანახმად, ქართველთა არმიამ ძირითადი დანაკლისი უკანდახევისას განიცადა, როდესაც რამდენიმე ათასი მეომარი ღრმა ხევებში ჩაიჩეხა. იბნ ალ-ასირის ცნობით, გარნისში 20 ათასი ქართველი დალუპულა. ალ-ნესევი ასახელებს 4 ათასს. ეს უკანასკნელი ცნობა უფრო დამაჯერებელია, რამეთუ ალ-ნესევი ამ მოვლენების უშუალოდ თვითმხილველი გახლდათ.

*საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი შალვა ახალციხელის ხატი.*

იყო კი ივანე მხარგრძელი დიდი მხედართმთავარი, როგორც ზოგჯერ მოიხსენიებენ?

ივანე ყოველთვის ძმის, ზაქარია მხარგრძელის, ჩრდილქვეშ იდგა. ძმისგან განსხვავებით, ივანე მართლმადიდებლად მოინათლა, რამაც მისი პოზიციები სამეფო კარზე უფრო განამტკიცა. შამქორში ვაჟკაცურად იბრძოდა ივანე, ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობს მემატიანე. თამარის დროს იგი ყველა დიდ ომში მონაწილეობდა და კარგი რეპუტაციით სარგებლობდა, მაგრამ დამოუკიდებლად ჩატარებულ სამხედრო კამპანიებში, თითქმის ყველგან ფიასკო განიცადა (აქ არ იგულისხმება თამარის დროს მთიულთა აჯანყების ჩაქრობა). ხლათის გარემოცვისას, როცა ხლათელები უკვე დანებებას აპირებდნენ, ივანე მხარგრძელმა ქალაქის კედლების დათვალიერება განიზრახა. შემოვლის დროს მის ცხენს ფეხი თხრილში ჩაუვარდა და მხედარი გადმოაგდო. არაბული წყაროები იმასაც წერენ, რომ ამ დროს ათაბაგი კარგა გვარიანად ყოფილა ნასვამი და მხოლოდ მცირე ამალა ახლდა. ხლათელებმა ივანე შეიპყრეს. ამ ინციდენტის შემდეგ, ხლათის შემოერთება ვერ მოხერხდა, ივანე იძულებული იყო თავისი ქალიშვილი თამთა სულთნისთვის ცოლად მიეცა.

ლაშა-გიორგის დროს, მონღოლთა შემოსევისას, საგიმის ველზე, ივანე ქართველთა ლაშქრის მარცხენა ფლანგს სარდლობდა. მტერმა მისი უკუქცევა მოახერხა, ხოლო ივანე თბილისში გაიქცა. გარნისში დამარცხებაც მის კისერზეა. ქართველი მემატიანე ივანეს აკრიტიკებს და არაფერს ამბობს მის სამხედრო გამოცდილებაზე. ის ხაზგასმით მიუთითებს, რომ ივანემ ძმები ახალციხელები შურის გამო მიატოვა ბრძოლის ველზე. საინტერესოა, რა უნდა ყოფილიყო ივანე მხარგრძელის შალვასა და ივანესადმი შურის მიზეზი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

„თავისი ცოდვებისა და შეცდომების მიუხედავად, ჯალალ ედ-დინი იყო ერთადერთი კაცი თანამედროვეთა შორის, რომელიც მონღოლ დამპყრობლებს გაუჯიბრებოდა ძალითა და მხნეობით. ლტოლვილმა ხვარაზმ-შაჰმა და მისმა ჯარმა შეეშინეს ჯალირი ისლამსა და მონღოლებს შორის და როდესაც ეს ჯალირი დაინგრა, აღარავის შეეძლო მისი აღდგენა აღმოსავლეთიდან მოვარდნილი ნიაღვრის შესაკავებლად“.
*იბნალისი ორიენტალისტი კ. ბოსვორთი*

იმ დროისთვის ის მეფის შემდეგ მეორე კაცი და ქვეყნის რეალური გამგებელი იყო. თამარისდროინდელი მხედართმთავრებიდან მოქმედ სარდლებად დარჩენილი იყვნენ მხოლოდ შალვა და ივანე ახალციხელები. ივანე მხარგრძელი კი, როგორც მემატიანე დასძენს: „მას ჟამსა მიმხცოვნებულ იყო.“ ივანეს შემდეგ, სრულიად ბუნებრივია, ქვეყნის სამხედრო უწყების სათავეში, მხარგრძელების ნაცვლად, ძმები ახალციხელები მოვიდოდნენ. ძმებმა, ზაქარია და ივანე მხარგრძელებმა ერთად დაიწყეს კარიერა, შალვა და ივანეც ერთად იხსენიებიან. რაღაც შეფარვითი კონკურენცია ყოველთვის იარსებებდა ძმების ამ ორ ტანდემს შორის. მაგრამ, ვიდრე ზაქარია ცოცხალი იყო, მხარგრძელთა პოზიციებს სამეფო კარზე არავინ ემუქრებოდა. ზაქარიას გარდაცვალების შემდეგ, ივანე ათაბაგი გახდა და ამირსპასალარობა და მანდატურთუხუცესობაც შეითავსა.

ამ დროს საქართველოში პოლიტიკური კრიზისის ნიშნები უკვე აშკარაა. პოლიტიკური კრიზისი არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყანა მაინცდამაინც დამარცხებული უნდა იყოს, ან შინაომი მძვინვარებდეს. თვით თამარის ეპოქაშიც კი, როდესაც ქვეყანა განვითარების ზენიტშია, შეიძლება დავინახოთ ის ელემენტები, რომელმაც მოგვიანებით ქვეყანა კრიზისამდე მიიყვანა. მაგალითად, ივანეს დანიშნა ათაბაგად. ერთი კონკრეტული დამანისთვის შეიქმნა თანამდებობა, რომელიც საფუძველშივე ეწინააღმდეგებოდა საქართველოში უკვე დამკვიდრებულ ცენტრალური ხელისუფლების მოწყობის პრინციპს. ამასთანავე, თამარის გარდაცვალებამდე და ლაშა-გიორგის დროს, ივანე მხარგრძელი, ათაბაგობასთან ერთად ამირსპასალარიცაა. თავისი ძმაშვილის მცირეწლოვნობის დროს, როგორც ჩანს, მას შეთავსებული ჰქონდა მანდატურთუხუცესობაც. მოგვიანებით, ამირსპასალარობა მან საკუთარ შვილს ავაგ-სარგისს გადაულოცა. მაგრამ, ეს უკანასკნელი, ფორმალურად იყო ამ სახელის მფლობელი, რადგან რეალურად, სამხედრო უწყებას ივანე განაგებდა.

როგორც ვხედავთ, მხცოვან ვეზირს შორსმიმავალი გეგმები ჰქონია. იგი ცდილობდა თავისი მომავალი მოეწყო: მხარგრძელთა ზაქარიას შტოს მანდატურთუხუცესობა დაუმკვიდრდა. ივანეს შვილი ჯერ ამირსპასალარი იყო, ხოლო მამის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ ათაბაგობასაც მიიღებდა. ერთადერთი პრობლემა ის იყო, რომ მხარგრძელთა შვილები საამისოდ ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდები იყვნენ. ივანე მხარგრძელის გარდაცვალების შემდეგ კი, როგორც ითქვა, ამირსპასალარობა და მანდატურთუხუცესობა შეიძლება ახალციხელებისთვის გადაეცათ. ყველაზე მეტად სწორედ ისინი იმსახურებდნენ ამ თანამდებობებს. როგორც ჩანს, ივანე ათაბაგი სწორედ მოვლენების ასეთ განვითარებას ელოდა და ერთი ხელის მოსმით მოიშორა მხარგრძელთა ახალგაზრდა თაობისთვის ყველაზე საშიში კონკურენტები, ანუ მან საკუთარი ოჯახის ინტერესები დაიყენა ქვეყნის ინტერესებზე მაღლა, რასაც ღალატი ჰქვია.

*ახტალის მონასტრის კარიბჭე (დღეგანდელი სომხეთის რესპუბლიკა). 1227 წელს კარიბჭის შესასვლელთან დაკრძალეს ივანე მხარგრძელი.*

# ცეცხლსასროლი იარაღისა და არტილერიის გაჩენა შუა საუკუნეების ევროპასა და საქართველოში

კვამლიანი ანუ შავი დენთის (გოგირდის, ხის ნახშირისა და გვარჯილის ქიმიური ნაერთი) გამოგონებამ ცეცხლსასროლი იარაღის განვითარება დაჩქარა. ვიდრე აღამიანი ამ ხელოვნურ ნაერთს მიიღებდა, მას უამრავი მცდელობა ჰქონდა, შეექმნა გარკვეული ფეთქებადი თვისების მქონე ქიმიური ნივთიერება. რომაელთა არმიაში გამოიყენებოდა სწრაფადაალებადი მასა, რომელსაც კატაპულტების მეშვეობით ესროდნენ მოწინააღმდეგეს. გაცილებით უფრო სრულყოფილი სახე ჰქონდა ბიზანტიელების ე.წ. საიდუმლო იარაღს – „ბერძნულ ცეცხლს", რომლის შემადგენლობა დღემდე არაა დაზუსტებული. ვარაუდობენ, რომ ეს იყო სხვადასხვა ინგრედიენტებისგან შემდგარი ბლანტი მასა. „ბერძნულ ცეცხლში" შედიოდა: ნავთი, გოგირდი, გვარჯილა, ფისი, ჩაუქრალი კირი. „ბერძნული ცეცხლის" ჩაქრობა წყლით შეუძლებელი იყო, ამიტომაც ბიზანტიელები ამ „საიდუმლო იარაღს" აქტიურად იყენებდნენ ფლოტზე იერიშისას, ხოლო ციხესიმაგრეების აღებისას კი ქალაქში აგდებდნენ. მოგვიანებით მიაგნეს იმ ნივთიერებას, რომელიც „ბერძნულ ცეცხლს" აქრობდა – ძმარი და შარდი. „ბერძნულ ცეცხლს" არ ჰქონდა სწრაფად ფეთქებადი თვისება, ამიტომაც, იგი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა დენთს.



*ბიზანტიელები საზღვაო ბრძოლებში „ბერძნულ ცეცხლს" იყენებდნენ. ილუნ სკილიცეს მადონიული ხელნაწერის მინიატურა.*

დენთის დახვეწის პროცესში ყველაზე დიდი მიგნება იყო 3 ინგრედიენტის – გვარჯილის, გოგირდისა და ხის ნახშირის პროპორციული თანაფარდობა (გვარჯილა 75%, ხის ნახშირი 15%, გოგირდი 10%). ნაპრწყალზე პირველად რეაგირებდა გოგირდი. შემდგომ რეაქციაში შედიოდა ხის ნახშირი, რომელიც კიდევ უფრო ზრდიდა ტემპერატურას. გარკვეულ ტემპერატურაზე იწყებოდა გვარჯილას დაშლა და მისგან ჟანგბადის ატომების გამოყოფა, რომელიც ხელს უწყობდა შიდაწვის მაღალ ტემპერატურამდე აყვანას. დენთის წვის ტემპერატურა 2-3 ათას გრადუსამდე აღწევდა. ასეთ შემთხვევაში, საკმაოდ მცირე ფართობზე გროვდებოდა დენთის გაზი, რომელიც 1სმ$^2$-ში 2-3 ათას კგ ენერგიამდე კონცენტრირდებოდა. დენთის გაზებს ზამბარისებრი ხასიათი ჰქონდა, რომელსაც, გათავისუფლების შემთხვევაში, შეეძლო დაწმული სივრციდან საკმაოდ დიდი სიჩქარით გამოდევნილიყო. დენთის აფეთქების შედეგად ქვემეხის ლულაში გროვდებოდა ენერგია, რომელსაც თავისუფლად შეეძლო საკმაოდ მძიმე ჭურვი დიდ მანძილზე გაესროლა.

*არაბების გამოგონილი ცეცხლსასროლი იარაღი „მოდფა".*

გვარჯილას სწრაფად აალებადი თვისება ჩინელთათვის ადრევე იყო ცნობილი, მაგრამ დენთის მსგავსი ქიმიური ნაერთის დამზადების ყველაზე ძველი ჩანაწერი IX საუკუნითაა დათარიღებული. 1044 წელს ჩინურ ტრაქტატში უკვე ვხვდებთ დენთის მომზადების ზუსტ აღწერილობას.

XII ს-ში დენთის საიდუმლო არაბებისთვისაც გახდა ცნობილი. ცეცხლსასროლი იარაღის ერთ-ერთი პირველი მოდელი „მოდფა" სწორედ არაბებმა შექმნეს, რომელიც XIIIს-ში იხსენიება. „მოდფა" წარმოადგენდა მცირე დიამეტრის ლითონის მილს, რაც დამაგრებული იყო ხის საფეხურზე და ისროდა მრგვალ ლითონის ჭურვებს, რომელსაც არაბები „ბანდაკს" (კაკალს) ეძახდნენ. ამ იარაღს დიდი ეფექტი არ ჰქონდა, მაგრამ ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენდა მოწინააღმდეგეზე. XIIIს-ში დენთის გამოყენება ევროპელებმაც დაიწყეს.

დასავლეთ ევროპულ წყაროებში პირველი ცნობები დენთისა და ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ XIIIს-ის შუა ხანებში ჩნდება. არტილერიის განვითარებაზე თვალის გადევნება მხოლოდ XIVს-ის დასაწყისიდანაა შესაძლებელი. რეალურად, სწორედ ეს პერიოდია ევროპაში ცეცხლსასროლი იარაღის შექმნის ხანა.

პირველ წერილობით ცნობაში (1326) საუბარია ფლორენციის მიერ იარაღისა და ჭურვების შესყიდვაზე. ამავე პერიოდში (1326-1327) შეიქმნა უოლტერ მალიმეტის ტრაქტატი, რომელშიც მოცემულია ევროპული ცეცხლსასროლი იარაღის ყველაზე ძველი გამოსახულება – ლარნაკის მსგავსი მოყვანილობის ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც ისრებს ისროდა.

XIVს-ის შუა ხანებში ცეცხლსასროლი იარაღის არსებობა დასავლეთ ევროპის ყველა სახელმწიფოში დასტურდება. ამ პერიოდის ქვემეხების სახეობის ზოგადი სახელწოდება იყო „ბომბარდა", საიდანაც ძირითადად ქვის ჭურვებს ისროდნენ. მოგვიანებით დაიწყო ლითონის ჭურვების ჩამოსხმა. 1386 წელს ნიურნბერგში უკვე იყო ზარბაზანი,

ეროვნული ბიბლიოთეკა



*დიდი ხნის მანძილზე ამ იარაღის არსებობას სკეპტიკურად უყურებდნენ მეცნიერები. 1999 წელს, ინგლისის სამეფო საჭურველთა ალაფის ხელშეწყობით, ალდგინეს უოლტერ ბლიმეტის ტრაქტატში გამოსახული ცეცხლსასროლი იარაღი, რომლიდანაც გასროლილი ისარი 180 მეტრზე მიდიოდა.*

რომელიც 3 ტონას იწონიდა. მოგვიანებით, ევროპაში გაცილებით უფრო დიდი ზომის ქვემეხების ჩამოსხმა დაიწყეს.

დასავლეთ ევროპაში ახალ იარაღს ზოგადი სახელწოდებით – *არტილერიით* (ფრანგულად „atillier“) მოიხსენიებდნენ. დასაწყისში იგი აღნიშნავდა ყოველგვარ სამხედრო იარაღს და ქართული საჭურველის შესატყვისი იყო. გარკვეულ პერიოდში ამ ტერმინით ქვის სასროლ მანქანებსაც მოიხსენიებდნენ. ცეცხლსასროლი იარაღის გამოგონების შემდეგ კი, ეს სიტყვა ახალ იარაღზეც გავრცელდა. *ტრებუშეტის* და სხვა ქვის სასროლი მანქანების ქვემეხით ჩანაცვლების

*მცირე კალიბრიანი ცეცხლსასროლი იარაღი – „არკებუზი.“*

შემდეგ, არტილერია ცალსახად ცეცხლსასროლი იარაღის აღმნიშვნელად დამკვიდრდა.

XVს-ში იარაღის ოსტატები ახალ-ახალი ქვემეხების შექმნას ცდილობდნენ. მცირეკალიბრიან ლულებს თანმიმდევრობით ამაგრებდნენ, საიდანაც მწყობრი ცეცხლის გახსნა შეიძლებოდა. ერთ-ერთი ასეთი სახეობის იარაღს წარმოადგენდა *რიბოლდი* და *რიბოდეკინი*. დაახლ. ამ პერიოდში გაჩნდა ხელის ცეცხლსასროლი იარაღი *არკებუზი*.

XVIს-დან არტილერიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ტექნიკური გაანგარიშებით გაირკვა, რომ საუკეთესო ქვემეხად ის ითვლებოდა, რომელშიც ლულა 20-ჯერ აღემატებოდა დიამეტრს. იმავდროულად, შესაბამისი წნევისთვის რომ გაეძლო, ასეთი იარაღების ლულა საკმაოდ სქელი უნდა ყოფილიყო. ამ პერიოდიდან არტილერია ორ ნაწილად იყოფა: ციხესიმაგრეების ასაღები ანუ გალავნის დასანგრევი და სავლელ.

საქართველოს ტერიტორიაზე ცეცხლსასროლი იარაღის პირველად გამოყენება დასტურდება XIVს-ის 80-იან წლებში. 1386 წელს თბილისს შემომდგარ თემურ-ლენგს ცეცხლსასროლი იარაღი გამოუყენებია. XVს-ის II ნახევრიდან ქართულ წყაროებში უკვე გვხვდება ცნობები ქვემეხისა და თოფის არსებობის შესახებ. ქართულ მეტყველებაში მძიმე ცეცხლსასროლი იარაღის აღსანიშნავად იხმარება *ზარბაზანი* და *ქვემეხი*, ცნობილი იყო მცირეკალიბრიანი ქვემეხი, *ზამბულაკიც*. ქვემეხი ქართული სიტყვაა, ზარბაზანი და ზამბულაკი კი – სპარსული.

*მცირე კალიბრიანი ქვემეხი. XVIIIს.*

*ზამბულაკი. XVIIIს.*

პირველ ეტაპზე საქართველოში იარაღი ძირითადად ირანიდან, თურქეთიდან და რუსეთიდან შემოჰქონდათ.

*მცირე კალიბრიანი ქვემეხი. XVIIIს. ქუთაისის მუზეუმი.*

XVIIIს-ში ჩვენ არაერთი ცნობა გვაქვს, რომ საქართველოში არსებობდა „ზარბაზნების, ყუმბარებისა და წამლის“ დამამზადებელი სახელოსნები. ამავე პერიოდში ქართულად ითარგმნა საარტილერიო წიგნები. საქართველოს მეფე-მთავრები ცდილობდნენ ძმლავრი საარტილერიო ნაწილები ჰქონოდათ, მაგრამ არსებული საგარეო პოლიტიკური ვითარება ამ დიდ საქმეს აფერხებდა.

*საკახო თოფები „ჯაზაირი“ XVIIIს. ქუთაისის მუზეუმი.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტაშისკარის ბრძოლა

**ცალად დარჩენილი წაბლის ხე**

ტაშისკარი შიდა ქართლის ბოლო სასაზღვრო პუნქტია, აქედან იწყება ისტორიული თორი, თანამედროვე ბორჯომის ხეობა. შუა საუკუნეებში ტაშისკარი ბუნებრივ სიმაგრეს წარმოადგენდა. ლიხისა და თრიალეთის ქედებს შორის არსებულ ვიწრო გასასელს რამდენიმე ციხე იცავდა. აქ ოდითგანვე სავაჭრო გზა გადიოდა, რომელიც სამხრეთ საქართველოს აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ კავკასიასთან აკავშირებდა. შიდა ქართლიდან ეს გზა გაივლიდა ბორჯომის ხეობას და სამცხეში გადადიოდა, აქედან კი ახლო აღმოსავლეთისა და შავი ზღვის სანაპიროზე არსებულ მნიშვნელოვან ცენტრებს უკავშირდებოდა.

ასეთი ხელსაყრელი მდებარეობის გამო, ტაშისკარი ხშირად ქცეულა მტრის შემოსევისა და აოხრების ობიექტად. ქართულ წყაროებში ამ სოფლის ისტორიის არაერთი ფაქტია შემონახული, მაგრამ ყველაზე ცნობილი მოვლენა, რომელიც ტაშისკარს უკავშირდება, გიორგი საakაძის სარდლობით, თურქთა მრავალთასიანი ჯარის დამარცხებაა.

ტაშისკარში დღემდე შემორჩენილია ის წაბლის ხე, რომლის ქვეშ ქართველ მეომრებს, ომში გამარჯვების აღსანიშნავად, დიდი ნადიმი გადაუხდიათ. ადგილობრივების გადმოცემით, უწინ ამ ადგილას სამი დიდი წაბლის ხე მდგარა, მაგრამ ჟამთასვლამ მხოლოდ ერთიღა დატოვა. მრავლისმნახველი ცალად დარჩენილი წაბლის ხე ბრძოლებში დაღლილ მეომარს ჰგავს. აქ დღემდე იკრიბებიან გლეხები და სოფლის ამბებს იხსენებენ...

*ტაშისკარში შემორჩენილი წაბლის ხე, რომლის ქვეშ ქართველებმა 1609 წლის ივნისში ოსმალებთან გამარჯვების აღსანიშნავად დიდი ნადიმი გამართეს.*

ეროვნული ბიბლიოთეკა



*ლალა-მუსტაფა ფაშას მიერ 1578 წლის აგვისტოში თბილისის აღება. თურქული მინიატიურა.*

1578 წლის 2 იანვარს თურქ-ოსმალებმა ირანის წინააღმდეგ ლაშქრობა დაიწყეს. სულთანმა კავკასიის დასალაშქრად სარდალი ლალა მუსტაფა-ფაშა გამოგზავნა, რომელმაც 1578 წლის აგვისტოში მთლიანად დაიპყრო სამცხე-საათაბაგო და აიღო თბილისი. კახეთის მეფემ, ალექსანდრე II-მ, ლალა მუსტაფა ფაშას მორჩილება აღუთქვა და ყოველწლიური ხარკი იკისრა. კავკასიისთვის ირან-ოსმალეთის დაპირისპირების ერთი ეტაპი 1590 წლის ზავით დასრულდა. ირანის შაჰი აბას I იძულებული გახდა ოსმალთათვის კავკასია დაეთმო.

## რა იყო ტაშ-ისკარამდე?

1603 წელს ირანმა ომი გამოუცხადა ოსმალეთს და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას შეეცადა. აბას I-მა ერევნის ციხე აიღო, ხოლო 1605 წელს ურმიის ტბასთან სასტიკად დამარცხა ოსმალები.

აღმოსავლეთ კავკასიაზე კვლავ აღსდგა სეფიანთა გავლენა. სამცხე-საათაბაგოს მმართველები შეეცადნენ ახალი პოლიტიკური ვითარებით ესარგებლათ. სამცხის ათაბაგის ქერიმა, სიმონ I-ის ასულმა ელენემ, თავისი ვაჟი, მცირეწლოვანი მანუჩარი, ირანის შაჰთან გააგზავნა.

1608 წლის მიწურულს, ქართლის სამეფოსა და ირანელთა ჯარის დახმარებით, ელენემ ახალციხიდან განდევნა ოსმალები და ქალაქი დაიკავა. სულთანმა სასწრაფოდ დიდი ჯარი გაგზავნა სამცხე-საათაბაგოში. ამ ლაშქარში ადგილობრივი თურქი ფაშების გარდა, მონაწილეობდნენ ყირიმელი თათრები, რომელთაც ქართული წყაროები „მგლის ტყაოსნებს“ უწოდებს.

*ქალაქ ახალციხე. XIX საუკუნის ფოტო.*

1609 წლის მაის-ივნისში სამცხეში თავი მოიყარა საკმაოდ მრავალრიცხოვანმა ოსმალთა ჯარმა. ქართლის სამეფოს მესვეურებმა იცოდნენ, რომ მათი თავმოყრა ახალციხის რეგიონში შემთხვევითი არ იყო. მოსალოდნელი იყო, ოსმალებს სამაგიეროს გადახდის მიზნით, მარბიელი ლაშქრობა განეხორციელებინათ ქართლზე, როგორც ირანის მოკავშირეზე. ამასთანავე, ეს იქნებოდა პასუხი ქართლის მეფის სამცხე-საათაბაგოს საქმეებში ჩარევის გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



*ცხირეთის ციხის გეგმა. აგებულია X ს-ში. ციხეს აღმოსავლეთით კლდოვანი ხევი, ჩრდილოეთიდან კი სალი კლდე ესაზღვრება.*

ლუარსაბ II თავის საზაფხულო რეზიდენციაში – ცხირეთის ციხეში გამაგრდა, ხოლო თავისი სარდლები, იარალი და ზაქარია, ქართლის სამეფოს საზღვრების ჩასაკეტად გაგზავნა. მათ უნდა შეეჩერებინათ მტერი, რაც საშუალებას მისცემდა მოსახლეობას გამაგრებულ ადგილებში გახიზნულიყო. სამეფო კარმა სამხედრო სამზადისი დაიწყო.

*წმ. თევდორეს ხატი. 1995 წელს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმინდა სინოდმა მღვდელი თევდორე წმინდანად შერაცხა და მის მოსახსენებელ დღედ 8/21 ივნისი დაწესა.*

1609 წლის ივნისში ოსმალები უეცრად შემოიჭრნენ ქართლში და საკმაოდ

## მღვდელ თევდორეს გმირობა

მოხერხებულად მოქმედებდნენ. აშკარაა, რომ ისინი თითქმის ყველა საიდუმლო ინფორმაციას ფლობდნენ: სად იმყოფებოდნენ დარაჯად მდგარი ქართველები, სად იყო დაბანაკებული მეფე, სამეფო კარი და სხვა. ასეთი ინფორმაციის შეგროვება ჯაშუშური ქსელის გარეშე შეუძლებელია. რაც მიანიშნებს იმაზე, რომ ოსმალებს, გარდა ჯარის შეკრებისა, წინასწარი სადაზვერვო საუშაოებიც ჩაუტარებიათ. ამის წყალობით, მათ მოახერხეს გვერდი აევლოთ იარალისა და ზაქარიას რაზმებისთვის და მანგლისს მისდგომოდნენ. მტერმა სასტიკად დაარბია მანგლისი და მისი მიმდებარე ტერიტორიები. ალაფით დატვირთულმა ოსმალებმა გეზი ცხირეთის ციხისკენ აიღეს, სადაც მეფე ლუარსაბ II ეგულებოდათ. მათ სურდათ რეზიდენციამდე ფარულად მისულიყვნენ, რათა ლუარსაბ II-ს გაქცევა ვერ მოესწრო. სოფელ კველთასთან მღვდელი თევდორე შეეჰყრეს და ფარული გზით ცხირეთამდე მეგზურობა უბრძანეს. მან მტერს გზა აუბნია და ცხირეთის ნაცვლად, ჯდ. თემძის ხეობაში სოფელ ქვინადრისკენ წაიყვანა. მტერი გვიან მიხვდა მღვდლის განზრახვას – ისინი უკვე ღრმად იყვნენ შესულნი თემძის ხეობაში. ცხირეთის ციხისკენ გაბრუნებას აზრი აღარ ჰქონდა. გამძვინვარებულმა ოსმალებმა თევდორე მღვდელს თავი მოჰკვეთეს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ოსმალებმა შიდა ქართლისკენ სვლა განაგრძეს. ქართლის სამეფო კარი სამხედრო გეგმის შედგენას შეუდგა. იმ დროისათვის ლუარსაბ II-სთან იყვნენ ცნობილი სარდლები: გიორგი ააკაძე და ზაზა ციცაშვილი.

## ნიაბთან ბრძოლა და გიორგი ააკაძის გეგმა

ქართველებმა მტერს გზა გადაუკეტეს სოფ. ნიაბის ბოლოს, სხერტის ჭალაში. მიუხედავად ძალთა არათანაბრობისა, ქართველებმა მოახერხეს თურქთა შევიწროება. ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ზაზა ციცაშვილმა. მან ერთ-ერთი თურქი სარდალი სიცოცხლეს გამოასალმა, მოკლულის თავი კბილებით დაიჭირა და კვლავ შეუტია მტერს. ამასობაში ბრძოლის ველზე გაჩნდნენ იარალი და ზაქარია თავისი სამხედრო ნაწილებით. მათმა მოულოდნელმა გამოჩენამ ოსმალებს თავზარი დასცა და უკან, დოესისკენ დაიხიეს. აშკარა იყო, რომ მტერი ქართლიდან გასვლას ცდილობდა. რა გზით მოახერხებდა ამას, ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო. იარალი და ზაქარია ბრძოლის ველზე გმირულად დაეცნენ.



*გიორგი ააკაძე (1570-1629). მისი წინაპრები სამეფო აზნაურები იყვნენ. მოღვაწეობა დაიწყო სიმონ I-ის დროს. მონაწილეობდა ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლებში. ლუარსაბ II-ის დროს დაწინაურდა და თბილისის, ცხინვალისა და დვალეთის მოურავის სახელო მიიღო. ფონ კრისტოფორო დე კასტელის ნახატი. XVII ს.*

ერთმა მოულოდნელმა ფაქტმა კიდევ უფრო დაამძიმა ოსმალთა მდგომარეობა. ეორიდან მიმავალმა სომეხმა მღვდელმა შეამჩნია მტერი და მტკვარზე გადებული ხიდი აყარა. მტრის ჯარი ვერ გადავიდა მეორე ნაპირზე და იძულებული გახდა მტკვრის მარჯვენა ნაპირს აყოლოდა. ისინი ეძებდნენ მდინარეზე ფონს, რომ როგორმე გადაელახათ მტკვარი. საფიქრებელია, რომ სწორედ ამ მომენტში მიიღო საბოლოო სახე ააკაძისეულმა სამხედრო გეგმამ.

სამხედრო სტრატეგიის თვალსაზრისით, ქართულმა სარდლობამ შეიმუშავა ბრძოლის გაგრძელების იდეალური ვარიანტი – ჩასაფრება მოეწყოო მტრისთვის შიდა ქართლიდან საათაბაგოში და დასავლეთ საქართველოში გადასვლამდე. ქართველებმა სწორედ ამ გეგმის მიხედვით იმოქმედეს. მას შემდეგ, რაც თურქებმა ვერ მოახერხეს მდინარის გადალახვა და გორისკენ გაჭრა, აშკარა იყო, რომ ოსმალები იძულებული ხდებოდნენ ბრძოლა გაემართათ ქართველთათვის ხელსაყრელ ადგილას – ტაშისკარ-ქეიშეთის რეგიონში.

გიორგი ააკაძის მიერ შეჭუჭვებული სამხედრო გეგმა რამდენიმე დეტალისგან შედგებოდა. უპირველესად, საჭირო იყო ბორჯომის ხეობისკენ და დასავლეთ

*თურქოსმალთა მიერ მანგლისიდან ტაშისკარამდე განვლილი გზის მარშრუტი და ქართველთა ლაშქრის დევნის ოპერაციის მიმართულება.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ქართლის მეფე ლუარსაბ II. 1622 წელს ირანში დატყვევებული ლუარსაბი შაჰ-აბას I-ის ძეგ ბავნილმა მკვლელობამ გამოასალმეს სიცოცხლეს. ეკი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ შერაცხილია წმინდანად.*

საქართველოსკენ გადასასვლელი გზების ჩაკეტვა. ამ მიზნით, სარდლობამ ქსნის ერისთავი გაგზავნა კორტანეთში, რომელიც ბორჯომის ხეობით, სამცხეში მიმავალ გზას კეტავდა. ქართველთა ლაშქრის ძირითადი ნაწილი მდ.ფრონეს მტკვართან შეერთების ადგილთან უნდა შეკრებილიყო, აქედან კი სურამისკენ გადადგილებულიყვნენ. ააკაძის რაზმი თურქ-ოსმალებს კვალში მიჰყვებოდა, რათა უკან დახევის საშუალება არ მიეცა. ააკაძის გეგმით, ქართველებს ეკრძალებოდათ მტერთან პირისპირ შებმა. მთავარი იყო მას მტკვრის გადალახვა მოეხერხებინა, ასეთი ადგილი კი შეიძლება ტაშისკარ-ქვეშეხეთის ზონაში ყოფილიყო. ხაფანგიც იქ უნდა დაეგოთ.

## გადამწყვეტი ბრძოლა

ოსმალებმა გზად სასტიკად მოარბიეს საციციანო. სოფ. ბრბონასთან კი მტკვარზე გადასვლა დაიწყეს. მათ ხის სახლები დაშალეს და სახელდახელო ხიდი აგეს. თურქ-ოსმალები ტაშისკარის ბოლოს, ნახვეტაში დასანაკებულან (ადგილობრივები დღემდე ნახვეტათი იხსენიებენ იმ ვრცელ მინდორს, რომელიც ხაშურ-ბორჯომის გზატკეცილის მარცხენა მხარეს მდ. მტკვარს ეკვრის). მართლაც, სოფ. ბრბონასთან მდინარის გადალახვის შემდეგ, თურქები აღმოჩნდებოდნენ ნახვეტას ველზე, რომელიც ტაშისკარიდან 5-7კმ-ითაა დაშორებული. როგორც ჩანს, თურქებმა უკვე იცოდნენ, რომ ახალციხისკენ მიმავალი გზა ქართველებს ჰქონდათ ჩაკეტილი და ბანაკის მშენებლობა დაიწყეს – თხრილები გათხარეს და სილით სავსე ტომრებით ხელოვნური ბარიერები შექმნეს.

ამასობაში, ოსმალთა კვალში ჩამდგარმა გიორგი ააკაძემ გადაწყვიტა მტკვარზე გადასულიყო. თუმცა, ჯერ მტერს აცადა სოფ. ბრბონასთან მდინარეზე გადასვლა და მხოლოდ ამის შემდეგ გადავიდა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. ქართველებმა მდინარე სოფ. ახალდაბასთან გადალახეს. ადიდებულ მტკვარს ხიდი წაეღო, გიორგი ააკაძე და ქართველთა ჯარი იძულებული გახდნენ ცურვით გადასულიყვნენ მეორე ნაპირზე. შემდეგ რამდენიმე კილომეტრი მტკვრის გასწვრივ იარეს და ტაშისკარის ტყიანი მასივის გავლით სურამის თავზე მდგარ ქართველთა ძირითად ჯარს შეუერთდნენ. აშგვარად, გადამწყვეტი ბრძოლის წინ ქართველთა

*ნახვეტას ველი. ხედი სოფელ ქვეშეხეთიდან.*

ეროვნული ბიბლიოთეკა



*სოფელი ახალდაბა. ადგილი მდინარე მტკვარზე, სადაც ძველი ხიდი იყო გამართული. სურათზე ჩანს ხიდის დამცავი კოშკის ნანგრევიც.*

დაქსაქსული ძალები გაერთიანდა. მოწინააღმდეგენი ერთმანეთის პირისპირ იდგნენ. ქართველთა სამხედრო ბანაკში სახელდახელო თათბირი გაიმართა. გიორგი სააკაძის გეგმა ყველასთვის მისაღები აღმოჩნდა.

მტერი შეშინებული იყო. ამას ადასტურებს მათგან გამოქცეული ქართველი ტყვეც, რომელმაც სასიამოვნო ამბავიც მოიტანა, ოსმალები მხოლოდ მშვილდ-ისრითა და ხმლით იყვნენ შეიარაღებულნი.

ბრძოლა გარიჟრაჟზე დაიწყო. წინ ქართველ მეთოფეთა რაზმი ჩადგა. მათ ცხენოსანი არმია მიჰყვებოდა. გიორგი სააკაძის ფრთა პირველი შეეჯრა მტრის ხელოვნურ სანგრებში. მას სამი შუბი და ერთი ლაზტი დამტვრა. ბოლოს ხმლით განაგრძო ბრძოლა.

ტაშისკარის ბრძოლაში თავი გამოიჩინა ახალგაზრდა ლუარსაბ II-მ. კარგახნის ბრძოლის შემდეგ დამარცხებულმა თურქ-ოსმალებმა ტყვეებს შეაფარეს თავი. მტრის დევნა გვიანობამდე გრძელდებოდა. ქართველებს დიდძალი ალაფი დარჩათ. თურქი ტყვეები ლუარსაბ II-მ ირანის შაჰს, აბას I-ს გაუგზავნა, რომელმაც ისინი სასტიკად დასაჯა.

# მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლები

**რა იყო „კახეთის ამოგდების“ საქმე?**

ქართლ-კახეთის წინააღმდეგ ირანის შაჰ აბას I-ის ბრძოლა ერთ-ერთი ყველაზე სისხლისმდვრელი ეპოპეა საქართველოს ისტორიაში. ქართველი კაცის მეხსიერებაში XVIIს-ის დასაწყისში ქართლ-კახეთში ირანელთა მრავალგზის შემოსევა მწარე მოგონებად დარჩება. აბას I-ის ლაშქრობებმა უდიდესი ზარალი მიაყენა ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას, მაგრამ ყველაზე დიდი კატასტროფა მაინც დემოგრაფიული ვითარების მკვეთრი გაუარესება იყო: შაჰმა კახეთიდან ირანში 200 ათასი ქართველი გადაასახლა, ხოლო დიდი ნაწილი დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლას შეეწირა. „კახეთის ამოგდების“ საქმე თითქმის ბოლომდე იყო მიყვანილი. ადგილობრივი ხელისუფლება უკვე აღარ არსებობდა. თეიმურაზ კახთა მეფე თურქეთში იყო გადახვეწილი. ირანის შაჰის კარზე ამჯერად ქართლის სამეფოს განადგურების გეგმა შემუშავდა. ქართლელებს კახელების ხვედრი უნდა გაეზიარებინათ.

*აბას I, შაჰ-აბას დიდად წოდებული (1571-1629). სეფიანთა დინასტიის წარმომადგენელი. ირანის შაჰი 1587-1629 წლებში.*

1625 წლის დასაწყისში ირანში შეიკრიბა დიდი არმია, რომელსაც შაჰ-აბასმა მთავარსარდლად მასთან დაახლოებული პირი, წარმოშობით სომეხი, ყარჩიხა-ხანი დაუნიშნა. ოფიციალური გეგმით, მას კახელების საბოლოო გაწყვეტა ჰქონდა დავალებული, ხოლო ფარული გეგმით, ქართლის სამეფო უნდა მოერბია. საქართველოსკენ მიმავალ ყარჩიხა-ხანს აბას I-მა, მის კარზე მყოფი გიორგი საკაძე მრჩევლად გააყოლა (შაჰი ბოლომდე არ ენდობოდა საკაძეს და მძევლად მისი შვილი პაატა დაიტოვა) და უბრძანა მასთან თათბირის გარეშე არცერთი საქმე არ გადაეწყვიტა. ირანმა საქართველოში შესვლის საბაბად ქართლის გამგებლის – სიმონ-ხანისა და ისა-ხან ყორჩიბაშის ასულის, ჯაჰანბანუს ქორწილი გამოიყენა. მტერი მუხრანს დაბანაკდა და კახეთში შეჭრის სამზადისს შეუდგა.

*გიორგი საკაძე. მოკვლაკე*
*მ. ბერძენიშვილი. არქიტექტორი*
*გ. ჯაფარიძე. ბრინჯაო.*

ერთ დღეს გიორგი საკაძე სანადირო ლოჭინის ხევში გავიდა. მან შენიშნა ირანელთა ბანაკისკენ მიმავალი შაჰის შიკრიკი, რომელმაც საკაძის დაბანაკებაზე გაქცევა სცადა. მას გიორგის მხლებლები წამოეწივნენ და შეიპყრეს. ჩხრეკისას შიკრიკს უპოვეს შაჰ-აბას I-ის წერილი, რომელიც ყარჩიხა-ხანთან მიეჭონდა. საკაძემ წერილი წაიკითხა: „როდესაც გაულეტავთ კახელებს, აეყარეთ ქართლი და წამოასხით, ხოლო მოურავს (გიორგი საკაძეს ქართველები „დიდ მოურავს“ ეძახდნენ) უღალატეთ, მოსჭერით თავი და გამომიგზავნეთ“.

„მოურავად დანიშნული ეს კაცი (იგულისხმება გიორგი საკაძე) იყო ბრძენი სიტყვით, ძლიერი გონებით, გამოცდილი თავის საქმეში და აგრეთვე წარმოსადეგი, ძლიერ მამაცი, დიდი მებრძოლი და უძლეველი მეომარი. ის მხარე, რომელსაც იგი მოუდგებოდა, მეორე მოწინააღმდეგე მხარეს სძლევდა და მტრის ჯარს, მსგავსად მოცელილი ბალახისა, მიმოფანტავდა ხოლმე ველზე.“

*სომეხი ისტორიკოსი*
*არაქელ თავრიზელი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკაძემ შაჰის შიკრიკი მოკლა და წერილის შესახებ უახლოეს წრეს აცნობა. მან ფარულად აჯანყების სამზადისი დაიწყო. თავისი განზრახვა, უპირველესად თავის ცოლის ძმას, ზურაბ ერისთავს გაუმჟღავნა. მალე გიორგიმ სხვა ქართველი ფეოდალებიც მიიმხრო. ირანელთა ლაშქარი ამ დროს უკვე მარტყოფში იყო დაბანაკებული. გეგმის მიხედვით, ქართველები ირანელებს ყველა მხრიდან შემოეწყობოდნენ. თავად გიორგი საკაძე მტრის ბანაკში იქნებოდა და შიგნიდან შეეცდებოდა მათ რიგებში არეულობის შეტანას.

1625 წლის 25 მარტის დილა თენდებოდა. ამ დღეს ხარების ბრწყინვალე დღესასწაული იყო. ირანელთა ბანაკს ჯერ კიდევ ეძინა. აქა-იქ ისმოდა გადაძახილები. უეცრად გუშაგებმა განგაში ატეხეს. მათ ქართველთა რაზმების მიახლოება შენიშნეს. ყარჩიხა-ხანმა სასწრაფოდ სარდლების შეკრება ბრძანა. მასთან მხლებლებითურთ გამოცხადდა გიორგი საკაძე, რომელსაც გადამწყვეტ მომენტში თან ახლდა თავისი ვაჟი ავთანდილი, პაატა ხერხეულიძე, ელია დიასამიძე და ერთგული მსახური პაპუნა ვაშაყაშვილი.

**„სასწაული მეტისმეტი“**

ყარჩიხა-ხანი თავისი კარავიდან გამოვიდა. მას ცხენი მიართვეს, მაგრამ ამხედრებისთანავე გიორგი საკაძემ შუბით იქვე განგმირა. ქართველები ყარჩიხა-ხანთან მყოფ სხვა სარდლებსაც დაერივნენ. ირანელთა ბანაკი ერთბაშად აირია. მთავარსარდლის სიკვდილის ამბავი მთელ ჯარს მოედო. მტერმა გაქცევა დაიწყო. ქართველები სასტიკად უსწორდებოდნენ ირანელებს. ბრძოლის ველზე მყოფი 30 ათასი ირანელიდან, მხოლოდ 3 ათასი გადარჩა. ამის შემდეგ თურქი ისტორიკოსი იბრაჰიმ ფეჩევი იტყვის: „ორმოცი წლის განმავლობაში ასეთი დიდი ზარალი შაჰს არ მოსვლიაო.“ რამდენიმე კვირაში მთელი ქართლ-კახეთი ირანელთა ურდოებისგან გაიწმინდა. გიორგი საკაძე თბილისის აღებასაც კი შეეცადა. ამასობაში, თურქეთიდან დაბრუნდა თეიმურაზ I, რომელიც ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს მეფედ დასვეს. მოგვიანებით მეფე იტყვის, რომ მარტყოფი იყო „სასწაული მეტისმეტი“, რადგან სასწაულს ჰგავდა 11 წლის მანძილზე ყიზილბაშებისგან „ნაჭამი“ ქვეყნის წელში გამართვა.

*ერთაწმინდის ტაძარი. ჩრდილოეთ კედლის ძირში დამარხულია გიორგი საკაძის ვაჟის პაატას მოკვეთილი თავი.*

მარტყოფის გამარჯვება ქართველი ერის ღირსების, ქართული მიწისა და გმირული სულის არნახული ზეიმი, თავგანწირული ბრძოლა იყო. გიორგი საკაძემ ხარება დღეს ჭეშმარიტი ხარება გაუთენა თავის ქვეყანას, თუმცა დიდი და მწარე იყო ამ გამარჯვების საფასური: გიორგი საკაძემ „ძვირფასი ძღვენი“ მიიღო გმირობისთვის — შვილის მოკვეთილი თავი. მაინც ბედნიერი იყო საკაძე, რადგან მისი ქვეყანა იყო თავ-მოუკვეთავი და უვნებელი.



*ერთაწმინდის ტაძარი. XIII საუკუნის I ნახევარი. აგებულია წმ. ესტატეს სახელზე. სოფლის სახელწოდება თავდაპირველად უნდა ყოფილიყო „ესტატეწმინდა“. მოგვიანებით, ხალხის გამოთქმაში „ერთაწმინდად“ შეიცვალა.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დამარცხების ამბავმა შაჰ-აბას I საშინლად განარისხა. „ირანის ლომის“ გულისწყრომა სავსებით გასაგები იყო, მან ზომ ერთ დღეში თავისი მრისხანე არმიის თითქმის მეოთხედი დაკარგა. მან ქართველთა სამაგალითოდ დასჯა გადაწყვიტა. ახალი ლაშქარი თავის სიძეს, ისა-ხან ყორჩიბაშს ანდო. მტრის მიზანი ქართლის განადგურება იყო.

**რამ განარისხა „ირანის ლომი“?**

შაჰის არმია, რომელიც 50 ათას მეომარს ითვლიდა, 1625 წლის ივნისში ქვემო ქართლში, ალგეთის ხეობაში, მარაბდის ველზე დაბანაკდა. 20 ათასი ქართველი კოჯორ-ტაბახმელის მიდამოებში გამაგრდა და აქ ელოდა მტერს. ქართველთა ბანაკში, ბრძოლამდე რამდენიმე დღით ადრე, დიდი სამხედრო თათბირი გაიმართა, რომელსაც ცნობილი საერო და სასულიერო პირები ესწრებოდნენ. მსჯელობის მთავარი საკანი ბრძოლის გამართვის ადგილი გახლდათ. აზრი ორად გაიყო.

ააკაძე და ბაადურ ციციშვილი მოითხოვდნენ ქართველები შეტევაზე არ გადასულიყვნენ და მარაბდის ველზე თავად არ ჩასულიყვნენ, რასაც იმით ხსნიდნენ, რომ დიდი სიცხის გამო, ქართველებს ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლა გაუჭირდებოდათ, ვინაიდან, ეს უკანასკნელნი, სიცხეს შეჩვეულნი იყვნენ. ამასთანავე, ამ ხერხით ქართველები ბრძოლის ტაქტიკას თავად შესთავაზებდნენ მტერს: კოჯორ-ტაბახმელის ვიწრობებში ირანელები ვერ მოახერხებდნენ გაშლას და ქართველთა მცირერიცხოვნობა თვალში საცემი არ იქნებოდა. დანარჩენი სარდლები დაუყოვნებლივ მარაბდის ველზე ჩასვლასა და ირანელთა წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის გამართვის მომხრეები იყვნენ. საბოლოოდ, ამ აზრმა მეტი მხარდაჭერა ჰპოვა. ქართველები მარაბდის ველზე ჩასასვლელად მოემზადნენ. წინა ღამით მროველმა ეპისკოპოსმა მეომრები აზიარა და ჯარი დალოცა.

**თეიმურაზ I**
კახეთის მეფე 1606-1648წწ. (ფორმალურად 1663 წ-მდე), ქართლ-კახეთის მეფე 1625-1633 წწ-ში. დავით I-სა და ქეთევან ამოთან მუხრან-ბატონის ასულის შვილი. მისი მეფობის პერიოდში სამეფოს მართვაში აქტიურად მონაწილეობდა ქეთევან დედოფალი. თეიმურაზ I 1663 წლის თებერვალში გარდაიცვალა. დაკრძალულია ალავერდის ტაძარში. იმეფა 58 წელი, აღესრულა 74 წლის ასაკში. მან დიდი პოეტური მემკვიდრეობა დაგვიტოვა, რომელთა შორის უმთავრესია დედისადმი მიძღვნილი პოემა – „წამება ქეთევან დედოფლისა“.

1625 წლის 1 ივლისს, განთიადისას, ქართველები „მხიარულად და თამამად“ გაემართნენ ბრძოლის ველისკენ. საომრად მოემზადა მტერიც. ისა-ხან ყორჩიბაშს მარაბდის ველი საგულდა-გულოდ ჰქონდა გამაგრებული. მან 12 ათასიანი მეთოფეთა რაზმი ოთხ რიგად განალაგა: პირველ რიგში – ჩამუხლული მეომრები დააყენა, მეორეში – ფეხზე მდგომნი, ხოლო მესამეში და მეოთხეში – ცხენზე და აქლემზე ამხედ-რებულნი. ირანელთა ჯარის ცენტრს ისა-ხან ყორჩიბაში სარდლობდა, მეწინავეებს კი თავისი სიმამაცით განთქმული „ყვითელ ჯიქად“ წოდებული ამირგუნეხანი.

**რა მოხდა მარაბდის ველზე?**

ქართველთა ლაშქარი მტრის პირისპირ განლაგდა. სარდლობა თეიმურაზ მეფემ იკისრა. მან მეწინავედ ცხენოსანი ლაშქარი განალაგა, მათ უკან ქვეითი. ქართველები მტრის რიგებისკენ დაიძრნენ... ირანელთა 12 ათასმა თოფმა ერთად ისროალა, რასაც ზარბაზნების ჯერი მოჰყვა. მარაბდის ველი ბოლში გაეხვია. მიუხედავად ამისა, ქართველთა შეტევა არ შეფერხებულა. ისინი ყიზილბაშთ მეთოფეებისკენ ჯიქურ მიიწევდნენ. ცხარე ბრძოლაში ამირგუნე-ხანი დაიჭრა. ქართველებმა ცენტრს შეუტიეს... სარდლები, ეპისკოპოსები, უბრალო მეომრები, გალომებული ებრძოდნენ ყიზილბაშებს, ააკაძე მუზარადიც კი მოიხსნა, რომ ირანელებს თავზარი დასცემოდათ მისი ხილვით.

*ქართველი მეომრის აღჭურვილობა. XIX საუკუნის ნახატი.*

ბრძოლა თითქოსდა ქართველების გამარჯვებით უნდა დასრულებულიყო. ჯარის ერთმა ნაწილმა ყიზილბაშების ქონების დანაწილებაც კი დაიწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ცხენოსანთა ჯარი ავთანდილ საკაძისა და დავით ერისთავის სარდლობით, გაქცეულ მტერს დაედევნა. ქართველთა არაორგანიზებულობამ ყიზილბაშთა მდგომარეობა საგრძნობლად შეამსუბუქა, ამას დაემატა ერთი მოულოდნელი ფაქტიც: აზერბაიჯანის ბეგლარბეგი შაპნენდე-ხანი თავისი ჯარით გზაში შეყოვნდა და ბრძოლის ველზე სწორედ მაშინ გამოჩნდა, როცა უკვე დაღლილი და ძალაგამოლეული ქართველები მტრის საბოლოო განადგურებას ცდილობდნენ. ერთი მხრივ, შაპნენდე-ხანის გამოჩენამ და, მეორე მხრივ, ქართველი მეომრების ალაფობით გატაცებამ და ძალების დაქსაქსვამ, გამარჯვების სასწორი ყიზილბაშთა სასარგებლოდ გადახარა.

მარაბდის ველზე უკვე მწუხრი იდგა, როცა ქართველებმა უკან დახევა დაიწყეს. იმ დღეს 10 ათასი ქართველი ბრძოლის ველზე დაეცა. დაღუპულთა შორის იყვნენ სარდლები: დავით ჯანდიერი, თეიმურაზ მუხრან-ბატონი, აღათანგ ხერხეულიძე, ბაადურ ციცაშვილი; რუსთველი და ხარჭაშნელი ეპისკოპოსები; ცხრა ძმა ხერხეულიძე, ცხრა მაჩაბელი, შვიდი ჩოლოყაშვილი.

დამარცხების მიუხედავად, ქართველ მეომრებს ბრძოლა არ შეუწყვეტიათ. ვიორგი საკაძემ თავისი ჯარი პატარა რაზმებად დაყო და მტერს პარტიზანული ბრძოლა გაუმართა. ერთ-ერთი შეტაკებისას, ქართველებმა ქსნის ხეობაში ყიზილბაშთა 12 ათასიანი ლაშქარი გაწყვიტეს, მხოლოდ მცირე ნაწილმა მოახერხა გაქცევა.

მარაბდის ველზე დამარცხების მიუხედავად, ქართველებმა დიდი მსხვერპლის ფასად არსებობის უფლება მოიპოვეს. მარტყოფისა და მარაბდის გაკვეთილმა აიძულა შაჰ-აბას I, რომ „გურჯების“ (ასე ეძახდნენ ქართველებს) „გათათრების“ ქიმერული წადილი დავიწყებინა. ქართველებისადმი ბოღმა საფლავში ჩაჰყვა „ირანის ლომს“. ხუმრობა ხომ არ იყო, მარტო 1625 წელს ირანმა მარტყოფში დაახლ. 27 ათასი, მარაბდაში – 14 ათასი, ქსნის ხეობაში – 12 ათასი, ე.ი. სულ 56 ათასი მეომარი დაკარგა. ეს ირანის არმიის თითქმის ნახევარი იყო.

*ცხრა ძმა ხერხეულიძის საფლავი სოფელ მარტყოფში. დღესაც სოფლის ეკლესიის ეზოში ერთნაირი ცხრა საფლავის ქვაა, რომელიც გადმოცემით მარაბდის ბრძოლაში დაღუპულ ცხრა ძმა ხერხეულიძეს ეკუთვნის.*

*ასე გამოიყურება დიდი ქარტეხილების მოწმე მარაბდის ველი დღეს.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცხენოსნური თამაშობანი – სამხედრო წვრთნის სახეობა

შუა საუკუნეებში სამეფო კარი ყოველთვის ზრუნავდა არმიის ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნებაზე. ამისათვის ეწყობოდა ე.წ. „სამხედრო წვრთნები“ – ცხენოსნური თამაშობანი. საქართველოს ქალაქებში საგანგებოდ მოწყობილ ადგილებში საცხენოსნო შეჯიბრებები იმართებოდა. თბილისში რამდენიმე მოედანი იყო – ერთ-ერთი ქალაქის გალავნის გადაღმა – დღევანდელი 9 აპრილის სახელობის ბაღის მიდამოებში. გაცილებით ვრცელი საასპარეზო იყო დღევანდელი სბურთალოს ტერიტორიაზე. ასეთივე მოედნები ჰქონდა ქუთაისს და სხვა ქართულ ქალაქებს. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ სამეფო ოჯახის წევრები, დიდებულები, გამოცდილი მეომრები. თამაშობების გამართვა სახალხო ზეიმი იყო და უამრავი ხალხი ესწრებოდა. გამარჯვებულთათვის დაწესებული იყო სხვადასხვა სახის ჯილდოები, თუმცა შინაარსით ეს იყო „სამხედრო წვრთნები“. მეომრები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ცხენის ჭენებაში, შშვილ-ისრისა და შუბის სროლაში. შეჯიბრებებში მიღებული გამოცდილებას მეომრები ბრძოლის ველზე იყენებდნენ. ცხენბურთი, ყაბახი, ისინდი, მკერდობა, ძარული, ძოწვება, მთიდან დაშვება, თარჩია, ჩენა და სხვ. შეიცავდა იმ ელემენტებს, რომლებიც მეომრისათვის აუცილებელი იყო. ამასთან, თამაშობანი მონაწილეებს გუნდურ მოქმედებას აჩვევდა, რაც ბრძოლისას მეტად მნიშვნელოვანი იყო. ცხენოსნური თამაშების ზოგიერთი სახეობა XIX საუკუნეში მივიწყებას მიეცა. XX საუკუნის 30-50-იან წლებში საქართველოში მათი აღდგენა დაიწყო.

**ცხენბურთი** უძველესი დროიდან მომდინარეობს. საქართველოში მისი რამდენიმე ნაირსახეობაა ცნობილი. ამ თამაშში მნიშვნელოვანია მოთამაშის მერე ცხენის მართვის ხელოვნების დემონსტრირება. ჩოგანით (ყვანჭით) მხედრები ათამაშებენ პატარა ბურთს. ამ დროს უნაგირზე ისინი სხვადასხვა მოძრაობას აკეთებენ. ცხენბურთის ერთ-ერთი სახეობის აღწერისას არქანჯელო ლამბერტი წერდა, რომ



*მოედანი ძველ თბილისში. თანამედროვე 9 აპრილის ბაღის მიმდებარე ტერიტორია.*

*ცხენბურთის თამაში. XVII ს. დონ ქრისტოფორე დე კასტელის ნახატი.*

მხედრები ცხენებზე უნაგირს ორმაგი თუ სამმაგი მოსართავით დაკრავდნენ იმ შემთხვევისთვის, თუ ერთ-ერთი გაწყდებოდა, როცა ცხენოსანი მთელი ძალით ტრიალებდა უნაგირზე. შეიძლება ითქვას, რომ ცხენბურთი ყველაზე ნაკლებად შეიცავდა წმინდა სამხედრო ილეთებს, მიუხედავად ამისა, მისი მეშვეობით მაინც შეიძლებოდა მეომრის მომზადება.

**გადრის** თამაშის წესები (ცხენბურთის სახეობა): მოთამაშეს ბურთი კარში უნდა გაეტანა, ანუ გაშლილი ფერადი მაყის იქით გადაეგდო. თეიმურაზ II-ის მიხედვით, მოედანზე 12-12 მოთამაშე გამოდიოდა („ორად გაჰყოფენ, თითოს მხარს თორმეტს იქმნენ კაცებსა“). დაღლილ მოთამაშეთათვის მოედნის მიჯნაზე საგანგებოდ დადგამდნენ თულუხით შარბათს. თამაშისას აკრძალული იყო მოწინააღმდეგის ან მისი ცხენის დაშავება.

**რადი** (რადრამბაგანი) ცხენბურთის განსხვავებული სახეობა იყო. მასში მონაწილეობდა 3-4 კაცი. ერთ-ერთი ბურთს ჰაერში ატყორცნიდა. ის, ვინც ზედიზედ სამჯერ დიაჭირდა ბურთს, გამარჯვებულად ცხადდებოდა. ცხენბურთისათვის საგანგებოდ მზადდებოდა ჩოგანი (ყვანჭი). ტარს ნალისებრი დეტალი ჰქონდა მიმაგრებული, რომელშიც მოთავსებული იყო ბადისებრი ნაქსოვი. მოთამაშეს ბურთის მიწიდან აღება რომ გაადვილებოდა, ჩოგანი ერთი მხრიდან ღია იყო.

**ყაბახი** შუა საუკუნეებში ცხენოსნური თამაშობების ერთ-ერთი სახეობაა. მისთვის საგანგებო მოედანს აკეთებდნენ, რომლის შუაგულში ძელი იყო აღმართული. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით: „ძველად აღმართავდნენ გრძელ ორთაყვის ხესა და ზედა დასდგმდენ ოქროს ან ვერცხლის თასსა და დღესასწაულს ან ყველიერის დღეს განვიდოდა მეფე და დიდებულნი ცხენებით იმ მოედანზედ და რიგ რიგათ ცხენთა რბენით გაუვლიდნენ იმ ყაბახსა და მშვილდთ ისარს ესროდიან და ვინც ჩამოაგდებდა იმ თასს, იმას მისცემდნენ“. ყაბახი მხედრისგან მოითხოვდა სამხედრო გამოცდილებას – უნდა სცოდნოდა სადავეშეშვებული ცხენის მართვა და მოძრაობისას მშვილდის მიზანში სროლა. ძირითადად, მიღებული იყო ჯირითით ყაბახობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ისინდი** ასევე პოპულარული ცხენოსნური თამაში იყო და სამხედრო ტაქტიკის ელემენტებს შეიცავდა. გუნდები ერთურთის მოპირდაპირედ დგებოდნენ. თითეეული მათგანს თავისი ბანაკის საზღვარი ჰქონდა, რომელთა შორის საკმაოდ ვრცელი მოედანი იყო გადაჭიმული. ერთ-ერთი მხედარი გუნდს გამოეყოფოდა და მოწინააღმდეგის ბანაკის საზღვრისკენ გაემართებოდა, გადაკვეთდა ხაზს და ისინდით მოწინააღმდეგის დაშვებას ცდილობდა. ამ მოქმედების შემდეგ „გამომწვევი“ უკან, თავისი გუნდისკენ გაემურებოდა. მას მოწინააღმდეგე გუნდის მოთამაშე დაედევნებოდა, რომელიც ამჯერად თავად ესროდა ისინდს. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ ყველა მოთამაშე არ გამოვადოდა მოედანზე. ისინდი საბრძოლო შუბის მსგავს იარაღს წარმოადგენდა, იმ განსხვავებით, რომ მის ერთ ბოლოზე ჩაჩი იყო ჩაშოცმული. ისინდი მხედრისგან მოითხოვდა მაღალ ოსტატობას, თვალის სიმახვილეს, სიმარდეს, ძალასა და სისწრაფეს, ცხენისგან კი განსაკუთრებულ წვრთნასა და მომზადებას. მასში ჩართული იყო დაჯერვის, უკაბედი თავდასხმის, დიდი სისწრაფით ცხენის უკან დახევის, მთელი სისწრაფით გაქცევა-გამოკიდების, იერიშისა და კონტრიერიშის ელემენტები.

*ყაბახის თამაში. XVII ს. დონ ქრისტოფორე დე ასტელის ნახატი.*

**მკერდაობა** მხედრის საომარი წვრთნის ერთგვარ სახეობას წარმოადგენდა. ეს იყო ცხენების ოროპარძოლა. მოედანზე გამოსული მხედრები ერთმანეთისკენ მიქანებოდნენ და მოწინააღმდეგის ცხენის დაჯაბვნას ცდილობდნენ. ბრძოლის ველზე არა მარტო მეომარი იბრძოდა, არამედ ცხენიც, რომელსაც მკერდით შეეძლო მოწინააღმდეგე მხედრის თუ ფეხოსანი მეომრის გადათელვა. სწორედ სამხედრო მოქმედების ეს დეტალი იქცა ცხენოსნური თამაშის ერთ-ერთ სახეობად. ამ თამაშისთვის საგანგებოდ გაწვრთნილი ცხენები გამოჰყავდათ.

**ჩეხვა** მხედრის სამხედრო მომზადებას ემსახურებოდა. ორ მხარეს განსაზღვრულ მანძილზე დადგმულ ნიშნებს მხედარი ნავარდით ისე ჩაუვლიდა, რომ ხმლით მათ „განადგურებას“ ცდილობდა. ხშირად მხედრები ორი ხმლით გამოდიოდნენ. თამაში მეომარს ასწავლიდა ცხენის სადავემიშვებულად მართვას და მოძრაობაში ხმლის ხმარების ხელოვნებას.

**მოქნევა** (ცხენოსნური თამაშის სახეობა) ასევე კლასიკური სამხედრო წვრთნის ელემენტებს შეიცავდა. გაჭენებული ცხენის შეჩერება და დაურვება მხედრისგან დიდ ძალისხმევას მოითხოვდა.

**მთიდან დაშვება**, ძირითადად, საქართველოს მთიან რეგიონში გავრცელებული ცხენოსნური თამაში იყო. მხედრები რთულ რელიეფზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. სხვათა შორის, ამ სახეობამ დღემდე მოაღწია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში.

**მარულა** გრძელ მარშრუტზე დოღს ნიშნავს, რომელიც ცხენისაგან დიდ გამძლეობას მოითხოვდა. იგი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული თამაში იყო XXს-ის I ნახევრამდე.

*ყაბახი. აღმოსავლური მინიატიურა.*

# XVIII საუკუნის ბრძოლა

**ისტორიის სამარცხვინო ფურცელი**

1752 წლის მარტში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა იმერეთის მეფე ალექსანდრე V, რომელიც ორგზის ჩამოაგდეს ფეოდალებმა ტახტიდან და არც მოსახლეობაში სარგებლობდა დიდი პატივისცემით. ათას ჭორსა და მართალს ჭყვეტდნენ მასზე. საერთოდ XVIIს-ის II ნახევარი და XVIIIს-ის I ნახევარი იმერეთის სამეფოს ისტორიაში ყველაზე ტრაგიკული პერიოდია. თითქმის ერთი საუკუნე იმერეთის სამეფო სამოქალაქო ომში იყო ჩართული და 32-ჯერ შეიცვალა მონარქი. მაგალითად, ბაგრატ IV 4-ჯერ ავიდა იმერეთის სამეფო ტახტზე, არჩილ I – 5-ჯერ, გიორგი VI და ალექსანდრე V – 3-3-ჯერ.

*იმერეთის მეფე სოლომონ I (1752-1784). იბრძოდა ურჩი ფეოდალების წინააღმდეგ. აკრძალა „ტყვის სყიდვა“. ცდილობდა იმერეთიდან ოსმალთა განდევნას.*

ასეთი მძიმე პოლიტიკური მდგომარეობა, ბუნებრივია, გავლენას ახდენდა ქვეყნის ეკონომიკაზე. ალექსანდრე V თურქებს ხარკს ვეღარ უხდიდა და იძულებული იყო ქართველების ტყვეებად გაყიდვით გაესტუმრებინა ეს გადასახადი, რამაც ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა დაამძიმა – მოსახლეობის რაოდენობა მკვეთრად შემცირდა.

ალექსანდრეს შემდეგ გამეფდა მისი შვილი სოლომონ I, რომელსაც მაშინვე შეექმნა პრობლემები. მეფეს აუჯანყდა სწორედ ის ხალხი, რომელთაგანაც ამას არავინ არ ელოდა. საქართველოში ბევრი შეთქმულება და აჯანყებაა ცნობილი, მაგრამ სოლომონ I-ის წინააღმდეგ მოწყობილი გამოსვლა თავისი უცნაურობით ყველა მათგანს აჭარბებს. მასში მონაწილეობდნენ: სოლომონის ბაბუა, ლევან აბაშიძე, მეფის ორი ბიძა: მამუკა და გიორგი ბატონიშვილები, და რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, თვით სოლომონის დედა – თამარ აბაშიძე. აჯანყებულებმა ახალგაზრდა მეფე ტახტიდან ჩამოაგდეს. სოლომონი იძულებული გახდა ახალციხეში გაქცეულიყო. მუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, ახალციხის ფაშამ მაინც მოახერხა და რამდენიმე თვის შემდეგ სოლომონი თავის უფლებებში აღადგინა. ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ფაშამ ჩამოიყვანა და დაიპყრა კვალად იმერეთიო“.

*სოლომონ I-ის ბაბუა გიორგი VI, მისი მეულლე დედოფალი ხორეშანი და უფლისწული ალექსანდრე (იმერეთის მეფე ალექსანდრე V), სოლომონის ძმა. გელათის მონასტრის ფრესკა.*

მეფეს ორი არჩევანი ჰქონდა: ან უნდა დაეხუჭა თვალი ოჯახის წევრთა ღალატზე, ან საკუთარ სისხლსა და ხორცს დაპირისპირებოდა. ამ რთულ ვითარებაში სოლომონ I-მა ყველაზე მძიმე, მაგრამ ქვეყნისთვის საჭირო გადაწყვეტილება მიიღო: დედამისი ქვეყნიდან გაძევა, ბაბუა „დაამდაბლა“, მამუკა ბატონიშვილი კი მკაცრად დასაჯა. მეფის რისხვას გადაურჩა მხოლოდ რაჭის ერისთავი და მეფის მეორე ბიძა, გიორგი.

# რაზე საუბრობდნენ „ფიცის კაცნი"?

გელათიდან წამოსულ ამალას გზაში შემოაღამდა. მეფე ალექსანდრეს დასაფლავების შემდეგ აფხაზთა კათოლიკოსმა პანაშვიდი გადაიხადა, რომელსაც შაბათის ლოცვა მიაბა. ამალა ძირითადად „ფიცის კაცებისგან" შედგებოდა. იმერეთის წარჩინებულთა დიდი ნაწილი მეფის დასაფლავებას არ დაესწრო. ბეჟან ლორთქიფანიძე ოდნავ დაწინაურდა, ჩაფიქრებულმა ვერც კი შეამჩნია, რომ გვერდით მისი სახლისკაცი გრიგოლ ლორთქიფანიძე ამოსდგომოდა.

— ძმაო, ბეჟან, დიდი მეფე დაკარგა იმერეთმა. აწი რა გვეშველება? სოლომონს სამეფოს მართვისა არა გაეგება რა.

— არა, ჩემო გრიგოლ, სოლომონი არც მამამისს ჰგავს და არც ბაბუამისს. მის სახლში თანაბრად დულს ბაგრატოვანთა ვაჟკაცობა და აბაშიძეების გამჭრიახობა, მაგრამ ყველაზე მეტად მის ხასიათში აღმზრდელი ნაფიჩაძეების ჯიუტობასა და შემართებას ვხედავ.

— ბეჟან, ეს ჩვენი მეფე ცხოვრებაში მართლაც რომ უბედური იყო! არც ცოლს უყვარდა და არც შვილებს.

— შენ კი დიდად ერთგულობდი მეფეს, მაგრამ ერთს გეტყვი, ჩემო გრიგოლ, დიდი ცოდვილი კაცი იყო ცხონებული. მთელ იმერეთში ლაპარაკობენ, რომ მეფე ხახულის ღვთისმშობელმა დაბრმავაო. ბეჩავს თვალები გადმოვარდნას ჰქონდა, ტანჯვაში აღმოხდა სული. —

— არ არის მართალი ეგ ამბავი. არ გაუქურდავს ალექსანდრეს ხახულის ღვთისმშობლის ხატი...

— როგორ არ გაუქურდავს. მისმა მიგზავნილმა კაცებმა მოხსნეს ხატიდან თამარ მეფის ძვირფასი ბეჭედი, სად დაიკარგა ლაშა-გიორგისა და რუსუდანის მდალიონი და ოქროს ყელსაბამი?

— ეგ კიდევ ცოტაა, გელათში თამარის ეკვდერში, ძველ მეფეთა საძვალეში საფლავი რომ მიიტაცა და თავისი პირველი ცოლი — დადიანის ასული მარიამი დაკრძალა?

— ეგ ყველაფერი ჭორია, ბეჟან! რაჭის ერისთავისა და ლევან აბაშიძის გავრცელებული.

— ხონოქარისადმი ტყვეების მიყიდვა და მეფის საფარქვეშ მოქცეულ ყარაღ აზნაურიშვილთა თარეშზე რაღას იტყვი? იქნებ ისიც იუარო, რომ თითო გაყიდულ ტყვეზე მეფე ალექსანდრე გადასახადს იღებდა. ღმერთმა აცხონოს მეფე, მაგრამ მამამისს, გიორგის ჰგავდა იგი. ისიც ცუნდრუკი, მომზვეჭველი, ანგარებიანი, ვერცხლისმოყვარე იყო. სწორედ ამიტომაც უღალატა ზურაბ აბაშიძემ თხმელის ციხეში და ნადიმზე მსახურებს მოაკვლევინა.

ამ საუბარში იყვნენ „ფიცის კაცნი", როდესაც შორიდან ქუთაისის სასახლის კონტურები გამოჩნდა.

— „ღმერთმა დაიცვას ჩვენი სამეფო!", თითქმის ერთდროულად წარმოთქვეს და პირჯვარი გადაისახეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვინ იყვნენ მოღალატე ქართველები?

1753 წლის I ნახევრიდან სოლომონ I მთლიანად ფლობდა ქვეყნის მართვის სადავეებს. მან უარყო მამის პოლიტიკური კურსი და იმერეთის სამეფოს დამოუკიდებლობისა და გაძლიერებისთვის დაიწყო ბრძოლა. სოლომონმა ჯერ ტყვეთა სყიდვა აკრძალა. ამას გარდა, მეფემ ოსმალთა მიერ დაკავებული ციხე-ქალაქების გათავისუფლების გეგმა შეიმუშავა.

იმერეთის მეფის ასეთი გაძლიერება არ გამოპარვიათ თურქ-ოსმალებს. მათ განსაკუთრებით აღელვებდათ ტყვეთა სყიდვის აკრძალვა. ამასთანავე, სოლომონ I-თან დაპირისპირებული ფეოდალები: ლევან აბაშიძე და როსტომ რაჭის ერისთავი ახალციხის ფაშას, ჰაჯი-აჰმედს არწმუნებდნენ, რომ სოლომონი მალე უღალატებდა. ფაშამ ეს ინფორმაცია, როგორც ჩანს, სარწმუნოდ მიიჩნია, რადგან იმერეთის მეფის პოლიტიკა აშკარად ეწინააღმდეგებოდა ოსმალოთა ინტერესებს.

შექმნილი ვითარებით პირადი სარგებლის მიღებას ცდილობდნენ იმერეთის ფეოდალები და ახალციხის ფაშას სოლომონის წინააღმდეგ სამხედრო დაპირისპირებისკენ უბიძგებდნენ. იმერეთში შეიქმნა ახალი ფარული დაჯგუფება, რომლის მიზანი, თურქების ხელშეწყობით სოლომონის ტახტიდან ჩამოგდება იყო. შეთქმულებს შორის განსაკუთრებით აქტიურობდა მეფის პაპა ლევან აბაშიძე. დღემდე გაურკვეველია, რამ განაპირობა შვილიშვილისადმი მისი ასეთი ზიზღი, თუმცა, ვფიქრობთ, რომ ამ ფაქტით უფრო ფსიქოლოგები უნდა დაინტერესდნენ.

*ქართველი მეომრის აღჭურვილობა გვიან შუა საუკუნეებში.*

1757 წელს ლევან აბაშიძე ახალციხის ფაშას ეწვია და სოლომონის წინააღმდეგ ჯარის გამოყვანა სთხოვა. ამ წინადადებას ფაშა დიდი ენთუზიაზმით შეხვდა, რადგანაც, მასთან ერთად, მეფის წინააღმდეგ გამოდიოდნენ როსტომ რაჭის ერისთავი და იმერეთის სამეფოს აზნაურთა უმეტესობა. ფაქტობრივად, ეს ლაშქრობა ქართულ-ოსმალურ კოალიციას წარმოადგენდა და წარმატების შანსიც მეტი იყო. სოლომონ I-ს არ გამოპარვია ეს ამბავი. მანაც დაიწყო სამხედრო სამზადისი. მეფის ლაშქარში შედიოდნენ ერთგული აზნაურები და გლეხები. ამასთანავე სოლომონს მოკავშირედ ჰყავდა დადიანი და გურიელი. ოდიშის ლაშქარს მთავარ ოტია დადიანის ვაჟი, კაცია სარდლობდა. მას ახლდა სამურზაყანოს მფლობელი ხუტუნია შარვაშიძე.




ახალციხის ფაშამ ლევან აბაშიძეს საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯარი გაყოლა და სარდლად გოლა-ფაშა განაწესა. თურქ-ოსმალები სამცხიდან იმერეთში გადავიდნენ. პირველი შეტაკება ზეკარის უღელტეხილთან მოხდა.

იმერეთის მეფე ცდილობდა ოსმალთა შეტყეულებას ისეთ ადგილზე, სადაც მტრისთვის ჩასაფრება იქნებოდა შესაძლებელი. მხოლოდ ამ გზით მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ახალციხის (ჩილდირის) საფაშო** ოსმალეთის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეული, რომელიც მოიცავდა სამხრეთ საქართველოს პროვინციებს – სამცხეს, ჯავახეთს, არტაანს, ტაოს, შავშეთს და კლარჯეთს. იყოფოდა უფრო მცირე ერთეულებად – სანჯაყებად. ახალციხის საფაშო ჩამოყალიბდა 1579 წელს. მისი მმართველი იწოდებოდა ახალციხის ფაშად. ეს ტიტული XVIII ს-ის II ნახ-მდე ეკავათ ჯაყელთა სავარეულოს წარმომადგენლებს. ახალციხის საფაშო გაუქმდა XIX ს-ის შუა პერიოდში.

ხერხდებოდა ქართველებზე რიცხობრივად დიდი ლაშქრის დამარცხება. მიუხედავად იმისა, რომ პირველი შეტაკება მტრის იმერეთში გადმოსვლისთანავე მოხდა, გადამწყვეტი ბრძოლის ადგილამდე მხარეებმა თითქმის 100 კმ განვლეს.

პირველი შეტაკებების შემდეგ სოლომონმა უკან დაიხია და კაკასხიდთან გამაგრდა. მეორე დღეს მეფემ ეს პოზიციებიც დათმო. ოსმალები ქუთაისში შევიდნენ. სოლომონ I-ის წინააღმდეგ ზეკართან და კაკასხიდთან მიღწეული წარმატებით გათამამებულმა გოლა-ფაშამ, ლევან აბაშიძისა და როსტომ რაჭის ერისთავის თხოვნით, იმერეთის მეფის დევნა განაგრძო. კოალიციური ჯარი გოდოგან-ველათის გზით ხრესილს მოუახლოვდა. სოლომონ I-ის გეგმის ძირითადი ნაწილი შესრულებული იყო – მტერი ხრესილის პატარა მინდორზე შეიტყუა.

1757 წლის 14 დეკემბერს, განთიადისას მოწინააღმდეგენი ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ. სოლომონმა მტერი ალყაში მოაქცია. ფლანგებიდან დარტყმამ თურქ-ოსმალთა ჯარის ნაწილები არაა. ამ დროს მტერმა შენიშნა შემაღლებულ გორაკზე მდგარი სოლომონ I თავისი რაზმით და მასზე იერიში მიიტანა. მეფე თავის თანმხლებ რაზმთან ერთად დიდი შემართებით შეება ოსმალებს, მაგრამ მტერი რიცხობრივად ჭარბობდა.

**ხრესილის „სისხლიანი სასაკლაო“**

სწორედ ამ დროს, მეფის რაზმს წამოეშველა სამურზაყანოს მფლობელი ხუტუნაი შარვაშიძე, რომელმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად დაიცვა მეფე. საბოლოოდ მტერი გატყდა და უკუიქცა. ბრძოლის ველზე დაიღუპა მოღალატე ლევან აბაშიძე, ხოლო როსტომ რაჭის ერისთავი გაიქცა. ქართველებს ასეულობით ტყვე და დიდი სამხედრო ნადავლი დარჩა.

ამ ბრძოლის შესახებ იტალიელი მისიონერი ლეონი აღნიშნავდა: „სოლომონმა სისხლიანი სასაკლაო გაუმართა თურქების ჯარსო“. ამ გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმერეთის სამეფოსთვის. ხალხში გაიზარდა სოლომონ I-ის ავტორიტეტი, რამაც მას არაერთი რეფორმის გატარების საშუალება მისცა.

ხრესილთან სოლომონ I-ის გამარჯვებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმერეთის მეფის შემდგომი ღონისძიებების რეალიზაციისთვის. ეს ბრძოლა არსებითად დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა პირველი დიდი და სერიოზული გამოსვლა იყო ოსმალთა აგრესიის წინააღმდეგ. ხრესილთან ოსმალთა ლაშქრის განადგურებით იმერეთის მეფე, გურიისა და ოდიშის მთავრები, სერიოზულად დაუპირისპირდნენ ოსმალთა მომძლავრებას და კიდევ უფრო გააქტიურეს მათ წინააღმდეგ ბრძოლა.

*გურამ შტრუბელი*

# ასპინძის ბრძოლა

**რა იყო ასპინძამდე?**

1764 წელს რუსეთის იმპერიის მხარდაჭერით, პოლონეთის ტახტი სტანისლავ პონიატოვსკიმ დაიკავა. ამას იმთვითვე დაუპირისპირდა საფრანგეთი და ავსტრია, რომელთაც თავისი კანდიდატურა ჰყავდათ პოლონეთის ტახტზე. საფრანგეთისა და ავსტრიის წაქეზებით, ამ დაპირისპირებაში ჩაერთო თურქეთი, რომელსაც რუსეთის მიმართ საკუთარი სამზედრო-პოლიტიკური მიზნები ამოძრავებდა. ამ შემთხვევაში მისთვის მთავარი იყო, რომ რუსეთს ყირიმის სახანოს შეერთებასა და შავი ზღვის გასასვლელზე უარი ეთქვა. რუსეთი ხვდებოდა თურქეთის ჩანაფიქრს და ამიტომაც პეტერბურგში დიდი ხნით ადრე დაიწყეს სამხედრო სამზადისი.

*ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II (1720-1798).*

1768 წლის 11 ივლისს, მოგვიანებით კი 25 სექტემბერს, თურქეთმა ოფიციალურად მოითხოვა პოლონეთიდან რუსეთის ჯარის გაყვანა. აშკარა იყო, რომ რუსეთ-თურქეთის ომი მალე დაიწყებოდა. ორ ქვეყანას შორის კონფლიქტი იმანაც დაჩქარა, რომ თურქეთის მთავრობამ სტამბოლში რუსეთის საელჩო დააპატიმრა.

*რუსეთის იმპერატორი ეკატერინე II (1729-1796).*

დასაწყისში თურქეთთან ომი რუსეთის იმპერიისთვის არასახარბიელოდ წარიმართა. თუმცა, საბოლოოდ ჩამოყალიბდა რუსეთის სტრატეგიული გეგმა, რომელიც ოთხი სხვადასხვა მიმართულებით შეტევას ითვალისწინებდა:

1. რუსეთის პირველ არმიას კიევის რაიონიდან უნდა განეხორციელებინა შეტევა დუნაის მიმართულებით (გენერალ ა. გოლიცინის მეთაურობით).

2. მეორე არმია იმპერიის სამხრეთ საზღვრებს გაამაგრებდა და ყირიმის სახანოს ბლოკირებას მოახდენდა (გენერალ პ. რუმიანცევის მეთაურობით); ამგვარად, თურქეთი ვერ შეძლებდა უკრაინის სიღრმეში შეჭრას.

3. ბალტიის ზღვიდან რუსეთის ფლოტი უნდა გასულიყო ხმელთაშუა ზღვაში და დახმარებოდა თურქეთის წინააღმდეგ აჯანყებულ ბერძნებს, რაც საკმაოდ ამბიციური გადაწყვეტილება იყო.

რუსეთის იმპერია
სუფთა
ოსმალეთის
ბალკანეთის
ყირიმის
ბალაკლავა
ინკერმანი
ალუშტა
ბალაკლავა
ბალაკლავა
ბალაკლავ

ეროვნული ბიბლიოთეკა

*გოტლიბ ტოტლებენი (1710-1773). რუსეთის არმიის გენერალი.*

4. ბრძოლების მეოთხე რეგიონად კავკასია, კერძოდ, საქართველო მოიაზრებოდა. აღნიშნული გეგმის განხორციელება რუსეთმა 1769 წლიდან დაიწყო.

უკრაინისა და ბალკანეთის ფრონტზე ვითარება თანდათან რუსეთის სასარგებლოდ წარიმართა. მიუხედავად ამისა, რუსეთის საიმპერატორო კარი აქტიურად განიხილავდა თურქეთთან ომში ქართლ-კახეთისა და იმერეთის ჩაბმას. დიპლომატიური გზით, რუსეთმა იმერეთის მეფე სოლომონ I-თან და ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-სთან გარკვეულ შეთანხმებას მიაღწია.

1769 წლის ივნისში, იმპერატორ ეკატერინე II-ის საგანგებო ბრძანებით, საქართველოში ჩავიდა სამი ასეულისა და ოთხი ქვემეხისგან შემდგარი ჯარის ნაწილი, რომელსაც სარდლობდა გენერალი გოტლიბ კურტ ჰაინრიხ ფონ ტოტლებენი – თავისი დროის ცნობილი ავანტიურისტი და XVIII-XIXსს-ის არაერთი ბოჰემური რომანის მთავარი გმირი.

1769 წლის აგვისტოში ტოტლებენი უკვე ქართლ-კახეთში იყო, ხოლო 27 სექტემბერს იმერეთის საზღვარზე მას შეეგება სოლომონ I, იოსებ კათალიკოსი და დიდებულები. გეგმის მიხედვით, პირველი იერიში შორაპნის ციხეზე უნდა მიეტანათ. 3 ოქტომბერს რუსთა და ქართველთა ერთობლივმა ძალებმა შორაპანი ალყაში მოაქციეს. ამ დროს იქ 23-25 თურქი მეციხოვნე იდგა. დასავლეთ საქართველოში რუსეთის სამხედრო რაზმების გამოჩენისთანავე ახალციხის ფაშამ იმერეთის ასაოხრებლად ლაშქარი გამოაგზავნა. სოლომონ I იძულებული გახდა შორაპნისთვის თავი მიენებებინა და თურქთა წინააღმდეგ ებრძოლა.

მარტოდ დარჩენილმა ტოტლებენმა მხოლოდ ოთხი დღე გააგრძელა შორაპნის ალყა, შემდეგ, გაურკვეველი მიზეზით, ალყა მოხსნა და ქართლში დაბრუნდა. 29 ოქტომბერს იგი უკვე ცხინვალში იდგა. საქართველოში მოქმედი რუსეთის სამხედრო ნაწილების გაძლიერების მიზნით, ტოტლებენი 1769-70 წლების მიჯნაზე კვლავ რუსეთში დაბრუნდა და კიდევ სამი ასეული და კაზაკები ჩამოიყვანა.

*XVIII საუკუნის რუსეთის არმიის მეომრები. თანამედროვე რეკონსტრუქცია.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რატომ გაანაწყენა ტოტლებენმა ერეკლე?**

1770 წლისათვის აშკარა იყო, რომ რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური გეგმები საქართველოში შეიცვალა. იმერეთში თურქთა წინააღმდეგ ბრძოლის ნაცვლად, ტოტლებენმა ერეკლე II-სთან მოკავშირეობა არჩია და ახალციხეზე ლაშქრობის თანხმობა განაცხადა. როგორც ჩანს, ქართველმა პოლიტიკოსებმა დაარწმუნეს რუსი გენერალი, რომ პირველ ეტაპზე აუცილებელი იყო დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში ოსმალთა ლაშქრობების მთავარი პლაცდარმის – ახალციხის საფაშოს დასუსტება და დაპყრობა. ამის შემდეგ, დასავლეთ საქართველოდან თურქების განდევნა გაცილებით ადვილი იქნებოდა.

*XVII-XVIII სს. ქართველი მეომრის აღჭურვილობა. დ. ერმაკოვის ფოტო. XIX ს. II ნახევარი.*

1770 წლის 2 მარტს ტოტლებენი სურამში დაბანაკდა. მას 1200 მეომარი ახლდა. მარტის შუა რიცხვებში სურამში ჩავიდა 7 ათასიანი ჯარით ერეკლე II. ქართველთა და რუსთა სამხედრო ნაწილებმა ჯერ ქვიშხეთისაკენ გადაიბაკლეს, ხოლო შემდეგ სადგერში, სადაც გენერალმა ჯარის მხოლოდ ნახევარი დატოვა, რამაც ერეკლე გაანაწყენა. მიუხედავად ამისა, ქართველთა და რუსთა ჯარმა ბორჯომის ხეობით ახალციხისკენ სვლა განაგრძო და 17 აპრილს აწყურის ციხეს მიადგა. ერეკლე II აწყურის ციხის გარემოცვის წინააღმდეგი იყო და პირდაპირ ახალციხეზე ლაშქრობას მოითხოვდა. ტოტლებენი ვითომდა აწყურის აღების მიზნით, ციხეს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან შემოეწყო. სამხედრო თვალსაზრისით, ეს იყო ყოვლად გაუმართლებელი მანევრი, ვინაიდან, ციხესთან მისასვლელი საკმაოდ დიდ მანძილზე დაუცველი იყო და თურქებს თავისუფლად შეეძლოთ დამატებითი ძალები შეეგზავნათ, რაც განახორციელეს კიდეც მეორე დღეს: ახალციხის ფაშამ აწყურის დამცველებს 2 ათასი კაცი მიაშველა.

აშკარაა, რომ გენერალ ტოტლებენს ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებების სურვილი არ ჰქონდა. შორაპნის ალყის მოხსნა და აწყურის ციხის მოჩვენებითი ალყა თვალნათლივ მიუთითებს, რომ მას დრო გაჰყავდა. რა იყო ამის მიზეზი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ არაპროფესიონალი ტოტლებენი აქტიური სამხედრო კამპანიის მომხრე არ იყო და იგი თავს არიდებდა სერიოზულ დაპირისპირებას. 1770 წლის 6 აპრილს რუს გენერალ ზაქარია ჩერნიშევს წერდა: „უმორჩილესად გთხოვ, აქედან ჩქარა წამიყვანოთ, ჩემს მაგივრად ჩემი რაზმი სხვა გენერალს ჩააბაროთ... ძალა არ მყოფნის“.

*აწყურის ციხე. აგებული უნდა იყოს IX საუკუნეშე. XIII საუკუნიდან ჯაყელთა რეზიდენციაა. XVI საუკუნის II ნახევრიდან ოსმალთა ხელშია. 1829 წელს აწყურის ციხე რუსეთის იმპერიამ შეიერთა.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოტლებენის გულგრილი დამოკიდებულება რუსეთის სამხედრო ინტერუნ-ბისადმი აწყურთანაც გამომჟღავნდა. 19 აპრილს მან ბრძოლას თავი დაანება და ერეკლე II-სთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე შიდა ქართლში გადავიდა. ამ ინციდენტზე პირადად ერეკლე II წერდა რუსეთის ვიცე-კანცლერ გოლიცინს: „მე მიველ და ღრაბს (გრაფი) დიდად ვევედრე, და ჩემი თავი ვითარცა ერთი მისისა კამანდისა ოფიცარი, ეგრეთ კამანდაში ვაძლიევ, და მრავალს ვევედრე გამობრუნებას მტერზედ... იმ ჩემს ვედრებაზედ ორი ზარბაზანი გამოაბრუნა და ერთ მაღალს გორაზედ აიტანა, რომელიც დიდად შორევდა მტერზედ, მუნითგან ოთხი-ხუთი ზარბაზანი ესროლა და გაბრუნდა და აღმითქვა, რომ აქავ ახლო ერთ ბალახიანს ადგილს ჩამოვხდებიო და ამ სახით გაიპარა“.

მარტოდ დარჩენილი ერეკლე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ტოტლებენთან შეხვედრიდან დაბრუნებულ მეფეს ჯარში მცირე უსიამოვნებაც შეხვდა – მეომრებმა საყვედურებით აავსეს. ამ ვითარებით სარგებლობას შეეცადნენ აწყურში მოკალათებული თურქი მეომრები – ციხიდან გამოიჭრნენ და ქართველებზე იერიში მიიტანეს. ერეკლემ შეძლო მტრის შეჩერება. თურქებმა სასწრაფოდ ციხეს შეაფარეს თავი. ასეთ კრიტიკულ ვითარებაში ერეკლემ მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, ალყა მოხსნა და, ჯავახეთის გზით, თბილისში დაბრუნდა. 19 აპრილს ერეკლე II-მ ასპინძისკენ აიღო გეზი.

**როგორ მოიგო ერეკლემ ბრძოლა?**

აწყურიდან წამოსულმა ერეკლე II-მ ჯარი გზაში დაასვენა. ასპინძის მიდამოებში იგი 20 აპრილს გამოჩნდა. ამასობაში თურქებს მოესწროთ და 1500 კაციანი რაზმით ასპინძიდან ჯავახეთისაკენ მიმავალი გზა ჩაეკეტათ. ერეკლე II-მ ბრძოლის დაწყებამდე მტკვარზე ხიდი ააგრევინა, რაც უდავოდ სწორი გადაწყვეტილება იყო, რადგან ახალციხიდან ასპინძისკენ მიმავალი მთავარი გზა სწორედ მტკვრის მარცხენა ნაპირზე გადიოდა და თუ ახალციხის ფაშა დამატებით ჯარს გამოგზავნიდა, თურქები ასპინძასთან მტკვარზე ვეღარ გადავიდოდნენ.

ერეკლე II-მ ასპინძის ხრამთან დაბანაკებულ თურქებზე პირდაპირი იერიში მიიტანა და უკუაქცია. ქართველებმა მტერს დიდ მანძილზე სდიეს. უკან მობრუნებულ ქართლ-კახეთის ლაშქარს რამდენიმე საათში ახალი ბრძოლა მოუხდა, ახალციხიდან ქართველებს დადენებულ მრავალრიცხოვან (დაახლოებით 4 ათასი) თურქ-ოსმალთა ლაშქართან, რომლის რიგებშიც იბრძოდნენ: არტაანის ბექირბეგი, გოლა ფაშა, შავშეთის ბეგი, ოლთისის ფაშა და

*ძველი ხიდის ნაშთები ასპინძაში, რომელიც ერეკლე II-ის ბრძანებით აყარეს ქართველმა მეომრებმა.*




*ასპინძასთან ქართველთა და თურქ-ოსმალთა ჯარის პირველი ბრძოლის სქემა.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა. მტრის ჯარის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა, აგრეთვე, დაქირავებული ლეკი მეომრებიც, რომელთაც მალაჩილა, მეტსახელად „კოხტა ბელადი“ სარდლობდა.

ბრძოლის წინ ერეკლემ ქართველთა ლაშქარი ასე განალაგა: მარჯვენა ფლანგს სარდლობდა დავით ორბელიანი, მარცხენას – გიორგი ბატონიშვილი, ხოლო ცენტრში – თავად ერეკლე იდგა. ქართველები სწრაფ შეტევაზე გადავიდნენ და მტერი მარჯვენა ფლანგიდან და ცენტრიდან შეავიწროეს. ერეკლე II და „კოხტა ბელადი“ ხმალდახმალ შეებრძოლნენ ერთმანეთს. ქართლ-კახეთის მეფემ სასიკვდილოდ განგმირა მალაჩილა.

თურქ-ოსმალებმა მტკვრისკენ დაიხიეს, სადაც ხიდი ეგულებოდათ, მაგრამ, აყრილი დახვდათ და იძულებული გახდნენ მდინარე გადაეცურათ. ადიდებულმა წყალმა მათი დიდი ნაწილი გაიტაცა. ახალციხეში 13 კაცილა დაბრუნებულა. ბრძოლის ველზე დაეცა თითქმის ყველა თურქი სარდალი. ქართველთა ზარალი უმნიშვნელო იყო. ამ გამარჯვების მთავარი შემოქმედი, რა თქმა უნდა, გამჭრიახი მეფე-სარდალი ერეკლე II იყო. მისი მეთაურობით მოქმედმა ქართველთა ლაშქარმა სწორი ტაქტიკური მანევრირების უნარი, ბრძოლის ადგილის კარგი ცოდნა და რაც ყველაზე მთავარია, სიმამაცე გამოამჟღავნა.




*ასპინძასთან ქართველთა და თურქ-ოსმალთა ჯარის გადამწყვეტი ბრძოლის სქემა.*

# საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბრძოლები

## როგორ შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა?

1917 წლის 24 თებერვალს პეტერბურგში დაწყებული სახალხო მღელვარება მალე რევოლუციაში გადაიზარდა. ჯარი აჯანყებულთა მხარეზე გადავიდა. იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ ვერ შეძლო სიტუაციის განმუხტვა და უარი თქვა იმპერატორის ტახტზე თავისი ძმის, მიხეილის სასარგებლოდ. თუმცა შექმნილ ვითარებას ვერც მან გაართვა თავი და მალე გადადგა.

1917 წლის 1 მარტს რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ გადაწყვიტა თავის ხელში აიღო ხელისუფლება და დროებითი მთავრობა დაეკომპლექტებინა.

*რუსეთის ბოლო იმპერატორი ნიკოლოზ II (1868-1918). იგი ქ. ეკატერინბურგში 1918 წლის 17 ივლისს ბოლშევიკებმა ოჯახთან ერთად დახვრიტეს. 2000 წელს რუსეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ნიკოლოზ II წმინდანად შერაცხა.*

რუსეთის იმპერატორის გადადგომასა და ახალი ხელისუფლების ფორმირებას თავიდანვე დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ქართველობა. თბილისში დროებითი მთავრობის წარმომადგენლობა ჩამოყალიბდა, მაგრამ ამ სტრუქტურას ის ძალა არ ჰქონდა, რაც მეფისნაცვლის ინსტიტუტს კავკასიაში. პოლიტიკურ პროცესებს უკვე ადგილობრივი პოლიტიკური პარტიები მართავდნენ. 1917 წლის აპრილში საქართველოში შეიქმნა სოციალ-დემოკრატიული, ეროვნულ-დემოკრატიული და სოციალ-ფედერალისტური პარტიებისგან დაკომპლექტებული ინტერპარტიული საბჭო. ამ საბჭოს მთავარი მიზანი საქართველოს ეროვნული ავტონომიის მომზადება იყო.

1917 წლის ოქტომბერში, ლენინის მიერ ორგანიზებული გადატრიალების შემდეგ, რუსეთში დაემხო დროებითი მთავრობა და დამყარდა ბოლშევიკური დიქტატურა. ქართულმა პოლიტიკურმა პარტიებმა უარი თქვეს ბოლშევიკებთან თანამშრომლობაზე. თბილისში არსებობა შეწყვიტა დროებითი მთავრობის ამიერკავკასიის სამხარეო ხელისუფლების ორგანომ. ფაქტობრივად, სამხრეთ კავკასიაში რუსული მმართველობის ყველა შტო პარალიზებული იყო. ასეთ ვითარებაში საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის პოლიტიკურმა პარტიებმა თავის თავზე აიღეს ხელისუფლება.

*დროებითი მთავრობის პირველი შემადგენლობის სხდომა, მთავრობის თავმჯდომარის გიორგი ლეონიძის ხელმძღვანელობით (1918).*

1918 წლის თებერვალში შეიქმნა ამიერკავკასიის სეიმი (წარმომადგენლობითი ორგანო – პარლამენტი), რომელსაც დაევალა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის მომზადება. 22 აპრილს სეიმმა დამოუკიდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

*საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის სხდომა. გვერდით ლოჟებზე სხდომა მთავრობის წევრები.*




*საპატიო დაფა მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში, იმ დარბაზის შესასვლელთან, სადაც გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა.*

ბლობა გამოაცხადა. პოლიტიკურ რუკაზე გაჩნდა ახალი სახელმწიფო — ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა, რომელშიც გაერთიანებული იყო საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. ამ ახალ სახელმწიფოს დიდხანს არ უარსებია. ბევრ საკითხში ფედერაციაში შემავალმა სუბიექტებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, ამიტომაც რამდენიმე თვეში ფედერაცია სამ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დაიშალა.

1918 წლის 26 მაისს თბილისში, კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში (დღევანდელი მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე), გოლოვინის (რუსთაველის) გამზირზე, შეიკრიბა ამიერკავკასიის ფედერაციის სეიმი. 11 საათზე სეიმმა ფედერაცია დაშლილად გამოაცხადა. 4:50 საათზე იქვე გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა, რომელმაც მიიღო „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი", რომლის პირველ მუხლში ნათქვამია: „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა".

## ბრძოლა აფხაზეთისთვის

ახლადშექმნილი სახელმწიფო თავიდანვე დიდი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. რუსეთის იმპერიის დაშლითა და კავკასიიდან ჯარების გაყვანით ისარგებლა თურქეთმა და აჭარასა და სამხრეთ საქართველოს ოკუპაცია დაიწყო.

საქართველოს მთავრობამ მოახერხა მტრის წინსვლის შეჩერება. 1918 წლის 4 ივნისს ბათუმში საქართველოსა და თურქეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალით, თურქეთმა მიიტაცა ბათუმი, ართვინი, არდაგანი, ახალციხე და ახალქალაქი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დროებით შეეგუა ამ წარუმატებლობას, თუმცა ვითარების გამოსწორებისთვის თავგამოდებით იბრძოდა.

*ნოე ჟორდანია საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე 1918-1921 წლებში. „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის" ერთ-ერთი ავტორი. 1918 წლის 26 მაისს ეროვნულმა საბჭომ სწორედ მას დააკისრა მისია გამოეცხადებინა საქართველოს დამოუკიდებლობა.*

უკიდურესად დაიძაბა სიტუაცია აფხაზეთში. ქართული ჯარის დამარცხებით ისარგებლეს აფხაზეთში მოთარეშე ბოლშევიკებმა, აფხაზ ბოლშევიკ ნესტორ ლაკობას ხელმძღვანელობით. მათ მოახერხეს მრავალრიცხოვანი რაზმის მობილიზება გაგრა-გუდაუთის რეგიონში და დაამარცხეს ქართული გვარდიის ნაწილები. ლაკობას რაზმის მიზანი სოხუმის აღება და აფხაზეთის ტერიტორიაზე ბოლშევიკური რესპუბლიკის შექმნა იყო.

1918 წლის 16 ივნისს აფხაზეთის ეროვნული საბჭოს დელეგაცია დახმარების სათხოვნელად თბილისს ეწვია. დაძაბული ვითარება სასწრაფო რეაგირებას

# საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამფუძნებელი კრება,—ძველი პირდაპირი, თანასწორი, ხალხთაური, ფფალი და პროპირეთისადგური საქართველო ბისტეგმინი ირიგეგ ხელის მოწერილია მიერ,—თავის პირველსავე სხდომაზე 1919 წ მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე ალარაფერს, რომ ის ხალხისი იელის და ადასტურებს საქართველოს ერთიანელ საქმის მიერ 1918 წ მაისის 26-ს, ნაბეჭდიყვნის 5 ს. და 10 წ. თბილისში გამოცხადებულ საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტ:

## საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

1) ბრალი ხალხი ეკისრებოს ხელოვანი ინტერესი, ოფალ ეროვნული ფფალი და ოფალ ეროვნული ხალხი.

2) ეროვნულ ხალხის ეროსილ ეროვნულ ეროვნული ეროვნული ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოითხოვდა. 18 ივნისს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ ნოე რამიშვილმა, გენერალი გიორგი მაზნიაშვილი აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად დანიშნა, რომელმაც შავი ზღვის სანაპიროზე დისლოცირებული ჯარის სარდლობაც შეითავსა. გენერალი მაზნიაშვილი 19 ივნისს უკვე სოხუმში იყო. მან, უპირველესად, ქალაქის შესასვლელები გაამაგრა, ვინაიდან მოსალოდნელი იყო ნესტორ ლაკობას რაზმების სოხუმზე იერიში.

სოხუმში ამ დროს იდგა ეროვნული გვარდიის ნაწილები, რომელსაც ვინმე ტუმარკინი ხელმძღვანელობდა. სახალხო გვარდიას საკუთარი ხელმძღვანელობა ჰყავდა და უშუალოდ გვარდიის შტაბს ემორჩილებოდა. გენერალმა მაზნიაშვილმა თავიდანვე მოახერხა ერთიანი სამხედრო ხელმძღვანელობის ფორმირება, რომელშიც საჯარისო ნაწილები და გვარდია შედიოდა. ამ პერიოდში საკმაოდ რთული მდგომარეობა იყო აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც, ბოლშევიკების წაქეზებით, რამდენიმე სამხედრო გამოსვლა მოეწყო. ასეთ კრიტიკულ ვითარებაში, ბუნებრივია, აფხაზეთში მოქმედ სამხედრო ნაწილებს დახმარების დიდი იმედი არ უნდა ჰქონოდათ. ამიტომაც გენერალმა გიორგი მაზნიაშვილმა ჩამოაყალიბა 300 კაციანი ცხენოსანი რაზმი, რომელიც დაკომპლექტდა ადგილობრივი აფხაზებისგან, ისინი ქართველებთან ერთად ჩაებნენ საქართველოს ამ ნაწილის გათავისუფლებაში.

1918 წლის ივნისის მიწურულს ქართული არმიის ნაწილებმა მოახერხეს მტერი ახალი ათონის მიდამოებთან შეეჩერებინათ. 20 ივნისს ახალი ათონი საქართველოს მთავრობის კონტროლს დაექვემდებარა და შემდგომი ბრძოლებისთვის საკმაოდ ძლიერ პლაცდარმად იქცა.

1918 წლის 27 ივნისს გენერალ მაზნიაშვილის ბრძანებით, ქართული ჯარი შეტევაზე გადავიდა გუდაუთის მიმართულებით. გეგმის მიხედვით შეტევა უნდა განხორციელებულიყო ორი მიმართულებით: ხმელეთიდან და ზღვიდან. შავ ზღვაზე მოქმედებდა რამდენიმე გამანადგურებელი და სატრანსპორტო ხომალდი „მიხეილი," რომლებიც ძირითად არმიას ზღვიდან ცეცხლით გზას უთავისუფლებდნენ. ბოლშევიკებისთვის ეს საკმაოდ მოულოდნელი აღმოჩნდა. მთ ჯერ გუდაუთისკენ, ხოლო შემდგ გაგრისკენ დიხიეს. ბრძოლაში გადამწყვეტი წარმატება უკვე მიღწეული იყო. 28 ივნისს გაგრაც გათავისუფლდა. ქართულმა

**გიორგი მაზნიაშვილი** (1870-1937) მონაწილეობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ წარმოებულ ყველა მნიშვნელოვან სამხედრო ოპერაციაში. „ჟენერალი მაზნიაშვილი მამაცი კაცია; რამდენჯერმე მინახავს ტყვიის ზუზუნში და გადაჭრით შემიძლია ამის თქმა. ერთობ არასასურველ ვითარებაშიც მამაცი კაცია, მაგრამ თუ შეიძლება ასე ითქვას, სწორედ ესაა მისი ნაკლი – მოჭარბებული სიმამაცე; ხშირად გადადებს ხოლმე თავს; ხშირად მოქცეულა ისე, რომ შეიძლებოდა თავი წაეგო და ხელიდან გამოგვცლოდა ისეთი კაცი, რომლის დაკარგვაც დიდ ზიანს მოგვიტანდა." *გენერალ გ. კვინიტაძის მოგონებებიდან.*



*ძველი სოხუმი. ს.მ. პროკუდინ-გორსკის ფოტო (1909).*

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ქართული გვარდიელები. 1918 წლის 2 ივლისის კანონით წითელმა გვარდიამ რეორგანიზაცია განიცადა და ჩამოყალიბდა სახალხო გვარდიად, რომელიც პირდაპირ მთავრობის თავმჯდომარეს დაემორჩილა. გვარდიას ჰყავდა ცალკე „გვარდიის მთავარი შტაბი“ და ცალკე რაიონული შტაბები. სახალხო გვარდია არ ემორჩილებოდა რესპუბლიკის არმიის გენერალურ შტაბს. ეს რეალობა საქართველოს სამხედრო ძალებში ორხელისუფლებიანობას წარმოშობდა.*

არმიამ მოძრაობა გააგრძელა სოჭის მიმართულებით. სოფელ პილენკოვოს (1948 წლიდან განთიადი) აღების შემდეგ, ჯარი მდ. ფსოუზე გავიდა. ჩრდილოეთით იწყებოდა სოჭისა და ტუაფსეს რეგიონი, რომელიც, მართალია, შუა საუკუნეებში დიდი ხნით საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა, მაგრამ ბოლო პერიოდში ამ ტერიტორიას ქართველები აღარ აკონტროლებდნენ.

გიორგი მაზნიაშვილმა სოფ. პილენკოვოსთან ჯარის მოძრაობა შეაჩერა და თბილისიდან მთავრობის გადაწყვეტილებას დაელოდა. მაზნიაშვილი იგონებს: „როგორც ტფილისიდან, ისე აფხაზეთის ეროვნული სბჭოდან მივიღე ანალოგიური

*ნესტორ ლაკობა (1893-1936). ბოლშევიკური პარტიის წევრი 1912 წლიდან. 1918 წელს აფხაზეთში მოაწყო აჯანყება, რომლის დამარცხების შემდეგ გაიქცა თურქეთში. საბჭოთა საქართველოში ეკავა მაღალი პარტიული თანამდებობები.*

## ნიკოფსია

უძველესი დროიდან საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ საზღვარი ნიკოფსიამდე აღწევდა. ეს გეოგრაფიული პუნქტი კი ტუაფსეს რაიონშია სამეგრელი. ლეონტი მროველი XI საუკუნეში წერდა: „მისვე ადერკის მეფობასა მოვიდეს ათორმეტთა წმინდა მოციქულთაგანნი ანდრია და სიმონ კანანელი აფხაზეთს და ეგრისს. და მუნ აღესრულა წმინდა სიმონ ქალაქსა ნიკოფსისასა, საზღვარსა ბერძენთასა“. იმავე XI საუკუნის მოღვაწე გიორგი მთაწმინდელი ანტიოქიის პატრიარქს უწსნიდა: „ერთი წმინდა ათორმეტთა მოციქულთაგანი – სიმონს ვიტყვ კანანელსა – ქვეყანასა ჩვენსა დამარხულ არს, აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების“. ქართული წყაროები ნიკოფსიას უცილობლად საქართველოს შემადგენელ ნაწილად მიიჩნევენ. შესაბამისად, იქამდე გადაჭიმული ტერიტორიაც ქართველთა ქვეყანა იყო. შემთხვევითი არ არის, რომ გიორგი მთაწმინდელი, რომელიც წარმოშობით სამხრეთ საქართველოდან იყო, საგანგებოდ მიუთითებს, რომ სიმონ კანანელი „ქვეყანასა ჩვენსა დამარხულ არს“. ეს აშკარად მეტყველებს, ერთი მხრივ, საერთო ქართულ ცნობიერებაზე და, მეორე მხრივ, ნიკოფსის საქართველოსადმი კუთვნილებაზე. გვიან შუა საუკუნეებში ჩრდილო-დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან წარმართულმა მიგრაციის პროცესმა საგრძნობლად შეამცირა ქართული ელემენტი გაგრა-ტუაფსის რეგიონში. თანდათან ქვეყნის საზღვარმა ნიკოფსიიდან ოდნავ სამხრეთ-აღმოსავლეთით გადმოინაცვლა მდ. ფსოუზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა




*ქართული ჯარების გადაადგილების სქემა აფხაზეთსა და სოჭი-ტუაფსეს რეგიონში.*

ბრძანება: წამიწია წინ და დამეჭირა სოჭი. მიზეზი, როგორც პირდაპირი მავთულით გადმომცეს, ვითომდა თხოვნა-მუდარა იყო სოჭში მცხოვრები ქართველებისა, ხოლო აფხაზეთის ეროვნული საბჭოს ზოგიერთი წევრი მარწმუნებდა, რომ აფხაზეთს ეკუთვნოდა არა მარტო სოჭი, არამედ მისი საზღვარი უძველეს დროში ანაპამდეც მიდიოდა".

საქართველოს მთავრობის ბრძანებით, გენერალი მაზნიაშვილი უნდა გაჭრილიყო სოჭისა და ტუაფსეს მიმართულებით. აღნიშნულ მანევრს ჰქონდა, როგორც სამხედრო, ასევე ისტორიული და პოლიტიკური მნიშვნელობა. ერთი მხრივ, იქმნებოდა საკმაოდ დიდი ბუფერული ზონა, რომლის საშუალებითაც აფხაზეთი უფრო დაცული იქნებოდა. მეორე მხრივ, ახლადშექმნილ რესპუბლიკის ხელისუფლებას სურდა ქვეყნის საზღვარი ისტორიულ ნიკოფსიაზე გაეტარებინა. მართალია, მოგვიანებით, საგარეო საქმეთა მინისტრი ევ. გეგეჭკორი ამტკიცებდა,

*ფრანგული პლაკატი: „საქართველოს მთავრობა". ნოე ჟორდანია — მთავრობის თავმჯდომარე. ევგენი გეგეჭკორი — საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრი. ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე — დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე. კონსტანტინე კანდელაკი — ფინანსთა და ეკონომიკა-მრეწველობის მინისტრი. ნოე რამიშვილი — შინაგან საქმეთა, სამხედრო და სახალხო განათლების მინისტრი. ნოე ხომერიკი — მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი.*

*სოფელი ხოსტა. XX საუკუნის I ნახევრის ფოტო.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ქალაქი სოჭი. XX ს-ის დასაწყისის ფოტო.*

„რუსეთის მთავრობა მთელს თავის პოლიტიკას შავი ზღვის ნაპირას ადგილობრივ მკვიდრთა, განსაკუთრებით კი ქართველთა საწინააღმდეგოდ აწარმოებდა: ქართველებს აქ დასახლება და უძრავი ქონების შეძენა აკრძალული ჰქონდათ, რუსებს კი, განსაკუთრებით მოხელეებსა და სამხედრო პირებს, ჩალის ფასად აძლევდნენ ამ სამოთხესავით მშვენიერსა და ბუნებით უხვად დაჯილდოებულ მხარეს. მხოლოდ რუსეთის მთავრობის პოლიტიკის წყალობით გაჩნდა ქართველების გვერდით სხვა ეროვნების ხალხიც. რუსეთის მთავრობის ზემოაღწერილი პოლიტიკისა და საახალშენო მოღვაწეობისდა მიუხედავად სამურზაყანო აფაზეთში და ჯიქეთის სამხრეთის მცირე ზოლში, ანუ სოხუმისა და სოჭის ოლქებში 1916 წ. აღწერისდა თანახმად 141 ათას მცხოვრებთა შორის 71 ათასი ქართველი და 43 ათასი აფაზი იყო, 6 ათასი სომეხი და 21 ათასი სულ სხვადასხვა ეროვნებისა“.*

*ივ. ჯავახიშვილი (1876-1940), დიდი ქართველი ისტორიკოსი*

*ქალაქ ტუაფსეს რკინიგზის სადგური, რომლის დაკავება ქართველი ჯარისთვის ერთერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა.*

რომ სოჭისა და ტუაფსეს დაკავება დროებით მოვლენას წარმოადგენდა, მაგრამ, რეალურად, მთავრობა საერთაშორისო დონეზე ყველა ღონეს ხმარობდა შემოერთებული ტერიტორიის საქართველოს განუყოფელ ნაწილად აღიარებისთვის.

სოფ. პილენკოვოში ქართული ჯარი თითქმის ერთი კვირა გაჩერდა. ამ დროს, მტრის განლაგების აღმოჩენის მიზნით, სარდლის დავალებით, ჩატარდა სოჭის მიმართულებით სადაზვერვო ოპერაცია. გაირკვა, რომ სოფ. ხოსტას მიდამოებში ჯერ კიდევ იდგა დაქსაქსული ბოლშევიკების მცირე რაზმი. მაზნაშვილის ბრძანებით, ქართული ჯარის მეწინავე რაზმმა იერიში მიიტანა ამ სოფელზე და მტერი გაანადგურა, რამაც სოჭისკენ მიმავალი გზა გახსნა.

1918 წლის 6 ივლისს ქართული ჯარები სოჭში შეიდნენ. არეულობის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს მთავრობამ სოჭში წარმომადგენელი გაგზავნა. საქართველოს მთავრობის წინაშე ამ დროს საკმაოდ მნიშვნელოვანი პრობლემა იდგა. რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ საქართველოში პურის

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ანტონ დენიკინი

ანტონ დენიკინი (1872-1947). რუსი სამხედრო მოღვაწე. 1916 წლიდან გენერალ-ლეიტენანტი. ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დაიწყო მათ წინააღმდეგ ბრძოლა. 1918 წლის აპრილიდან მოხალისეთა არმიის სარდალია. 1918 წლის ოქტომბრიდან კი მთავარსარდალი. ატარებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისადმი მტრულ პოლიტიკას. 1918 წლის 25 სექტემბერს „ყუბანის მთავრობასა“ და მოხალისეთა არმიის („დობროარმიის“) სარდლობასა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი გეგეჭკორს შორის მოლაპარაკებისას გენერალი დენიკინი მოითხოვდა ტუაფსის, სოჭის და გაგრის „დობროარმიისადმი“ გადაცემას. მისი ბრძანებით მოხალისეთა არმიის საჯარისო ნაწილები იჭრებოდნენ აფხაზეთში. 1920 წლიდან ემიგრაციაშია.

*გენერალი დენიკინი მოხალისეთა არმიის დათვალიერებისას.*

ექსპორტი შემცირდა. ამ დროს სამხრეთ რუსეთში ურთულესი ვითარება იყო. ყუბანის მხარეში ჩამოყალიბდა ადგილობრივი ხელისუფლება, ე.წ. „ყუბანის მთავრობა“, რომელიც საკმაოდ დიდ ტერიტორიას აკონტროლებდა. საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა მოლაპარაკება დაეწყო „ყუბანის მთავრობასთან“ პურისა და ნავთის შესყიდვასთან დაკავშირებით. ეს გარიგება მოკლე ვადებში რომ განხორციელებულიყო, გენერალ მაზნიაშვილს უბრძანეს აეღო ტუაფსე და მაიკოპის რკინიგზაზე კონტროლი დაეწესებინა.

1918 წლის 26 ივლისს, 12 საათზე, ქართულმა ჯარმა ტუაფსე დაიკავა. ამ ფაქტს სოჭსა და ტუაფსეში სიხარულით შეხვდა ადგილობრივი მოსახლეობა. 1918 წლის 18 სექტემბრის რეზოლუციით, სოჭის სოციალისტური პარტიები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისგან მოითხოვდნენ დაუყოვნებლივ მოეხდინათ სოჭის ოლქის საქართველოსთან შეერთების დეკლარირება. ამავე თხოვნით მიმართავდა საქართველოს მთავრობას სოჭის სოციალ-რევოლუციური პარტია. 20 სექტემბრის სოჭის მოსახლეობის მიმართვაში ვკითხულობთ: „სოჭის მოქალაქენი გამოთქვამენ სურვილს, რომ საქართველოს მთავრობამ დაუყოვნებლივ, საგანგებო დეკრეტით გააფორმოს სოჭის ოლქის დროებითი შეერთება რესპუბლიკებთან“.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიაში ეს იყო პირველი მასშტაბური სამხედრო წარმატება, რომელმაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა აფხაზეთის მომავალი. მართალია, მოგვიანებით, ბოლშევიკები თუ დენიკინის მომხრეები ცდილობდნენ აფხაზეთში ანტიქართული აჯანყებების მოწყობას, მაგრამ მათ მიზანს ვერ მიაღწიეს და ეს რეგიონი საქართველოს განუყოფელ ნაწილად დარჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1918 წლის 30 ოქტომბერს მუდროსის ნავსადგურში ბრიტანეთის კრეისერ „აგამემნოსზე“ თურქეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც, თურქეთის მთავრობას ვალები უნდა გაეყვანა: არაბული ოლქებიდან, ირანდან და სამხრეთ კავკასიიდან. ნოემბრის დასაწყისში თურქეთის სამხედრო ნაწილებმა დატოვეს ახალციხე-ახალქალაქის რეგიონი. ამით ისარგებლა საქართველოს მთავრობამ და სამხრეთ საქართველოში კვლავ აღადგინა თავისი უფლებები. 1918 წლის 10 ნოემბერს ახალციხე-ახალქალაქის მაზრის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა გენერალი ა. მაყაშვილი. ქართულმა არმიამ ამჯერად ვერ მოახერხა უფრო სამხრეთით არტაან-ართვინის მიმართულებით წაწევა, ამ რეგიონსა და აჭარაში დამყარდა ინგლისელთა საოკუპაციო რეჟიმი.

**რატომ მოხდა საქართველო-სომხეთის ომი?**

ახალციხე-ახალქალაქის საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნებას თავიდანვე მტრულად შეხვდა სომხეთის მთავრობა, რომელიც პრეტენზიას აცხადებდა ახალქალაქზე. მხარეთა შორის კონფლიქტი თანდათან მწიფდებოდა. 1918 წლის 7 დეკემბერს საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი სომხეთის მთავრობისადმი გაგზავნილ ნოტაში აცხადებდა: „საქართველოს მიერ ახალქალაქის მაზრის დაკავება არც ისტორიულად, არც პოლიტიკურად და არც მორალურად სადავო არ არის“.

მიუხედავად იმისა, რომ სომხეთის პოლიტიკურმა მოღვაწეებმა მშვენივრად იცოდნენ, რომ ახალქალაქი ოდითგანვე ქართული სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილი იყო, ისინი აქცენტს აკეთებდნენ ამ რეგიონის მოსახლეობის ნაციონალურ შემადგენლობაზე (როგორც ცნობილია, XIXს-ის 30-იან წლებში, სამცხე-ჯავახეთში, გრაფ პასკევიჩის ხელშეწყობით, ჩამოსახლდა 30 ათასი სომეხი, რამაც მოლიანად შეცვალა რეგიონის დემოგრაფიული მდგომარეობა). სომხეთი პრეტენზიას აცხადებდა ქვემო ქართლის რეგიონის – ბორჩალოს მაზრაზეც.




*ბრიტანელთა კრეისერი „აგამემნონი“, სადაც თურქეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის ხელშეკრულება გაფორმდა.*

ეროვნული ბიბლიოთეკა


საქართველო-სომხეთის ომის საბრძოლო მოქმედებების სქემა
თბილისი
ახალქალაქი
ბოგდანოვკა
ეკატერინფელდი
ბორჩალო
შულავერი
დმანისი
სადაფლო
ვორონცოვკა
პრივოლნოე
ალექსანდრე
ალავერდი
სანაინი
ლორე
ბაბანლო
ბაზარ-ბაბანლი
ბაბანლი
ბაბანლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

*გიორგი კვინიტაძე (1874-1970). ქართველი გენერალი. მონაწილეობდა I მსოფლიო ომში. იგი უშუალოდ ხელმძღვანელობდა აზრუმის შტურმს და პირველი შეიჭრა ქალაქში. ქართულ არმიაში ეკავა სხვადასხვა თანამდებობა – მთავარსარდლის, სამხედრო მინისტრის თანაშემწის, აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორის და სხვა. 1921 წლიდან ემიგრაციაშია. მძიმე ეკონომიკური პირობების გამო, გენერალს საფრანგეთში მაწვნის წარმოება დაიწყო. მისი ქალიშვილები ივონენ: „1923 წლის ზაფხულში მისი მეორე ხელფასის გამო, რაც არ ყოფნიდა ოჯახის ხარჯების დასაფარავად, გადაწყვიტა რამდენიმე მაწვნის ქილა მიუბარებია სარძეკვებში გასაყიდად... მიუხედავად ძალზე რთული საერთო ეკონომიკური მდგომარეობისა, ომის დასრულების შემდეგ გენერალს ღრმა სიბერემდე გაავრძელა მაწვნის წარმოება.“*

*გენერალი გ. კვინიტაძე მეომრებთან ერთად.*

დეკემბერს კი საყოველთაო მობილიზაცია გამოცხადდა. სრულიად საქართველო დაირაზმა ამ აგრესიის წინააღმდეგ. გენერალი გიორგი კვინიტაძე იგონებს: „ბათუმის ეპოპეის დროს, თავდაცვას გამოეხმაურა ძირითადად დასავლეთ საქართველო, სომხეთთან ომს კი მთელი საქართველო. ომი აღმოჩნდა საკმაოდ პოპულარული. მტრის თბილისთან სიახლოვე და ჩვენი წარუმატებლობა აღანთებდა და აღაგზნებდა სახალხო მასებს“.

სამხედრო თვალსაზრისით, მთავრობამ გადადგა ჭკვიანური ნაბიჯი – შულავერ-სადახლოს ფრონტის სარდლად დანიშნა გიორგი მაზნიაშვილი, გამოცდილი სამხედრო. ამავე ფრონტზე მოქმედი არმიის შტაბის უფროსად დაინიშნა გენერალი გიორგი კვინიტაძე, რომელიც ქართულ გენერალიტეტში სტრატეგიის უბადლო ცოდნით გამოირჩეოდა და შეეძლო ურთულეს ვითარებაში მიეღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება. მოვლენების განვითარებამ აჩვენა, რომ მაზნიაშვილისა და კვინიტაძის შემუშავებულმა ბრძოლის გეგმამ წარმატება მოუტანა ქართულ ჯარს.

ომის დასაწყისში სომხეთის საჯარისო ნაწილებმა ერთი გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვეს. მათ არ იმოქმედეს აქტიურად შულავერისა და მდ. დებედას მიმართულებით და ქართულმა მხარემ დრო მოიგო. მობილიზაციის შემდეგ შედგა ბრძოლის გეგმა: ქართული საჯარისო ნაწილები ძირითად დარტყმას განახორციელებდნენ შულავერ-სადახლოს მიმართულებით. მართალია, გენერალიტეტში ყველა ამის მომხრე არ იყო (ფიქრობდნენ, რომ ქართულ ნაწილებს შეტევა უნდა განახორციელებინათ ბოლნისის მიმართულებიდანაც), მაგრამ საბოლოოდ, ვითარებამ აჩვენა, რომ შულავერის მხრიდან კონტრშეტევა გაცილებით უფრო ხელსაყრელი იყო. ბოლნისის მიმართულებით იბრძოდა სახალხო გვარდიის ნაწილები ვალიკო ჯუღელის სარდლობით. მათთან იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავისი რაზმით. მათ მოახერხეს ვორონცოვკიდან მომავალი მტრის შეჩერება. ამან საშუალება მისცა ქართული ჯარის მარცხენა ფრთას, სადაც იმყოფებოდნენ გენერალი მაზნიაშვილი და კვინიტაძე, უფრო აქტიურად ემოქმედა.

1918 წლის 26 დეკემბერს ქართულმა ნაწილებმა შულავერთან მნიშვნელოვანი სიმაღლე დაიკავეს. მართალია, არაორგანიზებულობის გამო, მაშინვე ვერ მოხერხდა ამ სტრატეგიული ადგილის შენარჩუნება, მაგრამ მეორე დღეს ქართველებმა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ დაიბრუნეს ეს პოზიცია. იმავდროულად, გენერალ გ. სუმბათაშვილის სარდლობით, მოხდა შულავერისკენ გაჭრა. მტერი უკუიქცა. სარდლობის გადაწყვეტილებით, ქართულ ნაწილებს შულავერის გვერდის ავლით სვლა უნდა გაეგრძელებინათ და მოწინააღმდეგე გაეხადგურებინათ.

30 დეკემბერს საქართველოს საჯარისო ნაწილები სადახლოში იყვნენ და აპირებდნენ სამხრეთით გაჭრას. სომხეთის არმია უკვე დაქსაქსული იყო. მთავარსარდალი გიორგი მაზნიაშვილი სანაინისა და ალავერდის დაკავებას I იანვრისთვის ვარაუდობდა.

1918 წლის 31 დეკემბერს, ინგლისელთა უშუალო ჩარევით, საქართველოს მთავრობამ სომხეთთან საომარი მოქმედებები შეწყვიტა. დაიწყო მოლაპარაკებები სადავო ტერიტორიის თაობაზე. ბორჩალოს მაზრა გამოცხადდა ნეიტრალურ ზონად, რომლის სამხრეთ ნაწილში სომხური სამხედრო ნაწილები იდგა, ხოლო ჩრდილოეთში – ქართული. 9 იანვარს ქართული ძალების ევაკუაციის მიზნით, სამხედრო შტაბი თბილისში დაბრუნდა.

მიუხედავად ასეთი შეთანხმებისა, ადგილობრივი მოსახლეობა ძალუმად ცდილობდა საქართველოსთან შეერთებას და ამ ხელშეკრულებას უკანონოდ მიიჩნევდა. 1919 წელს საქართველოს დამფუძნებელ კრებას მიმართავ გაუგზავნა ლორის რაიონის სოფლების მოსახლეობამ: „უხსოვარ დროს მართლმორწმუნეთა ტაძრები, ძეგლები და სასაფლაონი, რომლებიც ჩვენში აქამდე უვნებლადაა დაცული, უეჭვოდ ამტკიცებს, რომ ლორის სამუსლიმანო რაიონი მუდამ განუყოფელი ნაწილი იყო საქართველოსი და ამ რაიონის მოსახლენი ბუნებრივად ედგნენ საქართველოს საზღვრებს სიმტკიცისთვის. საქართველოს მთავრობა ლორის რაიონს რატომღაც, ვითომდა, სადავო ტერიტორიად თვლის საქართველოსა და სომხეთს შორის, რაც ძლიერ დამლუპველ მდგომარეობაში გვაყენებს. ჩვენ

**გრიგოლ სუმბათაშვილი** (1882-1921). ქართველი გენერალი. მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომში. საქართველო-სომხეთის ომის დროს სარდლობდა ფრონტის ერთ-ერთ მონაკვეთს. მის მიერ განხორციელებულმა შეტევამ ძირეული გარდატეხა მოახდინა ომის მსვლელობაზე.

*სახალხო გვარდიის ყრილობის მონაწილეები. პირველი რიგში, მარცხნიდან მეექვსე სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე, შემდეგ ნოე ჟორდანია (მთავრობის თავმჯდომარე), ვალიკო ჯუღელი (სახალხო გვარდიის სარდალი), ნოე რამიშვილი (შინაგან საქმეთა მინისტრი). 1920 წელი.*



ეროვნული ბიბლიოთეკა

*ფრონტზე მიმავალი ქართული საჯარისო ნაწილი.*

ტფილისთან ვართ დაკავშირებული ეკონომიკურად, პოლიტიკურად, სულიერად და ყოველმხრივ. ამიტომ მისგან ჩამოშორება არ შეგვიძლია, ეთხოვთ საქართველოს მთავრობას, ყოველგვარი ზომები მიიღოს ჩვენს დაუყოვნებლივ საქართველოს ტერიტორიისთვის მისაერთებლად" (ხელს აწერენ ლორის რაიონის ექვსი სოფლის მცხოვრებნი).

ლორის ოლქთან მიმართებაში საქართველოს მთავრობა უყოყმანოდ ასრულებდა აღებულ ვალდებულებას. 1920 წლის ნოემბერში, გართულებული საერთაშორისო ვითარების გამო, საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სადავო ტერიტორია დაიკავა.

1921 წლის 7 ივლისს საბჭოთა ხელისუფლებამ, იოსებ სტალინის მონაწილეობით, ნეიტრალური ზონა – ლორის ოლქი უყოყმანოდ გადასცა სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკას. ამიერიდან საქართველოს უფლებები ამ რეგიონზე სამუდამოდ დაიკარგა.

*სამხედრო აღლუმი სომხეთთან ომში გამარჯვების აღსანიშნავად. 1919 წლის ანვარი. პირველ რიგში, მარცხნიდან: შალვა მიქელაძე (პარლამენტის წევრი), ნოე ხომერიკი (მინათმოქმედების მინისტრი), გ. ციცკაძე (პარლამენტის წევრი), გრიგოლ გიორგაძე (სამხედრო მინისტრი), ვალოდია გოგუაძე (ცაკეშნიანი ბატარეელის უფროსი), ნოე ყორდანია (მთავრობის თავმჯდომარე), გენერალი ა. გედევანიშვილი, გენერალი გიორგი მაზნიაშვილი, გენერალი იმნაძე, პოლკოვნიკი კ. ბერიძე.*

## პროექტი – საქართველო:


















## მალე გამოვა:
## საქართველოს საოცრებანი

ინფორმაცია ჩვენს წიგნებზე იხილეთ: **www.elf.ge**

ფოტოები © ჯაბა სამუშია
თინათინ დიდებულიძე (პროექტის ხელმძღვანელი)
ლელა მარაბლიშვილი (რედაქტორი)
სოსო შალიბაშვილი (მხატვარი)
მზია ლეკვეიშვილი (კომპიუტერული დიზაინი)

საავტორო უფლება
© ელფის გამომცემლობა 2009

წიგნიდან ნებისმიერი ილუსტრაციის, დიზაინის გამოყენება ნებისმიერი ფორმით გამომცემლობის წერილობითი ნებართვის გარეშე ისჯება კანონით.

(22)9
ლ-244

საქართველოს ისტორია – ბრძოლების ისტორიაა. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო საქართველოში გაბატონებას უძველესი დროიდანვე ცდილობდნენ დიდი იმპერიები. ამიტომაც, ქართველ კაცს, ოდითგანვე, ერთ ხელში ხმალი ეჭირა და მეორეში – გუთანი. ქართული მიწა 750-ზე მეტი დიდი თუ პატარა ბრძოლის უტყვი მოწმეა. ქართველები ებრძოდნენ ასურელებსა და ურარტუელებს, ბერძნებსა და ირანელებს, რომაელებსა და ბიზანტიელებს, არაბებსა და თურქ-სელჩუკებს, მონღოლებსა და თურქ-ოსმალებს. ორ საუკუნეზე მეტია, რაც საქართველო რუსეთის იმპერიას ებრძვის.

ქართველი კაცი ბავშვობიდანვე საბრძოლო სულისკვეთებით იზრდებოდა. ნადირობას, სხვადასხვა სპორტულ და ხალხურ თამაშობებს სამხედრო მნიშვნელობა ენიჭებოდა. საცხენოსნო სპორტის ისეთი სახეობები, როგორიცაა ყაბახი, ისინდი, მარულა, მკერდობა, მთიდან დაშვება თუ სხვა, წარმოადგენდა მომავალი მეომრის გაწვრთნის ერთ-ერთ საშუალებას. სწორედ ამას გულისხმობს ბიზანტიაში მოღვაწე ცნობილი ქართველი სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი გრიგოლ ბაკურიანის ძე, როდესაც ამბობს: „ქართველნი ვართ ნათესავით მხნენი და მხედრობით აღზრდილნი და მარადის ჭირვეულსა ცხოვრებასა ჩვეულნი.“

პროფესორმა ჯაბა სამუშიამ ამ წიგნში შეიტანა მხოლოდ ცნობილი და მასშტაბური ბრძოლები, რომლებშიც განსაკუთრებით ჩანს მთავარსარდლობის სამხედრო ნიჭი, ქართველი მეომრის შემართება და თავდადება, რასაც კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის უამრავი ილუსტრაცია და დოკუმენტური მასალა. წიგნი საინტერესოა იმითაც, რომ მასში შეტანილია სასირეთის, ბასიანის, შამქორის და გარნისის ავტორის მიერ ლოკალიზებული ბრძოლები.

ეს წიგნი დაიწერა, რათა ნებისმიერ თქვენგანს ახსოვდეს ვისი გორიაა!

www.elf.ge

ISBN 978-99928-61-26-4

Book Land
წიგნის სამყარო
წიგნი ადგილზე მიტანით
ტელ.: 18 41 21
61 41 21
www.bookland.ge